



# ილორნი

E-mail: r.jalagania@mail.ru



№190 (249) 2-9 ოქტომბერი 2012 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორბანო 30 თეთრი

## ბარყვნილების მორევში ჩაპირული “დემოკრატია”

ბიბლიური ქალაქები სოდომი და გომორი დმერთმა სასტიკად დასაჯა იმიტომ, რომ მთელი მათი მოსახლეობა – ერიან-ბერიანად – გარყვნილების მორევში ჩაეფლო!

ნაბუქოდონოსორი და მისი ქვეყანაც ვერ გაეცა ღვთის მკაცრ სამსჯავროს, სწორედ გარყვნილებისა და გაუთავებელი ორგების მოწყობის გამო. უკანასკნელ სადამოს გამოჩნდა მარჯვენა ხელი, რომელმაც სასახლის ერთ-ერთ სვეტზე გამოიყვანა შემდეგი სიტყვები “მენე, ტეკელ, პარეს” (“აწონილია, გაზომილია, აღსრულებულია”).

ღიღების ზენიტში მყოფი რომის იმპერია დაიღუპა მაშინ, რომელსაც ამ ქვეყნის სიმბოლოდ საშო და ფალოსი იქცა და მძლავრი იმპერია საბოლოოდ აღმოჩნდა გარყვნილების მორევში. უკანასკნელი აკორდი გახლდათ გარყვნილი ბავშვი-იმპერატორის პელიოგაბალის მიერ რომის ცენტრში აღმართული ფალოსის ქანდაკება...! აქაც გარყვნილი აღმოჩნდა რომის მთელი საზოგადოება, რაც დმერთების განრისხების მიზეზად იქცა!

საქართველო გადაურჩა ღვთის რისხვას, მხოლოდ იმიტომ, რომ გარყვნილების მორევში ჩაფლული აღმოჩნდა არა მთელი მისი საზოგადოება, არამედ ეთნიკურად და სულიერად აშკარად არაქართული ხელისუფლება, მანიაკ სააკაშვილის თავკაცობით, რომელიც თავის ბანდასთან ერთად უკვე მეცხრე წელი უღრღნიდა გულმუცელს საქართველოს, მაგრამ საწადელს მაინც ვერ მიადწია.

ეს გახლდათ ღვთის მიერ მოვლენილი უმკაცრესი გამოცდა, რათა საბოლოოდ დადგენილიყო, რომ წინაპართა ტრადიციების ერთგულ ქართველ ხალხს ძალუძს გაუმკლავდეს საღისეულების, მანიაკებისა და გარყვნილი ხელისუფლის ზეწოლის, ზიზი შეაგებოს სააკაშვილების, ბაქრაძეების, ბოკერიების, წიკლაურების, თაქთაქიშვილებისა და სხვა უმსგავსეთა საძრახის საქმეებს...

ამას წინათ ერთ-ერთ ინტერნეტსაიტზე გამოქვეყნდა წერილი სათაურით: “მოვრალი ხათუნა კალმახელიძე თავიანთსმცემელ მამაკაცთან ერთად პატიმრების წამების ყურებით სიამოვნებას იღებდა”.

წერილი გვაუწყებს, რომ სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა ყოფილი მინისტრი, ხათუნა კალმახელიძე, არაფიზიკურ მდგომარეობაში, თავის თავიანთსმცემელ მამაკაცთან ერთად პირადად აღევენება

თვალს გლდანის მე-8 საპრობილეში პატიმართა წამების ფაქტებს, – ამის შესახებ გაზეთ “ასავალ-დასავლთან” ინტერვიუში პარლამენტის ყოფილი წევრმა, მოძრაობა “ეროვნულების” ლიდერმა სანდრო ბრეგაძემ განაცხადა. ბრეგაძის თქმით, რომელმაც გასულ წელს გლდანის მე-8



საპრობილეში რამდენიმე თვე გაატარა, მას ეს ინფორმაცია პატიმარმა, ვინმე დევაძემ მიადწია.

“ახლა ბევრს საუბრობენ, იყო თუ არა საქმის კურსში ხათუნა კალმახელიძე პატიმრების წამებასთან დაკავშირებით. მოვიყვანო ერთ მაგალითს, რომელიც ყველაფერს ნათელს მოაფენს: ბათუმელი ბიჭი, დევიძე თუ დევაძე, ვგარი ზუსტად არ მახსოვს, დამის 2 საათზე კარანტინიდან აიყვანეს კორპუსში, იქიდან კი სასტიკად ნაცემი დააბრუნეს. ამ ბიჭმა მომიყვია, რომ მთვრალი ხათუნა კალმახელიძე თავის თავიანთსმცემელ მამაკაცთან ერთად პირადად აღევენება თვალს მის წამებას. დიახ, კალმახელიძე და მისი თავიანთსმცემელი მამაკაცი შამპანურს სვამდნენ და სიამოვნებით ყურებდნენ პატიმრის წამებას”, – აცხადებს ბრეგაძე.

ბრეგაძის თქმით, კალმახელიძე თავიანთსმცემელ მამაკაცთან ერთად ხშირად სტუმრობდა საპრობილეს და სიამოვნებას იღებდა პატიმრების ცემისა და წამების



ყურებით. განა აშკარად არაკეთილშობილურ გამომეტყველებაზე არ ეტყობოდა ამ არაქალს, რომ იგი საღისეტი და უკმარობის განცდით გამსჭვალული სიმახინჯე გახლდათ, რომელთაც სიამოვნებას მიანიჭებდა სხვისი წამების ცქერა? განა წინამდებარე ფოტო არ მეტყველებს, რომ მინისტრის კაბამორგებული ეს არარაობა ზნეობასა და თანამდებობრივ პასუხისმგებლობას არად აგდებს და მხოლოდ პირადი სიამოვნება აღადრებს, რისგან “ახურუშე-ბულიც” უხტება კალთაში ვიდაც ამლაყს!

ეს რომ არაადამიანობის ერთადერთი შემთხვევა იყოს, საზოგადოებას შეიძლება მოეთმინა კიდევ, მაგრამ საქართველო ძალიან პატარა ქვეყანაა და ყველამ კარგად იცის, თუ რამდენი მეძაბე, მანიაკი და საღისეტი დღეს თბილად მოკალათებული ნაცემობის მახინჯ წილში!

“ნაციონალ” საღისეტი გარყვნილებაში არც “ნაცი” მამრები ჩამორჩებიან, მათი ბეღლის მიშა სააკაშვილის თავკაცობით, რომელიც, როგორც ახლახან ერთ-ერთი ტელეგადაცემიდან გახდა ცნობილი, საკუთარი გარყვნილების კორექციისათვის – სახიდან ნოტუების მოსაშორებლად დიდძალ სახელმწიფო თანხებს ხარჯავდა უცხოეთის კლინიკებში! ისე კი, ალბათ აჯობებდა, რომ სახის ნოტუების მოვლის ნაცვლად, მიხეილ სააკაშვილს ტვინის ნოტუებისათვის მიექცია მეტი ყურადღება, ოთხტაეპიანი ლექსი რომ ვერ დაუხსომებია ზეპირად და დიდი შოთარუსთაველის შემოქმედებას რაღაც სულელურ კორექციას უკეთებს.

ამას წინათ, ინტერნეტსივრცეში განდა “ნაცი” მამაკაცების გარყვნილების ამსახველი ფოტომასალაც, რომელსაც უცვლელად ვთავაზობთ ჩვენს მკითხველს! “ფეისბუქზე” ბიორბი ბარამიძის სპანდალური ფოტოები ბაზრცემლა”: ასე დასათაურებული, აღნიშნული, აშკარად სკანდალური სტატია.

“ფეისბუქზე” გაზეთ “ასავალ-დასავალს” ჟურნალისტმა, ჯაბა ხუბუამ ხელისუფლების წარმომადგენელთა სკანდალური ფოტოები გამოაქვეყნა. ფოტოებზე ბათუმში “ნაციონალური მოძრაობის” მა-



ჟორტიარობის კანდიდატი, გიორგი ბარამიძე და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, გიორგი პაპუაშვილი არიან გამოსახული.

ფოტოებს ხუბუა ასეთ კომენტარს უკეთებს: “როცა ციხეებში პატიმრებს აწამებენ და აუპატიურებენ, ასე ერთობა ბათუმში “ნაციონალ” მაჟორიტარობის კანდიდატი გიორგი ბარამიძე!”



## არჩევნებში ეკზიტაციებით გაიმარჯვა “ქართულმა ოცნებამ” მთავარი ბრძოლა წინაა – პნახოთ, რა იქნება ხვალ!

მაგრამ ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულია, ჩვენო დებო და ძმებო! ბრძოლა ახლა იწყება, რათა საბოლოოდ გაეწმინდოთ ჩვენი ქვეყანა იმ სიმახინჯისაგან, რომელსაც საქართველოს წლების განმავლობაში ახვედნენ თავს სააკაშვილი და ნაციონალთა გადაგვარებული ხროვა!

ავანტიურისტმა, საერთაშორისო თაღლითმა და დიდ ფულს დახარბებულმა მთავარმა კორუფციონერმა ედუარდ შევარდნაძემ, რომელსაც ყოველთვის ეზიზღებოდა მისი პოლიტიკური და ფინანსური თაღლითობებისადმი სეკუტიკურად განწყობილი წესიერი ქართული საზოგადოება, საქართველო ჯერ თავად მოაქცია საკუთარ შხამიან საცეცხეში, შემდეგ კი საჯიჯგნად ჩაუგდო ხელში აშკარად არაქართულ ავანტიურისტ პოლიტიკოსთა ხროვას, რომელთაც რამდენიმე წელიწადში დააქუცმაცეს და გაყიდეს საქართველოს ტერიტორიები და სტრატეგიული ობიექტები, მაგრამ მაინც ვერ მიადწიეს სანუგეარ მიზანს – დაეშალათ და საბოლოოდ გაენადგურებინათ საქართველო, თუმცა ეს პროცესები დაწყებული ჰქონდათ და განაზრახის რეალიზაციის პირველ ეტაპად საქართველოს დედაქალაქის ქუთაისში გადატანას მიიწყებდნენ.

სამწუხაროა, რომ ქართული საზოგადოება თავიდანვე ვერ ჩასწვდა მანქურთთა მოღალატეობრივ გეგმას და მხარი დაუჭირა რეაქციონერ სომეხთა მიერ გამოკვეთილი უჯიშო სააკაშვილის მიერ განხორციელებულ კონკრეტულ ღონისძიებებს! უფრო მეტად სამწუხარო კი ის გახლდათ, რომ სააკაშვილს საქართველოს განადგურების საქმეში თანადგომა გამოუცხადა სამდგველოების ზოგიერთმა უღირსმა მადალმა წარმომადგენელმა, რაც იმის მიმანიშნებელი გახლდათ, რომ გრიგორიანულმა მონოფიზიტურმა შხამმა ქართულ მართლმადიდებლურ საეკლესიო წილშიც შეჟონა!

მაგრამ დმერთმა აქც გადაგვარა თავისი მადლიანი კალთა, რადგან ამ უღირს მღვდელმთავართა საპირწონედ, ქართველებს, მათი სასიცოცხლო ინტერესების მკლავ-მოუღველი დამცველი უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე მოგვივლინა! განა უღირსად არ უნდა შეირაცხოს ის მღვდელმთავარი, რომელიც საქართველოს დამაქვევარ და გამყიდველ სააკაშვილს ქვეყნის აღმაშენებლად მოიხსენებდა, ეკლესიებში ამ სატანის სურათს ჰკიდებდა და “ოსანას” უგალობდა ამ გრიგორიანულ გადამთიელს?

იმედია, მალე კიდევ ერთი რუის-ურბნისის საეკლესიო კრება გაიმართება, აღმაშენებლური სულისკვეთებით, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ გასწმინდს ქართულ მართლმადიდებლურ სივრცეს ოცდაათ ვერცხლს დახარბებული უღირსი მღვდელმთავრებისაგან, რომლებიც კერპს ქმნიდნენ შეურაცხადი, ზნეობას მოკლებული და ხელმრუდ მიხეილ სააკაშვილისაგან!

დმერთმა მაინც არ გასწირა უღირსი საერო თუ სასულიერო წრეების, ნაციონალებისა და მათი ნეტარღმობიანი ბეღადის, შეურაცხადი სააკაშვილის მიერ ერთხელ და სამუდამოდ განწირული საქართველო!

იმიტომ, რომ მდროვეების პარპაში დროებითია, საქართველო და ქართველი ერი კი მარადიული!

იმიტომ, რომ ქართველებს საკუთარ თავზე მეტად გვიყვარს საქართველო!

იმიტომ, რომ ჩვენ, ქართველებს, სხვა სამშობლო არ გაგვანია!

იმიტომ, რომ “სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა!”

იმიტომ, რომ უფლის ნებით, ჩვენ მარადის უნდა ვიყოთ!

# მობზაურობანი

გთავაზობთ ნაწევრებს ცნობილი ქართველი მწერლისა და ეთნოგრაფის თედო სახოკიას წიგნის იმ ნაწილიდან, რომელიც აფხაზეთის გლეხობის ყოფას აღგვიწერს მე-19 საუკუნეში.

## სამურზაყანო

*თბილისი - კარი სამურზაყანოსი. მისი წარსული და აწმყო. სიმინდით ვაჭრობა. თბილისის ბზა. თბილისის სკოლა. ქურდობა და მთავრობის ღონისძიებები მის მოსახლობად.*

სოხუმიდან დაბა თბილისიმდე გემი სამი საათი უნდა გასა. ეს ხანი ისე გაივლის ხოლმე, რომ კალმით დახატული სანაპირო ადგილების ცქერაში მგზავრი ვერც კი გაიგებს, მეტადრე, თუ კარგი გემია და ამინდიც ხელს უწყობს მის ნორმულად სრიალს ზღვის გასაღამინებულ ზედაპირზე.

საქართველოს დაბა-ქალაქებში შავი ზღვის პირას ბათუმის, ფოთის და სოხუმის შემდეგ მეოთხე ადგილი თბილისს უჭირავს მცხოვრებთა რიცხვით, შენობებითა და თვისი სავაჭრო მნიშვნელობით.

ერთ დროს სამურზაყანოს კარად და სავაჭრო ცენტრად თბილისი ითვლებოდა. ეს მნიშვნელობა დღესაც შეინარჩუნა ამ დაბას, იმ განსხვავებით, რომ წინანდელ ახოსობებულ ხის დუქნებს ქვითკირის "მაღაზიებიც" ამოუდგეს გვერდით, ხალხი მოემატა, ვაჭრობამ მეტი ფართო მოედანი მოიპოვა, აქედან გატანილი საქონელი თურქეთსაც გასცილდა, სხვა ქალაქებთან მისვლა-მოსვლა გახშირდა და გაადვილდა. რა თქმა უნდა, ყოველივე ამას შედარებით ვამბობთ. სახეში გვაქვს თბილისი ამ ოცდაათი წლის წინანდელი და თბილისი - დღევანდელი, ის თბილისი, რომელსაც თითქმის ყველა აქაურები მოსწრებიან და თავისი თვალთი უნახავთ.

თბილისი გაშენებულია ზღვის პირის გასწვრივ, სიგრძეზე; განი 1/2 კილომეტრი თუ იქნება. ამ ოცდაათი წლის წინათ აქ ვაჭრობა-ლა იყვნენ. ორპირად ჩარიცხული იყო ხის დუქნები, სამეგრელოს სხვა დაბების გვეგზავნა.

მაგრამ რუსეთ-თურქეთის უკანასკნელი

(1877-1878) ომის შემდეგ სურათი საგრძობლად გამოიცვალა. დუქნების გარშემო რაც დაბის საკუთრება მიწები იყო, 350 ოთხკუთხედიანი ნაწილებად დაიყო და გაიყიდა. მეპატრონეთ შიგ სახლები ჩაიდგეს და მოქალაქეობრივ ცხოვრებას საძირკველი ჩაეყარა. თქვენს თვალს ახარებს ახლა აქა-იქ კოხტად წამოდგმული სამოთხე თვალისათვის სახლები მაღალ საძირკველზე, ეზოში ჩაყრილი ვაზები და ხეხილები. მხოლოდ დროსა და ხელისშემწყობ გარემოებას უცდის თბილისი, რომ უფრო გაიზარდოს, უფრო ვიწრო გაიწიოს, მცხოვრებთა რიცხვი გაორგუდეს და გასამკვდვდეს.

მცხოვრებნი ორივე სქესისა თბილისში დღეს 608 სული ითვლება. ამათში 26 კომლი ლაზია, 3 - მერქენი, 1 - სომეხი და ერთიც პოლონელი, დანარჩენი მეგრელები არიან. სალაპარაკო ენა მეგრულია, თუმცა ქართულიც ყველამ იცის. მეგრელებში (მეტადრე ვაჭრებში) ბევრია ბერძნული და თურქული ენების ზედმიწევითი ცოდნენიცა. თითო-ორულამ ბერძნული წერა-კითხვაც იციან, საყველ-პურო თურქული თითქმის ყველამ იცის.

ვაჭრობაში პირველი ადგილი მეგრელებს უჭირავთ. შესანიშნავი საფართო დუქნები აქვთ. ერთი მეგრელი ვაჭართანაც ყოველწლივ 40 ათასი ადგილ-მოცემობას უძღვება, რაც თბილისის მსგავსი პატარა დაბისათვის დიდ სიმდიდრედ ითვლება. დანარჩენები ხუთ-ექვს ათასიან თანხას ატრიალებენ. ცნობილი მოვაჭრენი სიმინდითა - მეგრელებივე არიან.

მეწადლეობა, მეუნავირობა, ოქრომჭედლობა და სხვა ხელობა მეგრელთა ხელშია. მთელ დაბაში სამი მეწადლეა, 7 - მკერვალი, 5 - ოქრომჭედელი, 5 - მჭედელი, 3 - ქვაბების მკალავი და ერთიც ზეინკალი. 107 ვაჭარში 71 მეგრელია, ხოლო დანარჩენი 36 სხვადასხვა ეროვნებისანი არიან.

აქაურ ვაჭრობას სულს უდგამს და, საზოგადოდ, მთელ თბილისს ცოცხალი ადამიანის ფერს აძლევს სიმინდი. ამ 40-ისა და 50 წლის წინათ აქედან სიმინდი გაჰქონდათ თურქეთში, და დღესაც სამურზაყანოელნი ამ ჭირნახულის მეტს სხვა საზღვარს ვერას აძლევენ ვაჭრობას. სიმინდიცაა აქაური ადგილ-მოცემობის თვალსაჩინო საგანი, სიმინდით-და იბრუნებენ აქაურნი მკვიდრნი სულსა. წინათ, როცა ამერიკა არ გვექიშებოდა, აქაურები ერთ თვალსაჩინო დამაკმაყოფილებელთაგანნი იყვნენ თურქეთის ბაზრისა ამ საქონლით.

და დღეს-კი იმდენი კონკურენტი გამოუჩნდა ამ მხრივ სამურზაყანოსა, რომ, ლამის არის, ხელი აადებინონ სიმინდის თესვაზე. წლეულ, ჩვენებურ სიმინდზე მოთხოვნილებისა და აქედან გამოწვეულ ფასების დაცემისა გამო, თბილისიდან მკათათვის გასულამდე 50.000 ფუთი იმინდი რის გაჭირვებით გაიტანეს; წინა წლებში კი ამ დრომდე 1 და 2 მილიონი ფუთი სიმინდი იყო ხოლმე გატანილი. ამ ზაფხულს თბილისში ოქუმიდან ჩამოტანილი სიმინდი ფუთი ხუთ შაურად გაყიდულა, იმ დროს, როცა თვითონ მიწის მუშას ფუთი სიმინდის შემუშავება შვიდ შაურზე ნაკლებ არ დაუჯდება. აქაური მიწის მუშანი ამ გარემოებამ ძალიან უნდა დააფიქროს, იმაზე მეტი რაც აქამდე უფიქრიათ უკიდურეს გაჭირვებისა და საერთო უბედურების დროსა, თორემ შორს არ არის ჟამი განსაცდელისა.

სიმინდი გააქვთ აქედან უმეტეს წილად თურქეთში. მცირედი ნაწილი საფრანგეთში (მარსელში) მიდის. სიმინდის წამლებნი ლაზები არიან. ნაგების ნაპირად გამოტანის დროს ამ უკანასკნელთ მეგრულ ლაპარაკს ყური მოეკარი, გამოეხმაურე, კითხვად სადაურობა, წინაპრების ვინაობა, გვარი და სახელი. ასე გვიპასუხეს:

ჩვენი წინაპრები სამურზაყანოდან არიან წასულნი ლაზისტანში. ახლაც გვეყვება აქეთკენ შორეული ნათესავებით. მართლაც ზოგს გვარები უცვლელად შეინარჩუნათ. მათ შორის ხშირად შეხედებით ასეთ გვარებსა: მარღანი, ნარაკი, მარშანი და სხვა. მხოლოდ სახელები ოსმალური აქვთ. მეგრულად ლაპარაკობენ, მაგრამ ისე დამახინჯებულად, რომ თუ ყური არ შეაჩვიე მათ ლაპარაკს, გაგება გაგიჭირდებათ. საშინლად ბევრს ურევენ თურქულ სიტყვებს. მენაგობა მათთვის ცხოვრების სახსარს შეადგენს. ოსმალეთის ქალაქებში წასულა, იქიდან სამშობლოში დაბრუნება და სამშობლოდან ისევ თბილისში მოსვლა და სიმინდის ყიდვა, - ამაში გადის მათი სიცოცხლე. ათას თავადასავლიანი, საშიშო, მაგრამ ამ საშიშროებით და ტანჯვა-წვალებით სახე ცხოვრებას ისე შეწყვიტა პატარაობითვე, ისე შეუხისხლხორცებით, რომ მიუღია ჟამი შიშით ყოფნა ლაზთათვის მეორე ბუნებად გადაქცეულა. ამათ ვერ წარმოუდგენიათ, თუ ზღვის გარეშე რამე სიამოვნება არის, ვერ წარმოუდგენიათ მიწის მუშის მყუდრო ცხოვრება, ვერ წარმოუდგენიათ თავისთავი უნაყოფი. ნავია მათი აღმზრდელი აკვანი, ნავი არწვეს

მთელი თავისი დღენი და ერთ დღეს თავისი საყვარელ ნათესავს ეხუტება ლაზი ზღვის ფსკერსა. ქართველებს ჯერხანად მარტო ლაზები-და გვეყვანს მენაგენი. ამასთან მენაგენი თამამნი, შეჩვეული პატარაობითვე ზღვას გამწვრალ-განრისხებულსა და ზღვას დამწვიდებულსაცა.

სიმინდის გარდა აქედან გააქვთ ბზა. თვითონ თურქული სახელი თბილისის (თბილისი - ბზა; თბილისი - საბზე ადგილი) მოწმობს, რომ თბილისის მიდამოში წინათ დიდძალი ბზა იდგა. დღეს კი ამ ძვირფას ხეს თბილისს მიდამოებში კაცი ვერ შეხვდება. რუსეთ-თურქეთის უკანასკნელი ომი შემდეგ დიდძალი მუშტარი მოაწვა ბზას, და ვისაც კარგი, მამაპაპათაგან ხელუხლებლად დარჩენილი ტყე ჰქონდა, ჩალის ფასად ჩაუყარეს უცხოელებს. დღეს ბზის ტყეს ცოტათი თავი შეუნახავს სახაზინო მამულებში (ტყეარჩელის აგარა - 700 დესეტინა და ოქუმის აგარა - 700 დესეტინა) და ოქუმის საზოგადოების ტყეში.

ეს უკანასკნელი წლები თბილისიდან ბზა თითქმის არ გაჰქონდათ. წლებადღებმა ზამთარმა და დიდმა თოვლმა დიდი ზიანი მისცა სახაზინო ბზის ტყეს. ბევრი ბზა დაამტვრია. სახელმწიფო ქონებათა უწყებამაც გაფუჭებული ბზა გაჰყიდა. ამ წრესულ მარაგობისთვის წაიღო ერთმა ფრანგების გემმა 7.000 ფუთი ბზა. წლეულ კიდევ უნდა გაიყვანს იმავე ბზისა 50 ათასი ფუთი. სახარბიელო ფასებშიაც არ გაყიდულა ბზა: ფუთი მანეთად და თერთმეტ შაურად წავიდა.

გარშემო მდებარე სოფლებიდან სოფლის ნაწარმები და კერძოდ სანოვავე თბილისში გასასყიდლად ძალიან ნაკლებად შემოაქვთ. ათასში ერთხელ თუ დაინახავთ სოფლიდან შემოტანილ სულგუნს და ისიც, რა თქმა უნდა, იაფად არ იყიდება. გირვანქა ადგილობრივი ყველისა თითქმის აბაზად ჰგავსობს. მთელი ზაფხული რომ თბილისში დარჩეთ, ადგილობრივად მოწეული ხილით პირს ვერ გაისვენებთ. წარმოიდგინეთ, ლაზებს მოაქვთ აქ გასასყიდლად მსხალი, ვაშლი და სხვა. ლაზებივე ჰყიდიან აჭარიდან მოტანილ ერბოსა. აქაური მეხილე თურქები უფრო ბათუმიდან ეხიდიან ხილსა. ეს იმას უნდა ჰგავდეს, რომ "ანაკლიაში (სამეგრელოშია, სადაც აუარებულ თევზს იჭერენ) ერთ კაცს შემწვარი თევზი მიჰქონდაო". მაგრამ ასე კი-და!

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# ყოველკვირული აგაბი აფხაზეთიდან

## აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი მონაწილეობს საერთაშორისო ფესტივალში

### "ფესტივალ კავკასიას"

აფხაზეთის რესპუბლიკის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი მონაწილეობდა საერთაშორისო ფესტივალში "მშვიდობა კავკასიას", რომელიც ქალაქ ანაპაში გაიმართა. საინფორმაციო სააგენტო "იტარ-ტას"-ის ცნობით ფესტივალი ქალაქის თეატრის სცენაზე გამართული კონცერტით გაიხსნა. ათასობით მაყურებელმა იხილა ჩრდილო-ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ "ალანის" გამოსვლა და მოსმინა ვოლგოგრადის ოლქის კახაკების სიმღერის ანსამბლ "ლაზორის ყვავილის" მიერ შესრულებული მოტივები.

"ანაპა შემთხვევით არ ატარებს რუსეთის საფესტივალ ქალაქის ტიტულს - ყოველწლიურად აქ ოცამდე სხვადასხვა სახის ფესტივალი იმართება და დიდად სასიხარულოა, რომ ამ ღონისძიებებს დაემატა საერთაშორისო ფესტივალი "მშვიდობა კავკასიას", რომელმაც საშემსრულებლო ხელოვნების გრანდებს მოუყარა თავი ჩვენს ქალქში. უეჭველია, რომ ეს მასიური

ღონისძიება დადებითი ემოციებით დაამუხტავს მრავალრიცხოვან მაყურებელს!" - აღნიშნა ქალაქ ანაპის მერმა ტატიანა ესიკოვამ სტუმრებისადმი მისალმებისას.

საერთაშორისო ფესტივალის "მშვიდობა კავკასიას" ფარგლებში გაიმართა კონცერტები კრასნოდარის მხარის სოფლებსა და ქალაქებში. ძალებიც საკმარისი გახლდათ საამისოდ, რადგამ ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად რუსეთის ამ მხარეში ჩამოვიდა ათასობით პროფესიონალი-შემსრულებელი - მუსიკოსი, ხელოვნებისა და კულტურის ჩრდილოეთ კავკასიელი დამსახურებული მოღვაწე. ფესტივალის მონაწილე მსახიობები, რომელთა დღეუ-გაცივებაც ხელმძღვანელობდნენ რეგიონთა კულტურის მინისტრები, უადრესად საინტერესო პროგრამებით წარუდგინენ მაყურებელს.

ფესტივალის იდეური ხელმძღვანელი გახლდათ მარინის თეატრის მთავარი რეჟისორი, რუსეთის სახალხო არტისტი ვალერი გერგევი.

## კონსტანტინოპოლის საპატრიარქო აფხაზეთის მხარის მიმართვის ბანიხილავს

კონსტანტინოპოლის საპატრიარქო აფხაზეთის მხარის პრობლემებით დაინტერესდა და ამ საკითხზე სტამბულში შეხვედრა მიმდინარეობს, რომელსაც ქართული ეკლესიის დელეგაციაც ესწრება, - ამის შესახებ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანმა, დეკანოზმა მიქაელ ბოტკოველმა განაცხადა.


"საკითხი დაახლოებით ასე დგას - აფხაზეთი მხარე ითხოვს გარკვეულ თავისებურებებს, რაც ამ ეპარქიისთვის იქნება აუცილებელი და მათ ამ თხოვნით კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიმართეს. კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ, როგორც დედა ეკლესიამ, თავი ვალდებულია ჩათვალოს, აფხაზეთის მხარის პრობლემებით დაინტერესდეს. აფხაზეთი ამ ბოლომდე, რომ 20 წელია, მათთან საქართველოს და, შესაბამისად, ქართული ეკლესიის იურიდიული ვერ ხორციელდება და აქვთ გარკვეული მოსაზრებები, რაც კონსტანტინოპოლის საპატრიარქომდე მიიტანეს", - განაცხადა დეკანოზმა მიქაელ ბოტკოველმა.

ამასთან, პატრიარქის მდივნის თქმით, კონსტანტინოპოლის საპატრიარქო დღეიდან ქართულ ეკლესიასთან მოლაპარაკებებს იწყებს იმასთან დაკავშირებით, თუ


რა შეიძლება გაკეთდეს აფხაზეთის მხარესთან მიმართებაში.

"შეხვედრა სტამბულში მიმდინარეობს, სადაც ამ მისიით, უწმინდესის ლოცვა-კურთხევით ჩვენი ეკლესიის დელეგაცია იმყოფება. ის მოსმენს არსებულ საკითხს, ჩამოიტანს ინფორმაციას და მასზე უკვე პატრიარქი წმინდა სინოდის წევრებთან ერთად იმსჯელებს", - განმარტა მიქაელ ბოტკოველმა.

რაც შეეხება მედიით გავრცელებულ ინფორმაციას, რომ აფხაზეთის მხარე აფხაზეთის ეპარქიის გამოყოფას ითხოვს, დეკანოზის თქმით, ექვანდამ გამომდინარე, რომ მოლაპარაკებები დღეიდან იწყება, მათი კონკრეტული მოთხოვნა ჯერ უცნობია.



# არა არს დაფარული...



სწორედ ამ სათაურით გამოსცა წიგნი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურმა, კათალიკოს-პატრიარქმა ილია II-მ. წიგნი შედგება „საქართველო და მსოფლიოში“ გამოქვეყნებული ქართველ მართლმადიდებელ სასულიერო პირთა ინტერვიუების და რომლის პრეზენტაციაც, სამღვდელთა წარმომადგენელთა მონაწილეობით, 2012 წლის 25 სექტემბერს გაიმართა სასტუმრო „ამბასადორში“.

აღნიშნულ წიგნში ქართულ რელიგიურ წილში მიმდინარე პროცესებზე და ანგარიშგასაწვევ პრობლემებზე მკითხველებს ესაუბრებიან მეუფე იობი, მეუფე ეფრემი, მეუფე ილარიონი, მეუფე სერაფიმე, მეუფე დავითი, მეუფე გერასიმე, მამა ელიზბარი, დეკანოზი დავითი, არქიმანდრიტი ანტონი და სხვა სულიერი მამები.

წიგნის შესავალი ნაწილი გვაუწყებს, რომ რადიკალური ლიბერალური წრეებისათვის მართლმადიდებლური საქმე, დიდი ხანია, მთავარ სამიზნედ იქცა. გასაცარი ამას არაფერია, თუ გავიხსენებთ ამერიკელ ურია-მასონ ზბიგნევ ბუჰინსკის სიტყვებს: „კომუნისტების დამარცხების შემდეგ ჩვენ გვრჩება ერთადერთი სერიოზული მტერი – მართლმადიდებლობა!“ ამრიგად, საყოველთაო ვესტერნიზაციის მესვეურები მართლმადიდებლური სივრცის დისკრედიტაციისათვის იყენებენ გულუხვად დაფინანსებულ ასეულობით არასამთავრობო ორგანიზაციას, მოსყიდულ მედიას, კონკრეტულ მარტინალ „მოდერნიზაციას“, მარიონეტული რეჟიმების წყალობით კი მართლმადიდებლობასთან ომში აქტიურად მიმართავენ სახელისუფლებო რესურსებსა და სტრუქტურების გამოყენების პრაქტიკას.

ეს ბრძოლა სრულიად კანონზომიერია, რადგან სწორედ მართლმადიდებლობა განსაზღვრავს ტრადიციულ საზოგადოებას, მის მაღალ ზნეობრივ ნორმებს, ეროვნულ

კულტურულ და კონფესიურ თვითმყოფადობას, რომელში შედგება ძალიან უჭირთ საყოველთაო ვესტერნიზაციის იდეის მქადაგებლებს.

თუ უახლეს ისტორიას გადავხედავთ, ცხადი გახდება, რომ სწორედ მართლმადიდებლობა ის ჯგუფი, დამცავი ზღუდე, რომელიც საქართველოში ჯერჯერობით ვერ მონაგრია საყოველთაო ვესტერნიზაციამ და ჩვენი ტრადიციული ეროვნული კულტურისათვის მიუღებელმა სხვა მანკიერებებმა, თუმცა ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიასა და მის წინამძღოლზე ძლიერი შეტევები კვლავაც გრძელდება და მთელ ამ ანტიქრისტიანულ კამპანიას სათავეში უდგას სააკაშვილის აშკარად არაქართული და არამართლმადიდებლური ხელისუფლება. ამ და სხვა საფრთხეების შესახებ ჯერ კიდევ 15-16 წლის წინ, თავის პუბლიცისტურ წერილებში არაერთგზის გვაფრთხილებდა ცნობილი ქართველი პოლიტიკოსი ალექსანდრე ჰაჭია, რაც არც ერთ იდო ყურად და არც ბერმა და სწორედ ამიტომაც ვიმკით ახლა ესოდენ მიიმე შედეგებს!

ბოლო ჟამს ეკლესიის წიაღში ვითარდება საშიში, არასასურველი პროცესები, რადგანაც, რადიკალური ლიბერალიზმის მესვეურები ხვდებიან, რომ ვიდრე დედაეკლესიის ერთიანობას არ შეარყევენ, მის დისკრედიტაციას, ხალხის ინტერესებისა და საზრუნავისაგან მოწყვეტას არ მოახდენენ, საყოველთაო ვესტერნიზაციის იდეას ასრულება არ უწყვირია.

ყოველივე ამის ფონზე ტრადიციების თავიანთსმცემელი ქართული საზოგადოებისათვის ყოველად მიუღებელია როგორც გარე ძალების, ასევე ხელისუფლების და მასთან დაახლოებული წრეების აგრესიული, მტრული დამოკიდებულება ეკლესიის მიმართ.

ამდენად, დღეს, როგორც არასდროს, მნიშვნელოვანია, რომ მართლმადიდებლურმა სივრცემ, ერთმორწმუნე ქვეყნებმა შეძლონ ერთიანი მიდგომების შემუშავება, რათა თავიდან აიცილონ უდიდესი საფრთხე, რომელიც რადიკალი ლიბერალების მიერ წამოწყებული ანტიმართლმადიდებლური ომი გვიქადის.

სახელისუფლებო პროპაგანდისტული მანქანა წარამარა გავრწმუნებს, რომ ეკლესიასა და ხელისუფლებას შორის სრული იდილია და ურთიერთგაგება სუფევს, რომ თითქოს ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ხელისუფლების ყველა გადაწყვეტილებას უპირობოდ ეთანხმება და მხარს უჭერს...

არასამთავრობო იურიდიულ პირ „ისტორიული მემკვიდრეობის“ მიერ გამოცემული ამ წიგნი-კრებულიდან კარგად ჩანს, რომ ეს ასე არ არის და სინამდვილეში ეკლესიის პოზიცია ხალხის, საზოგადოების დამოკიდებულების იდენტურია და იგი მართლმადიდებლობის წინააღმდეგ გარე ძალებისა თუ ხელისუფლების თავგასულობის, მტრული პოლიტიკის ერთმნიშვნელოვან დაგმობაში გამოიხატება. რაც შეეხება პირადად მიხეილ სააკაშვილის დამოკიდებულებას ქართული ეკლესიისა და მისი წინამძღოლის მიმართ, სწორედაც რომ უპატივცემულობის კლასიკური ნიმუში გახლდათ ის, რომ სააკაშვილი მახათას მთაზე ტაძრის საძირკვლის ჩაყრაზე ალკოჰოლით თუ ნარკოტიკებით თავგამოთავიანებული მივიდა, ფეხზე ვედარ იდგა, სავარძელში ჩაბურტყა და დამჯდარი შეეგება მისი უწმინდესობის ილია მეორეს მობრძანებას.

როგორც ასეთ შემთხვევაში ამბობენ: უპი უშმაას!

## ივანიშვილი: „დადგა დრო, აღვადგინოთ ბზა აფხაზებისკენ“

ბიძინა ივანიშვილი პირობას დებს, რომ აღადგენს გზებს აფხაზეთისაკენ. 22 სექტემბერს ზუგდიდში ხალხმრავალ მიტინგზე მან განაცხადა, რომ მისი ოპოზიციური კოალიცია „ქართული ოცნება“ აფხაზეთთან რკინიგზისა და საავტომობილო მიმოსვლის აღდგენის საკითხს განიხილავს. „რკინიგზაც და საავტომობილო ტრასაც ქართველებსაც და აფხაზებსაც გაუსხნის გზას რუსეთის ბაზრისაკენ, რაც აუცილებელი იქნება ჩვენი ეკონომიკის აღორძინებისათვის“, – განაცხადა მან და დასძინა, რომ რკინიგზის გახსნა აფხაზ ბიზნესმენებსაც მისცემს თავიანთი ბიზნესის განვითარების საშუალებას და მათ ქართულ ეკონომიკაში მონაწილეობით დაინტერესებს.

„დღეს მინდა, ზუგდიდიდან მივმართო აფხაზებსა და ქართველებს და შევხსენო მათ, რომ ჩვენ ერთმანეთის სისხლი დავღვარეთ – ამას გამართლება არ აქვს. ჩვენ აუნაზღაურებელი მსხვერპლი გავიღეთ, მაგრამ

გრამ ახლა დადგა დრო, როცა ურთიერთობის აღდგენაზე უნდა ვიზრუნოთ, საერთო მომავალზე უნდა ვიზრუნოთ, დრო არ ითმენს... ჩვენ ბევრი საერთო გვაქვს და ეს უნდა გამოვიყენოთ“, – განაცხადა მან. აფხაზების მიმართ ივანიშვილმა კიდევ ერთი გზაჩვენა გააუქმდა, რომ გალის რაიონი გახდეს დამაკავშირებელი ხიდი, შერიგების ხიდი ქართველთა და აფხაზთა შორის.

„ჩვენ ასეთ გეგმას შევთავაზებთ აფხაზებს: გამოვაცხადოთ გალი მშვიდობის რეჟიმონად“, – განაცხადა მან.

„ჩვენი გუნდი არასოდეს დაუშვებს პროვოკაციებს და არ გამოიყენებს გალის მოსახლეობას აფხაზეთის წინააღმდეგ, როგორც ამას სააკაშვილი აკეთებდა. მსგავსი უღირსი პოლიტიკა სააკაშვილის ხელისუფლებასთან ერთად დასრულდება“, – განაცხადა ივანიშვილმა.

„სამეგრელოში უნდა ჩაეყაროს საფუძველი აფხაზეთის დაბრუნებას. ჩვენ

ვიპოვით ღირსეულ გამოსავალს ამ ვითარებიდან ჩვენს აფხაზ მძებთან ერთად. საქართველოში აფხაზეთი თავისი ნებით უნდა დაბრუნდეს და, რაც მთავარია, აფხაზეთი საიმედო, რეალური და სასურველი მომავლის წყურვილმა უნდა მოიყვანოს ჩვენთან მხოლოდ და არა იმ ძალადობამ და ძალადობრივმა გამონათქვამებმა, რასაც სააკაშვილი მუდმივად ხმარობს“, – აღნიშნა მან თავის გამოსვლაში.

„ქართული ოცნების“ ლიდერმა, ასევე, ყურადღება გაამახვილა დევნილთა თავიანთ სამშობლოში დაბრუნების აუცილებლობაზე.

„აფხაზეთში დევნილების დაბრუნების გეგმაც კი გათვლილი მაქვს, – განაცხადა მან, – რამდენი სახლი უნდა აშენდეს, რათა თანხები დასჭირდებოდეს, როგორ უნდა დავაბრუნოთ – იცოდეთ ყველაფრის პროექტი უკვე გამზადებული გვაქვს და აუცილებლად ყველაფერს მშვიდობიანად გავაკეთებთ“.

## სოსო პავლიაშვილი: „ხელისუფლებამ ქართველ ერს მსოფლიოში თავი მოსჭრა“

საქართველოს ხელისუფლებამ ქართველ ერს მსოფლიოში თავი მოსჭრა, – ამის შესახებ „ინტერპრენსიუსს“ მომღერალმა სოსო პავლიაშვილმა განუცხადა.

მომღერალმა მოსკოვიდან სატელეფონო ჩართვის დროს აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ პატიმართა წამების ფაქტებით თავისი სახე წარმოაჩინა და ამით მსოფლიოს ნეობოლშევიზმის სახე უჩვენა.

„ამ გარეწრებმა და გარეწრებზე უარესებმა მსოფლიოს უჩვენეს თავიანთი რეალური სახე ნეობოლშევიზმისა. როგორ უნდა იცხოვრონ იმ ნაწამებმა პატიმრებმა ხვალ? რომლებსაც თავზე უქნეს, დაანორმეს და გადაუარეს? მე პოლიტიკა არ მაინტერესებს, პოლიტიკა ჩემთვის ბინძური ბიზნესია, მაგრამ ვერც იმას მოვიტყენ, ხმა არ ამოვიღო საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე. წლებია ამ გარეწრებმა ჩემზე ისეთი პიარი ააგორეს, რომ მანდ ჩამოსვლა

არ მინდა. მაგრამ მე სადაც არ უნდა ვიყო, 9 ხელისუფლებაც რომ შეიცვალოს, ყველგან საქართველოს შვილი ვრჩები. მიყვარდა, მიყვარს და მეყვარება ჩემი სამშობლო და ხალხი. ამ დეგენერატებს ცოცხი უნდათ. წლების წინ ვამბობდი ხოლმე, ესენი თავისი სიკვდილით ვერ მოკვდებიან“, – აღნიშნა სოსო პავლიაშვილმა.

მომღერლის თქმით, დღეს საქართველოში ისევ აქტიური გახდა სიმღერა „სამშობლო“.

„ეს სიმღერა მარტო სამშობლოს თავისუფლებაზე არ არის. უფრო ღრმა შინაარსისაა. ვინც დღეს ამ სიმღერას ისევ მღერის საქართველოში, მეც მათ გვერდზე ვარ“, – აღნიშნა მომღერალმა.

სოსო პავლიაშვილმა ხელისუფლებას „დიდი მადლობა“ გადაუხადა, რომ მას სამშობლოში დაბრუნების საშუალებას არ აძლევს, რადგან ის დამცირებას ვერ აიტანდა და „ხმის ამოდება შესაძლოა, მიიმედ დასრულებულიყო“.



**პოეზიის კუთხე**

### მრცხვენია!

მრცხვენია! – ღმერთო, აღარ ვიყო ნეტა ცოცხალი!

მრცხვენია! – მიწავ, გამისკდი და თან ჩამიტანე!

მრცხვენია! – სული მტვრად აქციეს, ვიდრე ცოცხამდი!

მრცხვენია! – ჩემი ჯიში ერქვას... და, ამისთანებს?!

მრცხვენია! – კაცად აღარ უნდა გახდომი ეშმას!

მრცხვენია! – სისხლის გაშვება და იქცა ჭაობად!

მრცხვენია! – სულზე აბიჯებენ ჩემს მოდგმას ჩექმას!

მრცხვენია! – როგორ გამოშინეს მთელი თაობა!

მრცხვენია! – ისევ გადაფხიკეს მეორედ შოთა!

მრცხვენია! – მოკლეს წიწამურთან, ისევ ილია!

მრცხვენია! – ძვლები წინაპრების, საფლაგში შფოთავს!

მრცხვენია! – ვერცხლი, ოცდაათი, გადახდილია!


მრცხვენია! – უცხო თესლი, გულში, ალბათ იცინის!

მრცხვენია! – დედის ცრემლი, ცეცხლზე უფრო ცხელია!

მრცხვენია! – გულში ჩაყინული ავი სიცივის!

ღმერთო მომკალი! – სასირცხვილო მჭირს და მრცხვენია!

**საშა გველესიანი**



# ბერი XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

## თარგმანი როლანდ ჯალალნიასი

### სახბიო ხელოვნება

ეს ჭორი რომ რეალურ სიტუაციას შევუდაროთ, აბსოლუტურად განსხვავებულ სურათს მივიღებთ:

“სწორედ არაკეთილშობილი დამსახურებულ მიიხრევა ნ.პ. გლინოვიჩი იმ ამბავს, რომ მეფის დაცვა შეიფარო კომპეტენტური ოფიცრებით...”

არამზადები სხვადასხვანაირ ბინძურ ჭორებს ავრცელებდნენ არაკეთილშობილ დამსახურებულ მიიხრევა ნ.პ. გლინოვიჩი იმ ამბავს, რომ მეფის დაცვა შეიფარო კომპეტენტური ოფიცრებით...”

მაგრამ სულ სხვა რამეზე მეტყველებენ არაკეთილშობილი დამსახურებულ მიიხრევა ნ.პ. გლინოვიჩი იმ ამბავს, რომ მეფის დაცვა შეიფარო კომპეტენტური ოფიცრებით...”

“იმიტომ, რომ რეკრუტა მომზადების პროცესი მათ ტანჯავდა არ ექცეთ, ჯარისკაცის სრულყოფილად აღზრდისათვის აუცილებელი იქნება მათი მიმიხრევა ნ.პ. გლინოვიჩი იმ ამბავს, რომ მეფის დაცვა შეიფარო კომპეტენტური ოფიცრებით...”

უადგილო არ იქნება, რომ ორი ადამიანის – არაკეთილშობილი დამსახურებულ მიიხრევა ნ.პ. გლინოვიჩი იმ ამბავს, რომ მეფის დაცვა შეიფარო კომპეტენტური ოფიცრებით...”

“არაკეთილშობილი დამსახურებულ მიიხრევა ნ.პ. გლინოვიჩი იმ ამბავს, რომ მეფის დაცვა შეიფარო კომპეტენტური ოფიცრებით...”

მაგრამ არაკეთილშობილი დამსახურებულ მიიხრევა ნ.პ. გლინოვიჩი იმ ამბავს, რომ მეფის დაცვა შეიფარო კომპეტენტური ოფიცრებით...”

მაშ ასე, ძვირფასო მკითხველო, ვინმეს ხომ არ გაგონებთ არაკეთილშობილი დამსახურებულ მიიხრევა ნ.პ. გლინოვიჩი იმ ამბავს, რომ მეფის დაცვა შეიფარო კომპეტენტური ოფიცრებით...”

მაგრამ შეიძლება კი, რომ ასეთი ადამიანი ყველას მოსწონებოდა? და, აი, რას სწერს არაკეთილშობილი დამსახურებულ მიიხრევა ნ.პ. გლინოვიჩი იმ ამბავს, რომ მეფის დაცვა შეიფარო კომპეტენტური ოფიცრებით...”

“რა თქმა უნდა... არაკეთილშობილი დამსახურებულ მიიხრევა ნ.პ. გლინოვიჩი იმ ამბავს, რომ მეფის დაცვა შეიფარო კომპეტენტური ოფიცრებით...”

...მართლაც, ძნელია რუსეთის ისტორიაში მოიძებნოს არაკეთილშობილი დამსახურებულ მიიხრევა ნ.პ. გლინოვიჩი იმ ამბავს, რომ მეფის დაცვა შეიფარო კომპეტენტური ოფიცრებით...”

სალანდლავი ეპიტეტებით: სატანა, ქაჯებისა და ავსულების რაინდი, ჯოჯოხეთის მოციქული, უგრძობელი ადამიანი, ადამიანების ცოცხლად მჭამელი, კეიღაზი ბოროტი, ბარბაროსი, ბოროტმოქმედი...

კითხულობ ამას და ფიქრობ: “რატომ, რომ რუსეთის ისტორიის ყველა ეტაპზე “მაღალი ელიტა” ორგანულად ვერ იტანდა საქმიან სახელმწიფო მოღვაწეებს!”

თუმცა, თვით “ისტორიკოსები” ვ. ნაუშოვი და ი. სიგანოვიც კი იძულებული არიან ზოგჯერ გამოსცრან კბილებიდან, რომ ბერიას, როგორც “სისხლიანი ჯალათის... კარიერისტი... ინტრიგანის და ძალაუფლებაზე შეყვარებული არამზადის” პორტრეტი შექმნილია ცეკას 1953 ივლისის პლენუმზე “კოლექტიური ძალისხმევით შედგება”. ამასთან, აღიარებენ, რომ “ეს შეფასებები, წლების განმავლობაში, ოდნავადაც კი არ შეცვლილა”.

საბედნიეროდ, ჩვენს საზოგადოების ჯანსაღ ნაწილს ამ საკითხთან დაკავშირებით სრულიად საწინააღმდეგო აზრი უყალიბდება, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ივლისის პლენუმის შემდეგ პარტიკრატია და “შემოქმედებითი ინტელიგენცია” ბერიას სახელის “გამაგების” მეტს არაფერს აკეთებდა.

ერთ-ერთი ტიპური მაგალითი: 2007 წლის 29 ივლისს “HTB”-ზე გაუშვეს გადაცემა ნინო ბერია-გაგუკორზე და რა გგონიათ, როგორი სათაური ჰქონდა ამ გადაცემას? სწორია – “ნინო ბერია. ავსულის მეუღლე”. და, როგორ ფიქრობთ, ვინ მონაწილეობდა ამ გადაცემაში? არც აჩუგედიან და არც კრემლის ცოლების” ყველა დროის საუკეთესო მეგობარი ლარისა ვასილიევა და ყველა დროის “დემოკრატიული პროცესის” თანამდევნი: როი მედვედევი და მედვედევი მოუთხრობს ტელემაყურებლებს, რომ კრემლში მთავარი საშვი იყო დახვეწილი და დასახვერებელი განწირული ადამიანების ხელმოწერილი სია.

2007 წლის 13 ნოემბერს ვიღაც ანდრეი მალახოვის ტელეგადაცემაში “ღამე ილაპარაკონ”, მოხუცი ქალები ამბობენ, რომ მათი გამაუპატიურებელი ბერია განუყოფელი მხეცი და არაადამიანი იყო.

შეკრული ვლადიმერ კარპოვი კი თავის წიგნში “დახვეწილი მარშლები” მოკითხრობს, რომ ბერიას კონტროლქემ შუამოსდნენ ყველა ქარხნები, რომლებიც შეიარაღებული ძალების საჭიროებისათვის უშვებდნენ თვითმფრინავებს, ტანკებს, ზარბაზნებს და სხვა იარაღს. შემდეგ იგი წერს:

“აი, ამ სამუშაოებში ბერია ძალზე თავისებური მარშალი იყო. მას ჰყავდა არა ის არმია, რომელსაც მეთაურობენ მხედართმთავრები, არამედ სულ სხვის არმია, რომელიც აღწერილი აქვს სოლჟენიცინის თავის წიგნში “გულაგის არქიპელაგი”. ეს გახლდათ უზარმაზარი, მრავალმილიონიანი, რიცხობრივად ბევრად უფრო მეტი, ვიდრე წითელი არმია (ომის დროს საბჭოთა არმიაში 10 მილიონი ადამიანი მსახურობდა – ს.კ.). აი, სწორედ ამ არმიას მეთაურობდა (ბერია მაშინ უშიშროების გენერალური კომისარი იყო – ს.კ.) იგი პირადად და საკუთარი სურვილისამებრ. რამდენიმე ათასი (და ეს ეპიტეტ “მრავალმილიონიანის” შემდეგ – ს.კ.) ადამიანი იყო დასაქმებული ახალი ობიექტების მშენებლობაზე, ვეკაუირებული ქარხნების აღდგენაზე, საბჭოთა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში”.

სიბოროტით თვალდავსებული კარპოვი ვერ ამხნევს, რომ ამ სიტუაციით იგი შეურაცხყოფას აყენებს ზურგში მომუშავე უამრავ საბჭოთა ადამიანს, რომლებიც ფრონტს უზრუნველყოფდნენ! მან შეურაცხყოფა ურალმაშის და სტალინგრადის ქარხნის “ბარიაკადის” შრომითი კოლექტივები, ივეცსელი მეთაურები, ციმბირელი თვითმფრინავებისა და ძრავების შემქმნელები, დიდი და პატარა თავდაცვითი ობიექტების მშენებლები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების თანამშრომლები... კარპოვი საზეიკლო ჩარხთან ფეხის წვერებზე მდგარ ანია ლოპოტინსკიასაც წარმოვიდგენს როგორც “სატრაპი” ბერიას წინაშე შიშით მოცაცხვებულ მონას, რომელსაც

დღემუდამ იმის პანიკური შიში აწუხებს, რომ “სატრაპი ბერიაში” მისი სულისკვეთება სწორად არ გაიგოს!

ამასთან, კარპოვი, თავის “სალამოს საუბრებში ვიქტორია ბრევენეასთან”, აღაშფოთა იმ ჭორებმა, თითქოს ბრევენეას გაანდოდა ზღაპრული აპარტამენტები საცურაო აუზით მერ სართულზე. ბრევენევი კი ცხოვრობდა კუტუზოვის პროსპექტის 26 ნომერში, “კომუნალურ ბინაში”, გვაუწყებს კარპოვი, – რომელიც ოდნავადაც არ ჰგავდა სახელმწიფოს მეთაურის საცხოვრებელს: სასადილო ოთახი, კაბინეტი, საძინებელი, კიდევ ერთი საძინებელი, მომცრო სასტუმრო ოთახი, სადაც ცხოვრობდა ქალიშვილი – გალია, პატარა ოთახი სამხრეთულთან ახლოა, სადაც ცხოვრობდა მომსახურე პერსონალი”.

აი, ბრევენევის ყოფის თაობაზე სახელდახელოდ შექმნილი სცენა! მართალია, ბრევენევი იყო პარტიკრატი, მაგრამ “დემოკრატიკონსერვატივი იგი არასოდეს ყოფილა. ბრევენევი სულელოდა სუსტი და არაკომპეტენტური პიროვნება გახლდათ, მაგრამ გაიძვერობა და სიხარბე არ ახასიათებდა. ჭორი კი ჭორია – ბერიაზე შეიქმნება იგი (უარყოფითი კონტექსტში), თუ ბრევენევი (დადებითი კონტექსტში).

ამგვარია “შემოქმედება” მიერ გაწეული ღვაწლი ბერიას ლანდვის ფრონტზე, რომელსაც ბრემად იჯერებს საზოგადოების არც თუ შემოქმედი ნაწილი. შეიარაღების სახალხო კომისრის პირველი მოადგილე ვლადიმერ ნოვიკოვი წერდა ბერიაზე:

“ახლა ხშირად იხსენებენ ამ ბოროტ პიროვნებას, რომელიც მუდამ თან ახლდა სტალინს (საინტერესოა, ბერია სტალინის პირადი მეგობარი იყო? – ს.კ.) და წარმოგადგენენ მას უბრალო მკვლელად და მოძალადედ. მაგრამ იყო კი ბერია ასეთი უბრალო და მარტივი დამნაშავე? არა, ბატონებო, იგი ურთულესი ადამიანი და საკმაოზე მეტად გაქნილი ბოროტმოქმედი იყო (ნოვიკოვი, რატომღაც, მხედველობიდან “გამორჩა” დიდი სამამულო ომის დროს ბერიას მიერ ჩატარებული ზღვა სამუშაო, როცა იგი თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე იყო – ს.კ.)”.

აი, ასე, უბრალოდ და გულდასაწყობად ატაცს ბერიას პორტრეტს გენერალი ნოვიკოვი.

ავიღოთ იური გერმანის ცნობილი (ყოველი შემთხვევისათვის – იმ პერიოდში) ტრილოგია დოქტორ ვლადიმერ უსტიმენკოს თაობაზე. ამ ნაწარმოების ერთ-ერთი შთამბეჭდავი პერსონაჟია ვლადიმერის დეიდა – ავლაია პეტრეს ასული უსტიმენკო. ესაა ლამაზი ქალი, ჩეკისტის ქვრივი, პარტიული მუშაკი და სუფთა სულის ადამიანი, რომელიც ომის დროს მუშაობდა იატაკქვეშეთში – და ეჭვი განდა, რომ ავლაია სამშობლოს მოღალატე იყო. შედეგად, ჯერ კიდევ ომის დამთავრებამდე იგი შრომა-გასწორებით ბანაკში აღმოჩნდა.

მაგრამ იგი, სასწაულებრივად გაათავისუფლეს – რეაბილიტაციის გარეშე... და უსტიმენკო გადაწყვეტს რომ განთავისუფლების შემდეგ მშობლიური უნანსკიდან გაემგზავროს მოსკოვში, რათა “ამხილოს ორგანოებში გამძვარი მტრები...”

ეს ხდება არა უადრეს 1946 წლის გაზაფხულისა, იმიტომ, რომ რომანში ნახსენებია შინაგან საქმეთა სამინისტრო, 1946 წლის 15 მარტს კი სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროდ. აი, როგორი დიდი იმარტება ნაწარმოებში:

– დარჩი უნანსკო, – ყრუდ თქვა ვლადიმერ ათანასეს ძემ. – არ მესმის რა ხდება... და თუ ეს შესაძლებელია...

– არა, – გააწვევინა ქალმა, – ჩემთვის ყველაფერი ნათელია – მე აუცილებლად მივალწვე ლავრენტი პავლეს ძე ბერიამდე...”

ამრიგად, ქალი მოსკოვში გაემგზავრა... და, ბუნებრივია, რომ ბერიას შემდეგ აღარ დაბრუნებულა... იგი ხელმეორედ, ამჯერად უკვე 1953 წელს – საბოლოოდ გადაყლაპა ბუშაბ-მა.

აქ კი, მე, იძულებული ვარ შევძახო: “რას აღარ კადრულობენ ეს ადამიანთა სულების ინჟინრები!” გერმანს სურდა დამნაშავედ გამოეყვანა ბერია, ფაქტიურად კი პირიქით გამოუვიდა, ისე, რომ თავდაცვერ ხვდებოდა ვერაფერს, ისევე, როგორც ვერ ხვდებდა მისი მილიონობით მკითხველი. თავიდან ამას ვერც მე ჩაუხვდი – ასეთია “ხელოვნების მაგიური ძალა”. მაგრამ რა იკვეთება გერმანის მიერ შემდეგ აღწერილ კოლიზიებში? აი, რა...

თუ უმწიკველო და კრისტალურად წმინდა რეპუტაციის მქონე კომუნისტი ავლაია სამარტლის საპოვნელად “ბერიასთან მიიწვრაფოდა”, ეს იგი, ქალი მას უსაზღვროდ ენდობოდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მის თანამედროვე საბჭოთა საზოგადოების აქტიურ ნაწილს იგი მიიჩნედა არა “ჯალათად”, არამედ სანიშნუი კომუნისტად და ადამიანად.

და რატომ უნდა შინებოდა ბერიას პატიოსანი კომუნისტი ქალს უსტიმენკოს? მოვიდა რა 1938 წელს სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროში, ბერია და საპატიმროებიდან გაანთავისუფლა ასობით ათასი რეპრესირებული და შინაგან საქმეში დაამკარა წესრიგი. ომის დასაწყისიდან იგი იყო სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მკვლევარული წევრი, შემდეგ კი – თავმჯდომარის – ამხანაგ სტალინის მოადგილე. მართალია, გერმანიის ნიჭიერი მწერალია, მაგრამ ჭეშმარიტებას გვერდი მაინც ვერ აუარა და მის დაუხვედრად წარმოვიდგინა ბერია დადებით პერსონაჟად – 1953 წლის 26 ივნისამდე ბერია მონსტრად არ გამოიყურებოდა და საბჭოთა ხალხის მასობრივ შეგნებაში ღირსეული ადგილი ეკავა.

მაგრამ გერმანს მაინც აურია თარიღები – 1946 წელს, ბერიასთან შესახვედრად, მან ავლაია ლიუბიანკაზე გააგზავნა, მაშინ, როცა კრუგლოვს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მერკულოვის უშიშროების სამინისტროსთან ბერიას არავითარი საქმიანი კავშირი არ გააჩნდა. იგი, როგორც სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სპეცკომიტეტის თავმჯდომარე, ამ დროს კრემლში იჯდა, და არა ლიუბიანკაზე!

აი, რას სწერს “ადამიანთა სულების სხვა ინჟინერი” კონსტანტინე სიმონოვი: “მას დამატებითი პოპულარობის მოპოვება ეწადა და საკუთარი თავი წარმოადგინა პიროვნებად, რომელსაც თითქოს სტალინი აღარ ენდობოდა...”

სიმონოვი ცრუობდა, რადგან ყველაფერი პირიქით იყო. ეს ჩანს ბუნებრივად გამოგზავნილ ბერიას წერილებიდანაც... სიმონოვი რომ მართალი ყოფილიყო, მაშინ ბერიას უნდა მიეწვრა პოლიტიკურს წევრი ყოფილი მეგობრებისათვის, რომ სტალინის სიბოროტეების მხილებაში მეც თქვენს გვერდით ვარო. იგი კი აღიარებდა სტალინის გენიას და მისი პიროვნების უსაზღვრო ისტორიულ მასშტაბებს.

სიმონოვი მართლაც უსინდისოდ ცრუობდა, რადგან ბერიასადმი სტალინის რომელ უნდობლობაზე შეიძლება საუბარი, მაშინ, როცა 1952 წლის ოქტომბერში სტალინმა ბერია შეიყვანა სკკპ პროგრამის გადამამუშავებელ მცირერიცხოვან კომისიაში, შემდეგ – უფრო მცირერიცხოვან “ხელმძღვანელ ხუთეულში”, შემდეგ კი – 1953 წლის დასაწყისში ბერია გახდა “რეული სამეულის” წევრი.

ამასთან, სიმონოვი აწკარად განიცდის კრახს, როგორც ქრონიკორი, როცა ამტკიცებს, რომ სტალინის გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე სტალინმა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნა “ძველი თაობის პარტიული მუშაკი” ივანტევი. ჯერ ერთი, ეს მოხდა არა სტალინის გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე, არამედ დაახლოებით 17 თვის წინ – 1951 წლის წლის 9 აგვისტოს... მეორეც, ივანტევი ნამდვილად არ იყო “ძველი თაობის პარტიული მუშაკი”!

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

SOS პედოფილია! რატომ ვლუმბარო, როცა არასრულწლოვნებზე ძალადობენ

ციხეებში პატიმრების წამებაში ხელისუფლების მხილების შემდეგ კიდევ რამე თუ გავაკვირებდით, არ გვეგონა, მაგრამ საქართველოს თურმე გულ-გვამს უზრავს კიდევ ერთი სენი – პედოფილია!

პედოფილია ის უბედურებაა, რომელსაც ყველა უნდა აუხმედრდეს. არადა, სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში კვლავაც ღრმად არის გამჯდარი ის ორმაგი სტანდარტი, რომელიც ავადსახსენებელ საბჭოთა პერიოდში მძლავრობდა და ამა თუ იმ “დელიკატური” მოსახრებით, სრულიად შეუწყნარებელი მოვლენის მიჩქმალვას განაპირობებდა: ვიღაცა ოჯახის პრესტიჟს “უფრთხილდება”, ვიღაცა – სახელოვანი, თავის სფეროში გამორჩენილი, მაგრამ პირად ცხოვრებაში უხელო ადამიანის, არამზადის სახელს!..

ბოლო ხანებში, არასრულწლოვნებზე სექსუალური ძალადობის ფაქტის შესახებ ინფორმაცია ქვეყნის ხან ერთი, ხან მეორე კუთხიდან ვრცელდებოდა. რამდენიმე შემთხვევა დედაქალაქშიც მომხდარა; მათგან ზოგი გამოიძიეს, ზოგი – მხოლოდ ჭორის დონეზე დარჩა.

ლაპარაკია 1977 წელს თბილისში მომხდარ დანაშაულზე, რომელიც იმ პერიოდში თურმე, მთელი ქალაქის მიტოქა-მოტოქის საგანი იყო, ოღონდ, საბჭოთა ცენზურის “საუკეთესო ტრადიციის” შესაბამისად, ამაზე არა საჯაროდ და მასმედიაში, არამედ – მხოლოდ “სამზარეულოებში” მსჯელობდნენ; დაობდნენ და კამათობდნენ იმ გარყვნილების შესახებ, რომელშიც მოზარდი გოგონები, უმეტესად – ნიჭიერთა მუსიკალური ათწლეულის მოსწავლე გოგონები რამდენიმე ცნობილ ასაკოვან მამაკაცს ჰყავდათ ჩათრეული. დამნაშავეებს შორის, ოთარ კობერიძესა და კიდევ რამდენიმე ცნობილ მსახიობს ასახელებდნენ. ამჯერად კი ეს საქმე იმის გამო ამოტივტივდა, რომ პოლიტიკურ აზრთა შეხლად-შემოხლის საბაბით, სწორედ კობერიძეს ესროლეს ბრალდება.

კერძოდ, მისი ცხოვრების ეს “შავი ღაქა” მსახიობს ლიტერატორმა ელიზბარ ჯავახიძემ შეახსენა. და კვლავ, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, ჭორ-მართალი ერთმანეთში აირია: პედოფილიაში ეჭმი-ტანილი კობერიძე (და სხვებიც) მაშინ პატიმრობას თურმე შევარდნაძემ გადაარჩინა; მსახიობი მაშინ, სახლგარეშეთ გაამგზავრეს, ვიდრე აუთორიტი ჩაცხვრიდა... თავად კობერიძემ ჯავახიძის ბრალდებას ცილისწამება უწოდა და, დირსების შედახვისთვის, იმ გაზეთის რედაქციას, სადაც ინტერვიუ გამოქვეყნდა, სასამართლოს წევს, მორალური ანაზღაურების საკომპენსაციოდ 50 ათასი ლარი მოსთხოვა და პროცესი მოიგო კიდევც:

მაგრამ დავებრუნდეთ 1977 წელს, როცა მუსიკალური ათწლეულის ხელმძღვანელი (ერთ-ერთი ვერსიით – ერთ-ერთი ხელმძღვანელი ან, კიდევ ერთი ვერსიით, – უბრალოდ მასწავლებელი) კონსტანტინე ანთაძე დააპატიმრეს და გარყვნილი ქმედებისთვის გაასამართლეს. ცნობილია ისიც, რომ პატიმრობას გადარჩენილი კობერიძე ანთაძის პროცესზე მოწმის სტატუსით დააკითხეს. ბრალდებულ კონსტანტინე ანთაძეს 5 წელი მიესაჯა და სასჯელი ბოლომდე მოხდა.

სამწუხაროდ, მათ მსგავსად, მოზარდები დღესაც ხდებიან მოძალადეების მსხვერპლი. გავრცელებული ინფორმაციით, ცოცხალი ხნის წინ, ხარაგაულში, 13 წლის გოგონა ჩინელმა იმიგრანტმა გაუპატიურა, მაგრამ ამ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე არც აღძრულა. უფრო მეტიც – “თავისუფალი საქართველოს” მაკორიტარობის კანდიდატი – ვია ყრუაშვილი ირწმუნება, რომ გოგონას ოჯახი სოფლიდან გადაიხვეწა.

ბია ყრუაშვილი: – სოფელი მოსაკიდელი მთის ძირასაა. ირგვლივ ტყეა, სადაც სულ 25 ოჯახი ცხოვრობს. ფაქტის გადასამოწმებლად გოგონას სახლში მივედი, მაგრამ იქ არავინ დამხვდა. მეზობლებმა მითხრეს, ამ შემთხვევის შემდეგ სოფლიდან მთელი ოჯახი წავიდა და მათი ადგილსამყოფელი არ ვიცითო. როცა ამ საკითხზე ხარაგაულის გამგებელსა და საკრებულოს თავმჯდომარეს ველაპარაკე, მითხრეს, ეს სოფელი მოსაკიდელი კი არა, სოფელ ხევიში მოხდაო... როგორც გავარკვიე, ასეთი ფაქტი სხვა სოფელშიც მომხდარა, იქაც ჩინელმა არასრულწლოვანთან სექსუალური კავშირი დაამყარა,

მაგრამ ოჯახმა იგი აიძულა, ბავშვი ცოლად შეერთო... არც ერთ ფაქტზე საქმე არ აღძრულა, რადგან დაზარალებულ ოჯახებს პოლიციისთვის არ მიუმართავთ. თუმცა, რა მიმართვა უნდა ამას? ხომ შეიძლება, ყველაფერი გამოიძიონ და დამნაშავე დასაჯონ!.. მოსახლეობა შეილებს შიშით სკოლაში მარტო ვეღარ უშვებს. არადა, ბავშვებს სკოლაშიც 6-8 კლასის ფეხით გაგლა უწევთ... ის 13 წლის გოგონაც სკოლიდან მოდიოდა, როცა ჩინელმა ჯიპი გაუჩერა და სახლამდე მიეყვანა შესთავაზა. იმ კაცმა არასრულწლოვანი გააუპატიურა ამ ინფორმაციის გადასამოწმებლად სხვა წყაროსთანაც ვიცადეთ და ერთი ადამიანის მოყოლილი ამბავი გაცილებით შემზარავი აღმოჩნდა.

ლია, ხარაგაულის მკვიდრი (სტილი დაცულია): – ეს ნამდვილი ამბავია. გოგონა მართლა გააუპატიურეს. ამბობენ, ჩინელმა ჩაიდინაო. მერე, რომ არ ეჩივლათ, თბილისში ბინა აყიდვინეს ამ ჩინელს და ახლა ის და გოგონა იქ ცხოვრობენო. მაგრამ სოფელში ასევე აქტიურად საუბრობენ სხვა ვერსიებზე. მეზობლებმა მითხრეს, – ჩინელმა კი არა, ბავშვის ბიძამ, დედის ქმარმა გააუპატიურა და ამის შემდეგ აქაურობა დატოვეს... გოგონას მშობლები გარდაცვლილი ჰყავს და დედასთან და ბიძასთან იზრდებოდა. ეს რამდენად რეალურია, ვერ გეტყვით. ბიძას რომ შეხვდა, საწყალი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს; ვერ წარმომიდგენია, მას ეს დანაშაული ჩაედინა. ამ ფაქტზე რატომ არ აღიძრა საქმე, უცნობია, მაგრამ ცხადია – ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა, როცა დამნაშავე დაუსჯელი დარჩა.

ყველაზე მეტად შემზარავი ის არის, რომ არასრულწლოვნებზე მოძალადეობად ხშირად, მათი ოჯახის წევრები ან უახლოესი ნათესავებიც გვევლინებიან და ასეთი ფაქტები არ ხმაურდება. თუმცა ხდება გამომთვალისწინებელი. ალბათ საზოგადოებას ასხვავს თბილისში მომხდარი შოკის მომგვრელი ამბავი – 13 წლის გოგონა საკუთარ ძმასა და მამას სექსუალური ძალადობაში ამხელდა. ამ საქმეზე განაჩენი თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოიტანა. სხდომა დახურული იყო, განსახსჯელის სკამზე კი, საკუთარი შვილის გაუპატიურებისა და სექსუალური ხასიათის ძალმომერებაში ბრალდებული მამა და მისი ვაჟიშვილი ისხდნენ. მართალია, ბრალდებულები ფაქტს კატეგორიულად უარყოფდნენ, მაგრამ გოგონა მათ ამხელდა, უფრო მეტიც – ის საკუთარი ძმისგან ფეხმძიმედ იყო და შვილიც კი გააჩინა.

ბრალდებული მამა-შვილი სასამართლომ დამნაშავედ ცნო. მამას, მისი 13 წლის შვილის გაუპატიურებისა და მის მიმართ ძალადობის, გაუკუღმართებული ფორმით სექსუალური კონტაქტისთვის, 30 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, ხოლო ძმას დის გაუპატიურებისთვის – 13 წლითა და 6 თვით პატიმრობა.

ამაზეზენა საქმეში მოყვანილი დეტალები: ჩატარებული სასამართლო გამოძიებით დადგინდა, რომ საბურთალოს რაიონში, მისსავე საცხოვრებელ ბინაში მამამ ისარგებლა ქალიშვილთან მარტო ყოფნით და ძალის გამოყენებით, ლოგინზე დაავადო, ტანსაცმელი გახადა და, მიუხედავად შვილის წინააღმდეგობისა, მასთან სექსობრივი კავშირი ძალადობით დაამყარა. რამდენიმე დღეში მან საკუთარ სახლში კვლავ ძალით გახადა შარვალი შვილს და გაუკუღმართებული ფორმით დაამყარა სექსობრივი კონტაქტი. სასამართლო გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ გოგონს მამაც ანალოგიურად მოექცა – როცა სახლში მარტონი იყვნენ, დასთან ძალადობით დაამყარა სექსობრივი კავშირი. საქმეზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნით, სწორედ მამა იყო მუცლად მყოფი ჩვილის ბიოლოგიური მამა.

არანაკლებ გამაოგნებელი იყო ქუთაისში, მესხის ქუჩაზე მომხდარი შემთხვევა. 53 წლის ნემსაძე მეზობლებმა 15 წლის ავადმყოფი გოგონას გაუპატიურებაში ამხელეს. პოლიციამ დამნაშავე დააკავა, მაგრამ ის შეაკერ სასჯელს გადაურჩა. დაზარალებულის მეზობელი დამნაშავეს ამხელდა. მან დაინახა მისი სახლიდან გამოსული ავადმყოფი გოგონა, რომელსაც მუკში სამი ოცთეთრისი ჰქონდა. რომ ჰკითხეს, – ფული ვინ მოგცა? – ბოროტმოქმედი დასახელდა. მეზობლებმა ისიც ჰკითხეს, – ხომ არ მოგეფერა? გოგონა აიწურა და თანხმობის ნიშნად, თავი დაუკრა.

ფაქტის შესახებ დედამისს აცნობეს და მან სასწრაფოდ, პატრული გამოიძახა. მეზობლები დამნაშავის ჩაკლავას ითხოვდნენ. მისი დაკავებიდან ორი დღის შემდეგ გოგონას დედას პროკურატურაში უთხრეს, რომ მოპოვებული მტკიცებულება ბრალის წასაყენებლად საკმარისი არ იყო და შეიძლებოდა, ნემსაძე გაეთავისუფლებინათ. ამას მეზობლების საპროტესტო აქცია მოჰყვა და ნემსაძეს ბრალი არა გაუპატიურებისთვის, არამედ გარყვნილი ქმედებისთვის წაუყენეს, რაც ორ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. გოგონა გონებრივად ჩამორჩენილი ყოფილა, ამიტომ მისი ჩვენება ძალთუქმების ნაკლებად სარწმუნო იყო. ბრალდებული ყველაფერს უარყოფდა, მოზარდის ახლობლები კი ირწმუნებოდნენ, რომ გოგონა დეტალურად ჰყვებოდა, რომ იმ კაცმა გაუკუღმართებული ფორმით მასთან სექსობრივი კავშირი დაამყარა. ექსპერტიზის დასკვნით, მას საქალაქო აპი დარღვეული არ ჰქონდა და დამნაშავე სასჯელს გადაურჩა.

კიდევ ერთი ბოროტმოქმედი გადაურჩა პატიმრობას, მაგრამ მან სხვა ხერხით დააღწია თავი სასჯელს: ციხეში წასვლას გაუპატიურებულ გოგონასთან შეუვლდა არნია. რომ არა ეს ნაბიჯი, 6 წლამდე პატიმრობა ემუქრებოდა. როგორც გამოძიების მასალებით ირკვევა, ქალ-ვაჟი მეზობლები იყვნენ. მათ შორის ინტერვიუ კავშირი ჰქონდა, მაგრამ სახელობის ე.წ. “დამპალოს სასაფლაოზე” მოხდა... საქალაქო სასამართლომ ბრალდებულს 5-წლიანი პირობითი პატიმრობა მიუსაჯა და 5.000-ლარიანი ჯარიმაც დააკისრა. ასეთი ჰუმანიური სასჯელი მხოლოდ იმიტომ გამოუტანეს, რომ მან გოგონა ცოლად შეირთო.

16-წლიანი პატიმრობა კი ცოცხალი ხნის წინ თბილისის საქალაქო სასამართლომ 55 წლის მამაკაცს გამოუტანა. მას საყვარლის არასრულწლოვანი შეიღობილი გაუპატიურებაში ედებოდა ბრალი. საქმის მასალების მიხედვით, ბრალდებულმა მასთან არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი ქალის 13 წლის შვილიშვილთან სექსობრივი კავშირის დამყარება განიზრახა. 2011 წლის 15 ივნისს, საღამოს 5 საათზე გოგონას საცხოვრებელ კორპუსთან მივიდა, მასთან განმარტობა მოახერხა, მისიური და საცვალი ძალით გახადა და სექსობრივი კავშირი დაამყარა. ამის შემდეგ გოგონას დაემუქრა, – თუკი მომხდარის შესახებ ვინმეს მოუყვები, სიცოცხლეს გამოგასაღამებო, – და შემთხვევის ადგილი დატოვა... მოგვიანებით გოგონას დედამ დამნაშავე ამხილა და ბოროტმოქმედი ამ უმძიმესი ბრალდებით სასამართლოს წინაშე წარდგა.

რატომ ძალადობენ არასრულწლოვან ბავშვებზე მამაკაცები? – ამის გარკვევა ფსიქოლოგ მანანა სოლოღაშვილთან ვცადეთ. ეს ქალბატონი წლების განმავლობაში, ძალადობის დაცვის ეროვნული ქსელის თანამშრომელია და ბევრ მსხვერპლთან ჰქონია შეხება.

მანანა სოლოღაშვილი: – როდესაც ვხვდებით ადამიანებს და ვარკვევთ, თუ რა სახის ძალადობის მსხვერპლია, უმრავლეს შემთხვევაში ირკვევა, რომ ყველა სხვა სახის ძალადობასთან ერთად, ის სექსუალური ძალადობის მსხვერპლიც ყოფილა. არასრულწლოვნის გაუპატიურება მისი ფსიქიკის დანგრევას იწვევს, როდესაც ფსიქოლოგიურ ტრავმას აყენებს მას და ეს ტრავმა მთელი ცხოვრება მიჰყვება. არაერთი მსგავსი შემთხვევა მქონდა, მაგრამ ზოგადად, ეს თემა ტაბუად ედებოდა. მსხვერპლსაც არ უყვარს ამ თემაზე ლაპარაკი, მაგრამ როცა სხვა მხრიდან შემოუვლით, ძალიან ხშირად ირკვევა, რომ ის ბავშვობაში სექსუალური ძალადობის მსხვერპლი იყო. ასეთი ადამიანი მომავალში ისევ მსხვერპლი ხდება – ქმართან, დედათაშვილთან და ა.შ. ურთიერთობისას. ორი წელი ციხეში, პატიმარ ქალებთან ვმუშაობდი – დედაებთან, რომლებმაც თავიანთი შვილები დახოცეს. წარმოიდგინეთ – მათი უმრავლესობა ბავშვობაში სექსუალური ძალადობის მსხვერპლი იყო. 16 ასეთი დედიდან 11-მა – ანუ უმრავლესობამ საკუთარი შვილი მოკლა, ზოგმა ლოფტში მიატოვა, ზოგმა უკანონოდ გააშვილა, ზოგმა მეცხრე თვეზე აბორტი გაიკეთა.

– თუ ასახელებენ ხოლმე იმ ადამიანებს, ვინც მათზე სექსუალური ძალადობას ახდენდა?

– სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში,

ამას ოჯახის წევრები სწადიან. ძირითადად, ამას სრულწლოვანი მამაკაცი სწადის, ხშირად – ოჯახის ახლობელი: მამის ნათლია, მამის ბიძა, ნათესავი... უფრო ხშირად სექსუალურ მოძალადეობად ასაკოვანი მამაკაცები გვევლინებიან.

– როგორი ფსიქიკის ადამიანები სწადიან ასეთ დანაშაულს? თქვენი აზრით, ეს ერთგვარი ფსიქიკური გადახრაა?

– ზოგადად, მოძალადე არავითარ შემთხვევაში, ძლიერი პიროვნება არ არის. ის გაუწონასწორებელი, ფსიქიკური ან ფსიქოლოგიური პრობლემის მქონე ადამიანია. ასაკოვნები ვახსენეთ, მაგრამ არის შემთხვევები, როცა 18 წლის ახალგაზრდა გვევლინება სექსუალურ მოძალადედ. ასეთი ფაქტები უმეტესწილად, არ ხმაურდება.

– რატომ?

– ჩვენი ტრადიციიდან გამომდინარე, ბევრი ქალი ამას მალავს. იცის, რომ მერე მის ქმრობას არავინ მოინდომებს. ოჯახის წევრებიც მალავენ, რადგან მსგავსი ფაქტების მიმართ საზოგადოება შეუწყნარებელია. ხშირად ასეთ ადამიანებს ფსიქოსოციალური განვითარების პრობლემაც აქვს. სამწუხაროდ, მსხვერპლს თავდაცვის უნარიც არა აქვს გამოუმუშავებული, რომლის წყალობითაც ამისგან დაცვას შეძლებდა. ხშირად მსხვერპლად განვითარების საშუალოზე დაბალი ინტელექტუალური დონის მქონე ადამიანები იქცევიან. პრაქტიკაში მქონია შემთხვევები, როცა სექსუალური ძალადობა 8-11 წლის მოზარდის მიმართ მომხდარა; ამ ხნის ბავშვს ხომ მოძალადესთან გამკლავება არ შეუძლია! მქონდა შემთხვევა, როცა 12 წლის ასაკში გოგონა დედის ქმარმა გააუპატიურა და 10 წელი გამოუმტეხდა აიძულებდა, მასთან კავშირი ჰქონოდა. გოგონა ჩვენთან რომ მოვიდა, უკვე 22 წლის იყო. სამწუხაროდ, მას ბოლომდე ვერ დავხმარეთ. ეტყობა, ბიძამ გაიგო, აქ რომ დადიოდა და აქედან საერთოდ გადახვეწა – მის კვალს ვეღარსად მივაგენით. ჩვენთან გოგონა სხვა პრობლემით მოვიდა და მერე გავვიხილა, რომ ბიძა მასზე ძალადობდა. ამ კაცმა ფაქტობრივად, ის მეძავად აქცია. ფინანსურად უზრუნველყოფილი ჰყავდა და ყველა კამარის უსრულებელი... მსხვერპლმა არასრულწლოვანებმა მომხდარის შემდეგ არ იცინა, რა უნდათ, დაბალი თვითშეფასებით ყალიბდებიან, დამოუკიდებლად ვერ იდებენ გადაწყვეტილებას, დაწყებული საქმე ბოლომდე ვერ მიჰყავთ, მუდმივად შფოთავენ და ამბობენ, რომ რაღაც არ ჰყოფნით. მეძავების პირადი ცხოვრების კვლევის დროს ასევე ბევრჯერ დავგიდგინა, რომ ისინი ბავშვობაში სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი იყვნენ. ასეთ ფაქტებზე დუმილი არ შეიძლება. გამომხურობით სხვასაც გადავარჩენთ და მოძალადესაც ახალი მსხვერპლის მოძებნაში შევეშლით ხელს. რაც დროზე გამოძვლავდება ფაქტი, მსხვერპლი გოგონების ფსიქორეაბილიტაციაც უფრო იოლად მოხდება. ჩვენთან დადიოდა 25 წლის ქალი, 3 შვილის დედა, რომელიც ბავშვობაში სექსუალური ძალადობის მსხვერპლი იყო და მისი ფსიქორეაბილიტაციის განხორციელება ვერაფრით მოვახერხეთ. ფაქტი მხოლოდ ჩვენთან გამძვავდა და ეშინია, რომ განმარტობის შემთხვევაში ოჯახი დაეგრევა, ახლობლები ზურგს შეაქცევენ... აქვე ვიტყვი: როცა ფსიქოლოგიური ტრავმა ხანდაზმულია, ანუ რაც უფრო დიდი ხნის წინ მიიღო იგი ადამიანმა, მით უფრო რთულია განკურნება და ამის გამო სუიციდის შემთხვევაც ბევრია. ასეთ ადამიანებს მიდრეკილებაც აქვთ თვითმკვლელობისკენ. ჯგუფური თერაპიის დროს ხდება ხოლმე – ერთ-ერთი გაიხსენება და მერე აღმოჩნდება, რომ იქ მყოფი სხვაც არის ამ პრობლემის მსხვერპლი. ჯგუფის თანდასწრებით ამას რომ იტყვის, ესეც ერთგვარი რეაბილიტაციაა.

სექსუალური ძალადობა და მით უფრო – პედოფილია ისეთი “შავი ჭირია”, რომლის სიმძიმე ყველა სხვა ფაქტორს ფარავს: მას ხანდაზმულობის ვადა არა აქვს და მისი მიჩქმალვა ე.წ. “ოჯახის სახელის” დაცვის გამართლებით – დაუშვებელია. მით უმეტეს შეუწყნარებელია საზოგადოებაში ცნობილი თუ არა თუ იმ სფეროში სახელმწიფო ადამიანების “ხათრით” იმათი დანდობა, ვისაც გამრუდებული ფსიქიკისა თუ “ახალ შეგონებათა ძიების” გამო ეს სიმახინჯე ჩაუვლინაო.

თ. ხურცილაძე

# კოლხეთი — პაცობრიობის ცივილიზაციის სათავე



დასაწყისი "ილორი" №171-189

რევაზ ერისთავი მიუთითებს, რომ იბერები მამაცი ზღვაოსანი ხალხი იყო. მათ კაცობრიობის ისტორიაში პირველებმა დაიწყეს ვეშაპზე ნადირობა და მისი ხორცი-სა და ქონის გამოყენება. მათი ხომალდები ძალიან დიდი არ იყო, მაგრამ სწრაფმავალი იყვნენ და თავისუფლად დაცურავდნენ ზღვებზე და ოკეანეებზე. შესანიშნავად ფლობდნენ როგორც ითქვა, ასტრონომიას, იცოდნენ ციური სხეულების გადაადგილების ურთულესი კანონები და მათი საშუალებით კარგად იკვლევდნენ გზებს ზღვებზე და ოკეანეებზე.

ჩანს, შემთხვევით არ უთქვამს პლატონს, რომ უძველეს დროში იყო ქვეყანა ატლანტიდა, რომელიც კატასტროფების დროს განადგურდა და იბერები ამ კუნძულზე გადარჩენილი ხალხის შთამომავლები არიანო.

ასეთივე იბერების მემკვიდრენი – შტო არიან პირენეის მიწების ჩრდილოეთით მცხოვრები ხალხი (დღევანდელი საფრანგეთი) – ბასკონები (ბასკები). აღსანიშნავია ა. დიუმას რომანის „სამი მუშკეტერი“ მიხედვით საფრანგეთის მეფის ლუი დევიკო XIV-ს თავისი პირადი გვარდია მარტო ბასკონელებით ჰყავდა დაკომპლექტებული.

ცნობილია, რომ ბასკეთში არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნია იბერიული ტაბულის გაშიფვრა წარმატებით სცადა მშენებელმა ინჟინერმა შოთა ხვედელიძემ, მანამდე, მისი ტექსტი მეცნიერებისათვის მრავალი წლის განმავლობაში, აუხსნელი იყო.

1975 წელს ჟურნალ „Техника молодежи“ (№6) – გამოქვეყნდა გაუშიფრავი იბერიული ტაბულა, რომელიც მადრიდიდან გამოგზავნა მეცნიერებთა დოქტორმა მანუელ დე დრანკემ. სამი თვის შემდეგ თბილისელმა ინჟინერმა შოთა ვასილის ძე ხვედელიძემ ჟურნალს გაუგზავნა ძველ ქართული-იბერიული დამწერლობის განვითარების შედარებით ტაბულა, რომლის მიხედვით ტექსტი გამოქვეყნდა ჟურნალში.

ინგლისელმა პროფესორმა ჟაკუბ პარისონმა წიგნში „Королевская примула“ განაცხადა, რომ ცდილობდა გაეშიფრა აღნიშნული ტექსტი და, როგორც თვითონ თქვა, ჰქონდა ცნობისმოყვარეობა, შემდეგ პატივმოყვარეობა და ბოლოს სიჯიუტე და ტექსტზე იმუშავა ორ ათეულზე მეტი წელი, მაგრამ ვერაფერს მიაღწია.

1975 წლის 11 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაშინდელმა რექტორმა პროფესორმა დავით ჩხიკვიშვილმა მოიწვია დიდი თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ აკადემიკოსები არნოლდ ჩიქობავა, შოთა ძიძიგური და ფილოლოგი-ისტორიკოსთა ჯგუფი, მოსმენილი იქნა შ. ხვედელიძის ვრცელი მოხსენება. აკად. ა. ჩიქობავამ შ. ხვედელიძის მიერ ჩატარებული გამოფერა – ტექსტის წაკითხვა ჩათვალა საკვებით სწორად და სარწმუნოდ. უნივერსიტეტის რექტორის პროფ. დ. ჩხიკვიშვილის გადაწყვეტილებით იქმნებოდა ამ საკითხის შემსწავლელი კომისია.

სხდომის დასურვის წინ, უნივერსიტეტის რექტორმა პროფ. დ. ჩხიკვიშვილმა განაცხადა: „ჩემს თვალსაზრის თაობაზე არაფერს არ ვახვევ, მაგრამ დარწმუნებული ვარ მადრიდიდან გამოგზავნილი იბერიული ტექსტი, პატივცემულმა შოთა ხვედელიძემ სწორად გაშიფრა, სწორად წაკითხა“.

ბასკური ენის სპეციალისტი, ქართველოლოგი, სამარელო (ყოფილი ქ. კუბიშვილი) მეცნიერი თბილისის უნივერსიტეტის დოქტორი იური ზიცარი ხაზგასმით მიუთითებდა, რომ შ. ხვედელიძის მიერ ჩატარებული გამოფერა აბსოლუტურად სწორია და

ამის დასამტკიცებლად მოჰყავდა შ. ხვედელიძის მიერ მოხმობილი მრავალი ბასკური და ქართული სიტყვების შედარება, მათ შორის ერთი ასეთი სიტყვა „ბირიობილ“ (ბორბალი) მეგრულად „ბარბალი“ და ქართული „ბორბალი“, ისიც, რომ ბასკები და ქართველები ათეულობით და ოცეულობითაც ითვლიან, „ივეც ტა ამარ“ ბასკურად და „ოც და ათი“ ქართულად; მდინარეების სახელწოდებანი „არაგოა“ და „არაგვი“; მთა „მესხეთ“ და სამოსახლო ადგილი „მესტ“, რატომ იბერია აქ და იბერია იქ? და სხვ.

აქვე იმის თქმაც გვინდა, რომ ცნობილია ბასკოლოგმა იური ზიცარმა და ცნობილია ქართველმა მეცნიერმა, პროფესორმა ჯემალ ჯინჯიხაძემ 1985 წელს საიუბილეო კრებულში / *Symbolae Ludovico Mitxelena septuagenario oblatae* – (A. D. Victoriae Vasconum, 1985, გვ. 871-874.) თანაავტორობით რუსულ ენაზე გამოაქვეყნეს სტატია: „ზოგიერთი ბასკური და ქართველური რიცხვითი სახელის წარმოშობის შესახებ“. მალე, 1987 წელს მას მოჰყვა მეორე: „კვლავ ზოგიერთი ბასკური და ქართველური რიცხვითი სახელის წარმოშობის შესახებ“ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1987). ბოლოს, 1991 წელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნეში (ენისა და ლიტერატურის სერია, თბილისი, 1991, №2, გვ.120.) დაიბეჭდა ჯემალ ჯინჯიხაძის სტატია: „ფარული ანალოგიის შესახებ ბასკური და ქართველური რიცხვითი სახელების პირველი ათეულის სტრუქტურაში“.

ამ სამ სტატიას წინ უძღოდა შესანიშნავი წიგნი – ფუნდამენტური გამოკვლევა (Джинджихадзе Дж. М., Зыцарь Ю.В. Зыцарь В.Ю., Пути возникновения и развития счета. Изд. ТГУ, Тбилиси, 1989, 172 стр.), რომელმაც მეცნიერთა წრეებში აღიარება ჰპოვა და, უნდა აღინიშნოს, რომ მას მრავალი საზღვარგარეთელი მეცნიერის აღმოჩენები უნებულო გამოხმაურებები მოჰყვა (მასალები ინახება ი. ზიცარის პირად არქივში).

ზემოსხენებულ შრომებში ქართველური და ბასკური რიცხვითი სახელების ნათესაობა და მათი ერთი ფუძიდან წარმოშობა აშკარად დასტურდება.

გარდა ამისა, აღსანიშნავია იური ზიცარის ბრწყინვალე ლინგვისტიკური გამოკვლევები ბასკურ-ქართველური პარალელების მიხედვით (Реконструкция в области баскского языка. Тбилиси: Мечниереба, 1988 და სხვ.), სადაც ჩვენთვის საინტერესო პრობლემად განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია.

„გერმანიაში“ 2008 წელს გამოქვეყნებულ წერილში (Из прошлого и настоящего баскского в Грузии и России (часть первая), „Герника“, 2008, №3) იური ზიცარი წერს: „რაც შეეხება სისხლით ნათესაობას, ბასკებსა და დასავლეთ საქართველოს ქართველებს შორის, ეს უკვე დამტკიცებულია ანტროპოლოგიური ფაქტით, მის მიხედვით ბასკისათვის არაფერ არ არის დასავლეთ საქართველოელის ქართველზე უფრო ახლობელი (არა მარტო ჯგუფი, სისხლის მიხედვით სტრუქტურა ერთი და იგივეა). სხვა კიდევ რა უნდა იყოს საძიებელი?“

რუსი აკადემიკოსი ა. ა. ბელოპლედვსკი წერდა: „თუ დადასტურდა (ჩანს დასტურდება) შ. ხვედელიძის ჰიპოთეზა, მაშინ რამდენიმე საუკუნით, 3479 წლით – 2000 წ. ქრისტეს შემდეგ, გადაიწვეს ქართული (კოლხური) დამწერლობის საწყისი (ლაპარაკია ხუთათას მეტ წელზე) ისტორია და ჩვენი შეხედულებანი უძველესი ხმელთაშუაზღვისეული და კავკასიური (ქართული) ცივილიზაციის ურთიერთობის საკითხიც“.

აკად. ა. ა. ბელოპლედვსკი ძირფესვიანად რომ გაეცნო შ. ხვედელიძის გამოფერის მასალებს და დასკვნებს, მიიჩნია – გამოფერა, ტექსტის წაკითხვა სწორად და მომხდარა. ასეთივე შეხედულება ჰქონდა ისტორიკოს ილია ბარაშკოვსაც. მაგრამ რუს შოეინისტებს არ აწყობდათ, იმის დადასტურება, რომ 5500 წლის წინ ქართველებს დამწერლობა ჰქონდათ. ამის დადასტურება არ უნდოდა, აგრეთვე, ზოგიერთ ქართველ მეცნიერსაც, რადგან საქმე ეხებოდა ბასკურ-მეგრულ დამწერლობას. ამიტომ რუსები და ზოგიერთი გაუგებანი ქართველი მეცნიერი ცდილობდა საკითხის მალე, ზერეულ გამოკვლევით, ფაქტის დადასტურების გარეშე, საქმის დამთავრებას.

XX ს. 90-იანი წლების დასაწყისში იური ზიცარიმ ერთი თვით თბილისის უნივერსიტეტიდან თავი გაინათავისუფლა და წავიდა სახლში – ლენინგრადში (სარანსკელი – კუბიშვილი იური ზიცარი

ცხოვრობდა ლენინგრადში, იქ ცხოვრობდა ყველა მისიანი – და და ძმა). ეს იმ დროს დაემთხვა, როდესაც საქართველოში სრული განუკითხაობა და არეულობა იყო – ე. შვედრენაძემ მოახდინა კრიმინალური სახელმწიფო გადატრიალება, ექვსჯერ დალაშქრა სამეგრელო, ომი დაიწყო აფხაზეთში და მოხდა სხვა უბედურებები. ალბათ, ამის გამო, ი. ზიცარმა თბილისში ჩამოსვლა კიდევ ერთი თვით დაიგვიანა. თბილისში ჩამოსულს ბრძანება დახვდა უნივერსიტეტიდან გათავისუფლების შესახებ. „კლასიკური მთავალი“ უნივერსიტეტის ერთ რექტორს, ადრე მიანდა, რომ შოთა ხვედელიძემ სწორად გაშიფრა მადრიდიდან მანუელ დე დრანკის მიერ გამოგზავნილი იბერიული ტაბულა, უფრო გვიან – უნივერსიტეტის მეორე რექტორმა, შეიძლება ი. ზიცარი ორი თვის გაცდენისათვის კი არ გაანათავისუფლა, არამედ, სრულიად შესაძლებელია – იმისათვის რომ მან სწორად ჩათვალა შ. ხვედელიძის მიერ გამოგზავნილი იბერიული ტაბულა (ტექსტი), რომელიც დადასტურდება, რომ იბერიელებს (კოლხებს) 5500 (ხუთათას-სხუთასი) წლის წინ დამწერლობა ჰქონიათ. ი. ზიცარი დაბრუნდა ლენინგრადში, საიდანაც თბილისელ მეგობრებს წერდა წერიულებს, რომ მას აცოცხლებდა საქართველოს და ქართველი ხალხის სიყვარული. ყოფილ სტუდენტებს ის უსახვგროდ უყვარდათ და პატივს სცემდნენ, ის ახლო ურთიერთობაში იყო სტუდენტებთან და რაც მთავარია მაღალ მეცნიერულ დონეზე კითხულობდა ლექციას. მის, ყოფილ ლექტორს სიამაყით იგონებს გახუთ „სასავალ-დასავალი“ ჟურნალისტი ნინო გორიაშვილი. მინდა ისიც ვთქვა რომ იური ზიცარიმ სამეცნიერო ხარისხი და წოდება ადრეულ ასაკში მიიღო.

შოთა ხვედელიძემ ტექსტი ალაპარაკა: დაახლოებით ძვ.წ. XV საუკუნეში საქართველოში მოხდა ძლიერი მიწისძვრა, რომელიც იწინასწარმეტყველა ქართველ ტომთა ბელადმა რომ, მიწისძვრის მოლოდინში შოთა ხვედელი ფურცლები ყვავილობის წყვეტს და კვდება, და მოუწოდა ხალხს დაეტოვებინათ საქართველო; 400 ათასზე მეტმა ადამიანმა დატოვა ქვეყანა და გაემართნენ მზის ჩასვლის მიმართულებით. ისინი დასახლდნენ შემდგომში ბასკეთად წოდებულ ტერიტორიაზე, კართაგენსა და კორსიკაში, პირენეის მიწების კალთებზე და ბისკაის ყურის ნაპირზე. შუემროლოგი ანატოლი კოიშინი წერს: დიას, თუ ვიმსჯელებთ შოთა ხვედელიძის მიერ წაკითხული წარწერის მიხედვით, ბრძენი რომ იყო თავისი ხალხის ნამდვილი ბელადი.

მან იცის, თუ როგორ და საით უნდა წაეყვანა თავისი ხალხი და ამასი არაფერია გასაკვირი. სამი ათას სუთასი წელი გვაშორებს ჩვენ რიოს ლაშქრობას. ამ უცნაურმა გემრმა ადამიანმა მონათესავე ძმებთან ბასკებთან – ამ მცირე ხალხთან გადმოვიდნენ ჩრდილოეთ პირენეაში ქართველები, მეგრელები, ლაზები, სვანები და სხვა ქართველური ტომები. ჩასახლდნენ რა ჩვენს წელთაღრიცხვამდე მრავალი ათასი წლის წინ, შეინარჩუნეს თავიანთი ძველი ტომებისა და წინაპრების ჩვეულებები. ისინი, ძვ.წ. IV ათასწლეულის შუარიცხვებში გმოხდნენ სამხრეთით ე.წ. შუემროლოგიის – ეგვიპტელთა წინაპრები იყვნენ. რაც მთავარია, როგორც ითქვა, ა. კოიშინს შ. ხვედელიძის მიერ გამოგზავნილი ტექსტები სწორად მიანდა და მიუთითებს, რომ შ. ხვედელიძემ სწორად შენიშნა სიტყვათა თანხვედრილობა ქართულ და ბასკურ ლექსიკონში.

რუსი შოეინისტები სხვადასხვა ხერხებით, ფაქტობრივად, უფლებას არ იძლეოდნენ, აღნიშნულ დოკუმენტებზე ლაპარაკი – მუშაობა გაგრძელებულიყო. სამწუხაროდ, შოთა ხვედელიძე გარდაიცვალა. ასე ჩააგდეს ეს მოფილი იტორიული მნიშვნელობის დოკუმენტები. შემდგომში ამ საქმით საქართველოში არაფერ დაინტერესებულა.

იბერები, როგორც ითქვა, ხმელთაშუაზღვის აუზში მიგრაციის დროს დასახლდნენ კორსიკაზე და კართაგენის ტერიტორიაზე. უნიჭიერესი სარდლის, ბრწყინვალე მეომრის, დიდი სტრატეგის პანბალის ამომის ავანგარდში იყვლიდა და მაცეი პირიმები იბერები იყვნენ, – ამბობენ ისტორიკოსები. შეიძლება ვიფიქროთ, თვით პანბალიც ხომ არ იყო იბერიელი?! ჩანს რომ ისიც იბერიელი იყო. აქვე მინდა ვთქვა: ლიტერატურაში ცნობილია სახელწოდება „კართაგენი“, იგი რომელიმე მწერლებმა გადმოაკეთეს კართ-ხადაშტიდან, რაც ახალ ქალაქს ნიშნავს. კართაგენის

დაარსების თარიღად ვარაუდობენ ძვ.წ. IX საუკუნეს, მაგრამ ახალმა არქეოლოგიურმა გათხრებმა აჩვენეს, რომ ქალაქი უფრო ადრინდელია. სწორედ ამ დროს თუ უფრო ადრეულ პერიოდზე, პეროლოტე მიუთითებდა თეთრკანიან ეგვიპტელებსა და იბერების იდენტურობაზე. სხვა ფარონებზე არაფერზე რომ არ ვთქვათ, ისეთი გამოჩენილი ფარონები როგორც რამზესი (რამზეს I, II, III), თუთანამონი, თუთმოსი, თათუ – ნეფერტიტი, ე.ე. თუ ქართული წარმომავლობის არიან, მაშინ „რა“ ხომ უძველესი წარმართული მზის ღმერთის სახელია კოლხეთში და ეგვიპტეში. ავიღოთ ისეთი ქართველი წარმართული ეპოქის სიმღერები როგორცაა: „რაეო“, „რა-შოვლა“, „რამათა“, „სორეა“ (უძველესი მეგრული სიმღერები).

ეგვიპტეში ყველაზე ძვირად ქართველი ტყვე ბავშვები ფასობდა, რომლებსაც მამულქებად ზრდიდნენ – ისინი მამაცი მეპრძობლები იყვნენ. რატომ არ ყიდულობდნენ ეგვიპტელები მეზობელი ქვეყნების – საბერძნეთის, თურქეთის, ისრაელის ბავშვებს?

ეგვიპტური პირამიდები, სფინქსი, ანუ სიმბოლის ბრწყინვალე ტაძარი და მრავალი სხვა, ეგვიპტეში მცხოვრები არაბებთან და ზანგების წინაპრების, იქ მოსული იბერთა ნიჭისა და გონების შედეგია – მშენებლობას კი აწარმოებდნენ ასეულათასი არაბი და ზანგი მონები. (რევაზ ერისთავი, მზის შიშოლები, გვ 30, 34.)

გვინდა აღვნიშნოთ, რომ შარდენი საქართველოში ყოფნისას ნადიმზე მიუწვევიათ მეფესთან. ბოლოს, გამომშვიდობებისას, – წერს შარდენი, – მან (მეფემ) მკითხა, როგორ ბრძანდება ჩემი ნათესავი ესპანეთის მეფე, და ძვირფასი ქვევით მორთული თანხით შეხვა მისი სალდგობელი. მან მოსთურვა და მეც ასე მიდრეკული სასმისით შეგვეხვა ეს სალდგობელი და დასძინეს: ვეროპაში ეს ამბავი მეც ხშირად მქონდა მოსმენილი. „...დიდხანს ვიფიქრე იმის შესახებ, თუ რანაირად უნდა ყოფილიყო ესპანეთის მეფის ნათესავი და მიგხვდი, რომ ეს მრავალი ავტორის აზრს ვთანხმდებოდა, ესპანელები წარმოშობით იბერიელები არიან.“ (ჯან შარდენი, მოგზაურობა ესპანეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, თბ., 1975, გვ. 349.)

სოკრატეს კი მიანია, რომ „ექვსინის პონტოსთან (შავ ზღვასთან) მცხოვრები ეს იბერიელები გამოსული არიან იმ იბერიელთაგან, რომლებიც ესპანეთში იმყოფებიან.“

პირველი საუკუნის მოღვაწე ვარონის აზრით პირენეული იბერიელები საქართველოდან არიან გადასახლებული დასავლეთში. ამასვე დადასტურებს ცნობილი ბიზანტიელი მწერალი მაქსიმე აღმსარებელი.

გერმანელი დიპლომატი ს. შვაიგერი (1551-1622წ.) 1606 წელს ნიურნბერგში გამოცემულ წიგნში „ახალი ჩანაწერები მოგზაურობისა. გერმანიიდან კონსტანტინოპოლსა და იერუსალიმამდე“ აღნიშნავს, რომ ქართველთა სახელწოდება ესპანეთის მდინარე იბეროდან (ებროდან) წარმოდგებოდა, რომ ქართველთა ოლითგანვე ამ მდინარის ნაპირას ბინადრობდნენ, ხოლო შემდგომ, როცა გამრავლდნენ, საქართველოში გადასახლდნენ.

თუმცა ს. შვაიგერი არც იმას უარყოფს, რომ ესპანელები იბერიელებისაგან არიან წარმოშობილი. (იხ. შოთა რევიშვილის წერილი გახუთ „თბილისში“, 1973, 3 აპრილი.)

ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი ა. მორტონი (მორტინი) თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „ინგლისის ისტორია“ (1948წ.) მიუთითებს იბერიელებზე, როგორც დიდი ბრიტანეთის კუნძულების პირველ მაცხოვრებლებზე, რომლებიც მოვიდნენ ესპანეთის იბერიიდან ჯერ კიდევ ძვ.წ. III ათასწლეულში.

ფრანგი მეცნიერი ა. ბოდრიონი წიგნში „ბასკების ისტორია“, რომელიც XIX საუკუნის 70-იან წლებში გამოვიდა პარიზში, ამტკიცებს, რომ იბერიელები პირენეის ნახევარკუნძულზე მოვიდნენ კავკასიის იბერიიდან, საქართველოდან და ქვეყანასაც იმ ქვეყნის სახელი დაარქვეს, საიდანაც მოვიდნენ (იბერია).

**კლიმენტე შელია**, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# ქართველ ემიგრანტთა მიმართვა

რაც უფრო ახლოვდება არჩევნების დღე – პირველი ოქტომბერი, მით უფრო საშიში და ცოფიანი ხდება საქართველოს ხელისუფლება მისი პირველი კაცის მეთაურობით. ეს იმის უტყუარი ნიშანია, რომ მათ საბოლოოდ გამოეცალათ იმედი და რაც მთავარია უცხოური, ქრთამით მოსყიდული საყრდენი, რომელსაც უსინდისო ადამიანები ქმნიდნენ ევროპული და ამერიკული “დემოკრატიის” სახელით!

გვერდშუენო, ასეთი უსინდისო ადამიანები საქართველოში მეტია ევროპაშიც, ამერიკაშიც და “დემოკრატიის აკნად” წოდებულ ნებისმიერ ქვეყანაში. ჩვენ საქართველოში მეტი გამოცდილება დაგვიგროვდა ამ მხრივ და შევიძლიათ ენდოთ ჩვენს ნათქვამს!

როცა გახვთ “ილორო“-ს შემდეგი ნომერი გამოვსა, ხადაც ეს მიმართვა გამოქვეყნდება, არჩევნები ნაკლებად იქნება, მაგრამ მინდა ყველამ ნათლად იცოდეს – არჩევნები პირველ ოქტომბერს არ მთავრდება, იგი სულ მცირე ოქტომბრის ბოლომდე გაგრძელდება და ეს იქნება განსაკუთრებით მძიმე დღეები საქართველოს მოსახლეობის იმ ნაწილისათვის, ვისთვისაც სულ ერთი არ არის რა მოხდება მომავალში, როგორ სახეს დაიმკვიდრებს ჩვენი სამშობლო – ყოფნა-არყოფნის გზაგასაყარზე!

მას შემდეგ, რაც მთელი საქართველო და მასთან ერთად ადამის ძეთა ყველა შთამომავალი შეადრწუნა, ამ დღეებში, ტელევიზიით ნანახმა კადრებმა, რასაც საქართველოს “მართლმსაჯულები” და მათ დაქვემდებარებული “სახელმწიფო მოხელეები” სწავლიდნენ, ყველაფრისთვის უნდა ვიყოთ მზად, სანამ ეს ღმერთგამწყვდილი ბნად ხელმძღვანელობს საქართველოს, მისი უმთავრესი დამნაშავეს მიხედვით სააკაშვილის თავკაცობით!

ჩვენ – “ედუარდ-უხსენებელი“-სა და “მიშა-შეურაცხადი“-ს ადვირახსნილი მმართველობის პერიოდში, მწარე გამოცდილება დაგვიგროვდა, რაც ყოველი მორიგი გასაჭირის ეამს, საქართველოს ხელისუფლებისგან, მისი მკვიდრი მოსახლეობის გაწირვით მთავრდებოდა!

გაისხენეთ “ედუარდ-უხსენებელი“-ს მიერ: – 1991 წლის ბოლოს, საქართველოს ეროვნული მთავრობის წინააღმდეგ მოწოდებული პუტჩისას, კრიმინალების ციხიდან გამოშვება და საქართველოს მოსახლეობისთვის მისხვა!

– საკუთარი ტახტის შესანარჩუნებლად აფხაზეთში დაწვებული უსამართლო ომი, საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ!

# პატიმართა სასტიკი წამების დღემდე უცნობი ფაქტები

დეპუტატი დიმიტრი ლორთქიფანიძე პატიმართა სასტიკი წამების საზოგადოებისთვის უცნობ დეტალებზე გვესაუბრება:

– 2009 წელს, როგორც აღმნიშნული უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის წევრი, გახორციელებული პენიტენციური სისტემის მონიტორინგის 2010 წლის განხორციელების დასრულების შემდეგ ჩართეს და ციხეში დღემდე არანაირი მონიტორინგი არ მიწარმოება. როდესაც ეს შოკისმომგვრელი კადრები გავრცელდა, გადავწყვიტე, რადაც უნდა დამჯდომოდა, შემიძლია ციხეში. მართლაც, მე და ბატონი გელა კეკელიძე შევეშვეს გლდანის ციხეში. საპრობლემის ახალმა დირექტორმა გურამ დოლიძემ მოხსრა, რომ შენგაგნებოდა სრულიად არის შეცვლილი და ყველაფერს იღონებენ პატიმრების მიმართ არაადამიანურ მოპყრობაში მხილებული პირების გამოსაყვანად. დოლიძისგან მივიღე ნებართვა, რომ ჩავრთულიყავი მონიტორინგის პროცესში. ციხეში 7 საათი გავატარე, შეხვედი ყველა კატეგორიის პატიმარს და ჩემი თვალთვინი ვნახე, რა მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში იმყოფებიან ისინი. პატიმრები იყვნენ უკიდურესად აღუზნებულნი, გამოხატავდნენ პროტესტს ციხის იმ თანამშრომლების მიმართ, რომლებიც ჯერ კიდევ რჩებიან საპატიმროში, გვეუბნებოდნენ მათ გვარებს.

– ბატონო დიმიტრი, ხად ჰყავთ მთავსებული გლდანის ციხის დაპატიმრებული თანამშრომლები?

– წესით, მათი ადგილი საგამოძიებო იზოლატორშია, მაგრამ ისინი ჰყავთ ე.წ. თანამშრომლების ზონაში, მართლმართის ქუჩაზე, როგორც შევიტყუე, ისინი საუცხოლო პირობებში არიან. რატომღაც მგონია, მათი დაკავების საქმე ძალიან ჰგავს გირგვლიანის მკვლელობის საქმეს იმ მხრივ, რომ ხელისუფლება ღლიაღური იყო დამნაშავეებისადმი და დღესაც ასე ხდება. ეს ადამიანები არიან ჯალათები, რომლებიც ასრულებდნენ სააკაშვილ-ადიშვილების კაბინეტში შემუშავებულ მითითებებს. მათ ჰქონდათ ინსტრუქცია, რა მეთოდებით უნდა დაეთრუნათ

– სისხლისგან დაცვილი აფხაზეთის მოსახლეობის “სიკვდილის გზაზე” გარეკვა!

– “ბალტინის” ჯარის შემოყვანა საქართველოში, თავისუფლებისა და კანონიერების მიზანს მებრძოლი ქართველი ხალხის დასამარცხებლად და დასამონებლად!

– და ბოლოს, ვითომ “ვარდების რევოლუციით” – “მიშა შეურაცხადი“-ს მეთაურობით, უმწიფარი და უზნეო, ამერიკულ სკოლაგავილი “ეგო-ბიჭების” ხელისუფლებაში მოყვანა!

თავის მხრივ – ენერგიულმა, სინდის-ნამუსთან და ჭკუა-გონებასთან გაყრილმა “მიშა-შეურაცხადმა”, ქვეყნის მართვა მანამდე გაუგონარი უტყობობით:

– 2003 წლიდან ახალი წელთაღრიცხვის დაწესებით და ფაქტობრივად ოთხიხათასწლიან ქართულ სახელმწიფოებრიობაზე უარის თქმის მცდელობით დაიწყო!

რასაც, ფაქტობრივად, წინააღმდეგობა არ მოჰყოლია და ასე მეთოდურად წავგართვა:

– გვარით და შთამომავლობით იდენტიფიცირების საშუალებები!

– საბოლოოდ გამოეცალა საქართველოს გაერთიანების და წართქველი ტერიტორიების ოდესმე დაბრუნების ოცნებას!

– “შეგარდნაძე-უხსენებლის” მიერ გასხვისებული აფხაზეთის და სამაჩაბლოს რუსეთისთვის იურიდიულად გადაფორმება!

– ვითომ “კოორუფციისა და კრიმინალის” წინააღმდეგ ბრძოლა, სინამდვილეში კი “კორუფციისა და კრიმინალის” სახელმწიფო იდეოლოგიად ქცევა!

– ქართული მოსახლეობის გადატაცება და – მისი გენეტიკური სიმდიდრის “სწავლა-განათლებლის” საშუალების მოსაპოვება, ფასიანი სასწავლო დაწესებულებების დამკვიდრება-დაკანონებით!

– ასევე – უმწიფობისა და სიდატაციის გამო, საკუთარ ჯანმრთელობაზე ფიქრის უფლების წართქვე!

– ადამიანურ ღირსებაზე ფიქრის აკრძალვა, რამაც საბოლოოდ იმ ამბოზუნ საქმეების კადრებამდე მიგვიყვანა ამ რამდენიმე დღის წინ, როგორც ზემოთ ვახსენეთ არა მარტო ქართველი, ზოგადად, ადამის ძეთა მოდგმა შეადრწუნა, ვისაც ადამიანური ღირსება თავისდა და სხვისად არ გაუყვია, როგორც ეს “მიშა-შეურაცხადის” ნაციონალურს ამოფარებულმა, სინამდვილეში “ნაციონალიზმის” მოძრაობის დიდმა უმრავლესობამ წარმოაჩინა ამ დღეებში, რომელთათვის დიდი ხანია – თუ პირადად მათ არ ეხება, “სხვისი ჭირი ღობეს ჩხირია!”

# საქართველოს მოსახლეობისადმი!

ჩვენო მრავალტანჯული ერო და ბერო – კიდევ დიდხანს შეიძლება გაგვეტრეკლებინა “ედუარდ-უხსენებლისა” და მისი სულიერი შვილის “მიშა-შეურაცხადის” უკეთურ საქმეთა ნუსხა, მაგრამ ჩვენი მიმართვის მიზანს ეს არ წარმოადგენს. ჩვენ მათ მცირე ნაწილს მხოლოდ იმიტომ შევეხეთ, რომ შეგვეხსენებინა თქვენთვის – როცა კი, მათ გაუჭირდათ, არაერთხელ, დაუფიქრებლად გაწირეს საქართველო და მისი მოსახლეობა!

რადგანაც, გარდაუვალია “მიშა-შეურაცხადი“-ს, მისი კრიმინალური მთავრობისა და ე.წ. პარლამენტის სამარცხვინო მარცხი – მათგან ყველაფერს უნდა მოველოდეთ, დაწვებული მასების დაპირისპირებით, დამთავრებული ტერაქტებითა და ვითომ უცხოეთიდან შემოსული კრიმინალების მიერ მოწოდებული ახალი სისაძაგლეებით.

გაისხენეთ წინა არჩევნებში – სწორედ “მიშა-შეურაცხადი” და მისი ხელისუფლება, კანონის გვერდის ავლით ათავისუფლებდა ათასობით პროფესიონალ დამნაშავეს, საიდუმლო და უმკაცრეს პირობით – მიუტანათ ათასობით ხმები საარჩევნო უბნებზე და იგი კეთდებოდა კიდევ!

რატომღაც, ყველას დააიწყდა, შეგარდნაძე-სააკაშვილის ეს აპრობრებული მეთოდი და ამის გამო “მიშა-შეურაცხადმა” და მისმა გარეგნობამ ოპოზიციასე შემოუბრუნა იგი!

კრიმინალებთან ურთიერთობა და მათი მხრიდან საარჩევნო ხმების მოგროვება ოპოზიციას არ სჭირდება, რადგან – დღეს, სააკაშვილის “ნაციონალიზმი” მოძრაობის ხმის მიმქვე, სულიერად ავადმყოფებისა და ჯერ კიდევ ნაციონალების მიერ სხვა და სხვა მიზეზთა გამო დათრგუნული მოსახლეობის მცირე ნაწილის გარდა – ბუნებაში არ არსებობს!

ამიტომ, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ და მოგმართავთ:

– არჩევნები პირველ ოქტომბერს არ მთავრდება, იგი სულ მცირე ოქტომბრის ბოლომდე გაგრძელდება და ცხადია, ეს ერთი თვე უმძიმესი გამოცდა იქნება ქართველი ერისა და ყველა იმ თანამემამულეთათვის, ვისაც საქართველოს კეთილდღეობა, მისი მოჩვენებითი თავისუფლების ნამდვილ თავისუფლებად ქცევა, მარტო ქართველთა საზრუნავად არ მიაჩნია!

– ასი თვალის და ასი ყურის გამოძმა გვეტრეკება ყოველ ჩვენგანს – ვიდრე მაგიდაზე დაიდებოდეს, ყოველი თქვენგანის ალაღ-მართალი ხმებისგან შემდგარი

„დათვილილ-აწონილი“ ვერდიქტი, რომელიც საბოლოოდ განათავისუფლებს საქართველოს ყველა დროის უმძიმესი სახადისგან „მიშა-შეურაცხადი“ და მისი ნაციონალურს ამოფარებული, საქმიანობით კი „ნაციონალიზმი“ მოძრაობა რომ ჰქვია!

ვიმეორებთ – გაუგონარი, არაადამიანური სისაძაგლეებია მოსალოდნელი დამარცხებული კრიმინალების მხრიდან, რადგან მათ, ყველა ჩვენგანზე უკეთ ცხმით, თუ არის სხვა დააბრუნებამ თავს “თანამემამულეთაგან”, რომელთა „ზრუნვას გადაყოფილებმა“ ასეულობით მილიონები და ზოგიერთებმა მილიარდები დააგროვეს!

გაისხენეთ – ეს ის ხალხია, 2003 წლამდე „ცალ-ცალი კალოში“ რომ დადიოდნენ, დღეს კი, წლების წინ სწორედ თქვენი საარჩევნო ხმების მეშვეობით პოლიტიკაში მოხვლით, უზომოდ გამდიდრებულს საცდელი ლაბორატორიის არსებობად წარმოუდგენიხართ!

უფრთხილდით მათ, არჩევნების წაგების თანავე, ისინი ყველანაირ, ბოროტ პროეკციაზე წაყვან, რომ საზარელი შედეგი გამოარჯვებულ ოპოზიციას დაბრალდეს!

საარჩევნო უბნებზე თუ არ გიშვებენ – ორი ოქტომბრიდან, მობილიზება გაუკეთეთ ყველა ფორტაპარატს და ვიდეოკამერას, რომ ყველა უკეთურებას, რასაც დამარცხებული მთავრობა მოიძოქმედებს, დაასურათ-ხატოთ ისინი და საჭირო შემთხვევაში უტყუარ საბუთად წარმოადგინოთ, სამთავრობო ბოროტმოქმედთა სამხილებლად!

იმედი გვაქვს, რომ ამ არჩევნებში ქართველი ერო გაიმარჯვებს და ქვეყნის დამატკეპარ ნაცებსა და მათ „ნეტარდომილიან“ ბელად სააკაშვილს პოლიტიკურ სანაგვეზე მიუხენს ადვილს!

და თუ ეს ასე არ მოხდა, უჭკველია, რომ არჩევნების ტოტალურ გაყვალბებას ექნება ადგილი, რითაც ყოველთვის ინარჩუნებდნენ ძალაუფლებას სააკაშვილი და მისი ნაცები. და მაშინ, იმედია, რომ ქართველი ხალხი ღირსეულ პასუხს გასცემს გამყალებლებს! უფალი გვეყალობდეს!

და300 შოთაძე, კობლენცი, გერმანია  
ბი30 შა30 ში30 ში30, ანტეგრაპი, ბელგია  
და300 მარიაშვილი, ვაალსი, პოლანდია  
ვა300 ხომარიაშვილი, ანტეგრაპი, ბელგია

თანამშრომელი ყო ველდლიურად ფეხბურთს თამაშობს პატიმრების სხეულებით და ვინმეს ჰგონია, რომ ამის შესახებ გენინსპექციამ და მინისტრებმა არაფერი იციან? პატიმართა წამების ამგვარი მეთოდები ახალია და ნაწილად, მაგრამ ეს მხოლოდ მისი ფანტაზიის ნაყოფი არ არის. ეს შეთანხმებული იყო იმ სტრუქტურასთან, რომელიც კურატორობდა სასჯელაღსრულებას და ეს არის ოქსიციის სამინისტრო. ციხეებში არაფერი ხდებოდა “ზურაბ ადიშვილთან შეთანხმების გარეშე” ამის მიზანი კი იყო ის, რომ მითი ციხის სისასტიკის შესახებ უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი მთავარი პირობა პატიმართა ოჯახის წევრებთან საპროცესო შეთანხმებების გაფორმებისა. მაქვს ინფორმაცია გიორგი ახალიაზე, რომელიც არასრულწლოვანთა კორპუსზე მომუშავე ხელახლებულია და რომელიც ბავშვებს ყოველდღიურად სცემდა, თან თავზე შარვალს ჩამოაცვამდა, სახეზე წამების კვალს რომ არ დამჩნევდით. ეს ყველაფერი ცხადყოფს, რომ ნაციონალიზმს არ არის ჩვეულებრივი პოლიტიკური გაერთიანება. სააკაშვილი, ბოკერია, რამიშვილი, ადიშვილი და მერაბიშვილი არიან ის ადამიანები, რომლებიც ქმნიან პოლიტიკურ სექტას ქვეყანაში. მათი მიზანია ჩვენი მოსახლეობის უკიდურესად გადატაცება, დანაშაულები და სამშობლოდან განდევნა. ეს ადამიანები საპროცესო შეთანხმებით და სხვადასხვა ჯარიმით მიღებული შემოსავლებით მდიდრდებიან და არ უნდა გაგვიკვირდეს, როცა შევიტყობთ, რომ პოლიტიკაში არაფრით მოსული ნიკა გილაური დღეს ოფიციალური მილიონერია.

განმავლობაში მინისტრობას ანაცვალა.

– ვის უნდა დაეკისროს მომხდარზე როგორც პოლიტიკური, ასევე სამართლებრივი პასუხისმგებლობა?

– პოლიტიკური პასუხისმგებლობა, პირველ რიგში, უნდა დაეკისროს პრეზიდენტს. პასუხისმგებლობა უნდა მიეცეს სამივე მინისტრს – ახალია, შაშვინი და კალმახელიძე. ასევე, უნდა დაიხაჯონ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელები, რომლებიც უშუალოდ სასჯელაღსრულების პროცესზე არიან პასუხისმგებლები.

– ბატონო დიმიტრი, თუ გაქვთ ინფორმაცია, რომელ დაწესებულებაში იხდის სასჯელს გურამ შარაძის მკვლელობისთვის გასამართლებული გიორგი ბარათელი? რუსუდან შარაძეს ეჭვი ეპარება, რომ იგი ცოცხალია, და 2010 წლის ოქტომბერში მონახულეთ ციხეში.

– 2010 წელს ვიყავი პენიტენციური სისტემის მონიტორინგის ჯგუფის წევრი. ჩემთან მოვიდა კურანდისტი ნინო მიქიაშვილი, რომელმაც მოხსრა – ბარათელი არ არის, რომელმაც უკურანდისტი ნინო მიქიაშვილი, რომელმაც მოხსრა – ბარათელი არ არის და წესებულბაში არ იძებნება და იქნებ პატიმარი მოგენახულებინათო. შევედი ორთაჭაღის 1 საპრობოლეში, ე.წ. კრიტში, ვნახე ბარათელი, ვესაუბრე და გადავეცი რუსულან შარაძის კითხვარი, რომელზეც უნდა ეპასუხა. პასუხებიც გამოვიტანე. მე მისი გარეგნული ნიშნებიც კი დავიმსხსოვრე. მაგალითად, მარცხენა ხელზე, შუაში ჰქონდა დიდი ხალი. იმ მომენტში ქალბატონი რუსუდანი კმაყოფილი იყო და, როგორც ჩანს, მან ეს ინფორმაცია გამოიყენა იმისთვის, რომ შემდგომში შევიცარიამი პოლიტიკური თავშესაფარი მიეღო. მე ყველაფერი გავაკეთე. შარაძის ოჯახისთვის ობიექტური ინფორმაცია რომ გამოემტანა. როგორც პატიმრებმა განმიცხადეს, დღეს ბარათელი ორთაჭაღის 1 დაწესებულების 46-ე საკანში ზის. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ხომ მაინც იქნება შესაძლებელი, გამოიყვანონ და ალაპარაკონ ბარათელი? დარწმუნებული ვარ, ამ ყველაფრის შემდეგ რუსულან შარაძეს ჩემთვის ბოლის მისხვა მოუწევს...

# აშშ – ღატაკებისა და მონების ქვეყანა. ამერიკა, როგორც ის არის



ქვემოთ აღწერილი კატეგორია განათლების ამერიკული სისტემის ტიპური პროდუქტია. ეს, ფსიქოლოგების ტერმინით რომ ვთქვათ, ადამიანთა მოდგმის თვითშექმნილი და თვითაღზრდილი (კომპიუტერის ეკრანთან, მშობლების მიერ იგნორირებული, თავის დროზე საზოგადოებასთან ურთიერთობას მოკლებული, სატელევიზიო შოუებთან ცალმხრივ ურთიერთობაზე გაზრდილი) ინდივიდები არიან.

ისინი ტრადიციული აღზრდის გარეშე იზრდებიან, იმიტომ, რომ კანონი მათ მასწავლებლებისა და მშობლების იგნორირების უფლებას აძლევს. ისინი ბავშვობიდან თვითდინებაზე იყენებენ მიშველებს. ეს არის ახალი ავანგარდული თაობა, რომელიც ადამიანთა შორის ურთიერთობის ძველ ცნებებს არღვევს.

2003 წლის ოფიციალური სტატისტიკით, ამ „ახალი ადამიანების“ დაახლოებით 10-მა მილიონმა ტრადიციული ცოლქორული ურთიერთობა კიბერსექსით ჩაანაცვლა. ბევრი მათგანი შეიღებულ საკუთნაობებში ცხოვრობენ, ხოლო ნივთები ოთახის შუაგულშია ახორცილები. ჩარჩოში ჩასმული ფოტოები იატაკზე კედელთან აწყვია, რადგან ქორებს ლურსმნის ჩატეხვა არ შეუძლიათ. მათ სახლებში ყველაზე სუფთა ადგილი სამზარეულოა, რომელშიც საჭმლის სუნი არასოდეს ტრიალებს. მათი სამზარეულოა „მაკდონალდსი“, „KFC“ და სწრაფი კვების სხვა დაწესებულებები.

ოჯახის ნებისმიერი სახელმწიფოს საწყისი სამართლებრივი, სოციალური, სულიერი და კულტურული უჯრედია. ოჯახის მდგომარეობა მთელი საზოგადოების ხასიათს და დონეს განსაზღვრავს. ვებსტერის ახალი ენციკლოპედიური ლექსიკონი ცნება „ოჯახის“ შემდეგ განმარტებებს გვაძლევს: 1. საერთო წარმოშობის პირთა ჯგუფი; 2. ერთ ჭერქვეშ ერთი უფროსის ხელმძღვანელობით მცხოვრებ ინდივიდთა ჯგუფი; ... 4. მშობლებისა და შვილებისგან შემდგარი სოციალური ჯგუფი.

სამივე განმარტება, ასე თუ ისე, ამ ცნების ტრადიციულ მნიშვნელობას შეიცავს. აგრეთვე, გულისხმობს საზოგადოების ამ თავდაპირველი უჯრედის ყოველი ცალკეული წევრის ტრადიციულ ფუნქციებს. თანამედროვე ცხოვრებაში „მონადირისა“ და „კერძის მცველის“ ფუნქციების ხასიათმა დიდი ხანია, სრულიად სხვა მნიშვნელობა შეიძინა, ისევე, როგორც „ოჯახის უფროსმა“. არსი იგივე დარჩა. თუ ინტერეტი დიდი ხანია, უბრალოდ, სიმყუდროვის შექმნაზე ვლავარაკობთ, უმრავლეს შემთხვევაში ამას ქალის ფუნქციებს მივაკუთვნებთ, ხოლო საცხოვრებლის ტექნიკური მდგომარეობის შენარჩუნებას – მამაკაცის მოვალეობებს.

ოჯახის უფროსის როლზე ლაპარაკისას უფრო სწორი იქნება, ორივე მუშავე ვიგულისხმობთ, რადგან თანამედროვე საზოგადოებაში ხშირად ერთ ადამიანს არ ძალუძს, უფროსის ყველა მოვალეობა იტვირთოს ან გადაწყვეტილებები მარტომ მიიღოს. ასე თუ ისე, წარმატების მისაღწევად თითოეული ცდილობს, ოჯახისთვის ის გააკეთოს, რაც მას ყველაზე კარგად გამოდის. ამას კი კარნახობს არა სახელმძღვანელო, რომელშიც მუშაობენ, არამედ თვით-გადარჩენის ინსტინქტი, ანუ – თავდაცვა-ოვრება.

შევიდეთ წარმოდგინოთ, რომ ცოლ-

ქმარი ნაწილობრივ ან სრულიად მოკლე-ვლია ამგვარ ინსტინქტებს და აზრზეც არ არიან, როგორია თითოეული მათგანის ოჯახური მოვალეობები? ამ შეკითხვამ, ალბათ, თქვენი დიმილი გამოიწვია, იმიტომ, რომ ასეთი რამ შეუძლებელია. სამწუხაროდ – შესაძლებელია!

1995 წელს კომპანია „ენერჯაფტერის“ ლაბორატორიაში ტექნიკოსად ვმუშაობდი. მორიგი სამუშაო კვირის ბოლოს ჩვენი კოლეგები კაფეში ან პიცერიაში აპირებდა წასვლას. ერთ-ერთმა ახალმა თანამშრომელმა, 26 წლის ტრეისიმ, თქვა, რომ ჩვენთან ერთად ვერ წამოვა, რადგან ფასიან კურსებზე წასვლელი. ჩვენ დავინტერესდით, რა კურსებზე დადის ტრეისი. ეს იყო კურსები „ოჯახი და ყოფა“. ჩემს შეკითხვაზე, რას სწავლობენ იქ, მან მიპასუხა, რომ ასწავლიან, როგორ უნდა უყვარდეს ცოლ-ქმარს ერთმანეთი, კვირაში რამდენჯერ და რა დროს უნდა ჰქონდეთ სექსი ოჯახის უკეთ შენარჩუნებისთვის. მე კითხე, ნუთუ იმისათვის, რომ იცოდეს, უნდა თუ არა და როდის უნდა ქმართან სექსი, კურსებზე სიარულია საჭირო, განა სურვილი ბუნებრივი გზით არ ჩნდება? ტრეისიმ მშვიდად მიპასუხა, რომ კურსებზე იმ დროს უნდა იყოს, რომ უნდა იცოდეს, როგორ უნდა იყოს, უნდა იცოდეს, რომ ასე უნდა იყოს. ამის გამო ქმართან პრობლემები ჰქონდა.

მათ კერძობის მომხადებასაც ასწავლიდნენ. ტრეისიმ აღიარა, რომ კურსებამდე საუხმის არცერთი რეცეპტი არ იცოდა და წარმოდგენა არ ჰქონდა, რისგან მზადდება ერობიკური. სამთვიანი კურსები 12 წლის წინ მას თითქმის 400 დოლარი დაუჯდა.

ნუ გიკვირთ. თქვენ კითხულობთ ინფორმაციას ადამიანებზე, რომლებსაც თითქმის არ ჰქონდათ შესება რეალურ სამყაროსთან, ბუნებასთან. მერწმუნეთ, ამერიკელების უმრავლესობამ ამ იცის, რომ სარეცხი გაფრთხილ უნდა გაიწიროს. ბევრმა მოზრდილმა ადამიანმა არ იცის პერანგის შარვალში ჩატანება და ზონრების შეკვრა, ამიტომ პოლიციური ვიდეოებში თქვენ ხშირად ხედავთ ამერიკელებს მაისურის ზემოდან მოცმულ ქურთუკებში და გადმოშვებულ პერანგებში, გახსნილი ზონრებით.

ვეროუბლები და დსთ-ის მცხოვრებნი ფიქრობენ, რომ ეს მოღურია. არა, ეს მოღა არ არის. ამერიკაში ეს პრობლემაა. თქვენთვის ძნელი დასაჯერებელია, რომ აშშ-ში ინსტინქტებსა და გრძნობებს მოკლებული ადამიანები ცხოვრობენ. ჩამოვლილ-ლანგუგასში იანგრის დასაწყისში, როცა ქუჩაში 0...+2 გრადუსი სითბოა. პირველი, რაც გაგაოცებთ – კალიფორნიელებისა და არიზონელების ჯგუფებია, რომლებიც მთავარ ქუჩაზე შორტებით, შიშველ ფეხზე წამოცმული ფლოსტებითა და მოკლესახე მოძიანის მისურებით დასიურებთ. ისინი სიცოცხლისგან არ იბუზებიათ, თუმცა გაკაქებით არასოდეს ყოფილან დაკაქებული. თვითონ ამერიკელები ასეთებზე ამბობენ: „ტვინი არ აქვთ და რა გაეყინებათ“.

პოლიციელად მუშაობისას ხშირად მქონია საქმე დასახინრებულ ადამიანებთან. ვერაფრით შევეჩვიე, როცა ვხვდებოდი ადამიანებს, რომლებიც ტკივილს ვერ გრძობდნენ. მაგალითად სტატისტიკას მოვიყვან: 2000 წელს კალიფორნიაში დაბადებული ბავშვების 39.6%-ს გონებრივი ან ფიზიკური დეფექტები აღმოაჩნდათ იმის გამო, რომ მათი მშობლები ნარკოტიკებს მოიხმარდნენ. თანამედროვე მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ ნარკომანებისა და ალკოჰოლიკების შვილებს შესაძლოა, ტვინის ზოგიერთი მონაკვეთი ატროფირებული ჰქონდეთ. გრძნობების (სიცოცხის, სიცხის, ტკივილის, წყურვილის, სქესობრივი სურვილის და ა.შ.) ნაწილობრივი ან სრული დაკარგვით დაბადებულ ადამიანებს შეუძლიათ ზოგიერთი ინსტინქტის ნაწილობრივ ადგენა მათზე ნარკოტიკის ზემოქმედების დროს, რომელმაც თავის ამგვარებზე მშობლების მეშვეობით, მათ ეს გრძნობები წაართვა.

ყოველ დღით ამერიკა ასობით მილიონ დოლარს ხარჯავს ფინჯანი ყავის საყიდლად. ამერიკელთა დიდი პროცენტი ამგვარებზე, თვეში 100 დოლარამდე მზავებაზე დახარჯობს, ვიდრე ყავის მაღლარა იყიდოს. ჩემს ამერიკულ ცხოვრებაში უამრავი სასაცილო და კუროსული შემთხვევა იყო, როდესაც ამერიკელებმა არ იცოდნენ, რომ მადულარაში ერთჯერადი ფილტრი უნდა ჩაედოთ და, მითუმ, ყავა თავყარათ, წყლის ჩახხმაზე აღარაფერს ვამბობ.

დღეს ამერიკაში ასეთი ოჯახები ათ-

ბით მილიონს მოითვლის. მათი ასაკობრივი ჯგუფი 15-დან 42 წლამდეა. ზუსტი სტატისტიკური მონაცემების წარმოდგენაც კი ძნელია. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ასეთი ოჯახები სწრაფად ირდევება. მეორეც, რომელი სახელმწიფო მოისურვებს, აღიაროს, რომ ის უინსტინქტო, უემოციო, უპასუხისმგებლო ადამიანისმაგვარი ინდივიდების წარმოებითაა დაკავებული?!

ამ ინდივიდთა დამახასიათებელი თვისებები: ისინი ყველა მოვლენაზე ერთნაირად რეაგირებენ. ვერაფერი აიძულებს მათ მეტყველების წინარი, უემოციო ტონისა და მუდამ ერთნაირი, მშვიდი და გულგრილი მზერის შეკვლას. გარეგნულად ისინი მორცხვი ადამიანების შთაბეჭდილებას ახდენენ. სინამდვილეში, უბრალოდ, მთელი გარემომცველი სამყაროს მიმართ გულგრილები არიან. ისინი არ ლაპარაკობენ, რაზე ფიქრობენ, იმიტომ, რომ არ ფიქრობენ. რა თქმა უნდა, მათ აქვთ საკუთარი აზრები, ოცნებები, სურვილები. მაგრამ აზროვნების ლოგიკა და ასოციაციური კავშირი თითქმის არ არსებობს. მათი ყოველდღიური მეტყველება 200-250 სიტყვის ან 50-60 ფრაზისა და წინადადებისგან შედგება, რომელთა უმრავლესობა ყოველდღე განმეორებადი რეგულაციებიდან დაისწავლეს.

მათთან ემოციურ სიტყვიერ კონტაქტში შესვლა სახიფათოა, რადგან ისინი გაუთვალისწინებლები არიან. ერთხელ კლექტრონიკის მაღაზია „CompUSA“-ში მივდივარ. მას ახალი კომპიუტერის ასაწყობად დეტალები სჭირდებოდა. გამყიდველი, 23 წლის ჯეისონი, ამ სამუშაოზე ახალი მიღებული იყო. მან ვერ შეძლო მივდივლის შეკითხვებზე პასუხის გაცემა. მივდივარ გაღიზიანებული პკითხა ჯეისონს, რატომ მუშაობს ამ მაღაზიაში, თუკი არაფერი იცის, და დახმარებისთვის განყოფილების მენეჯერს მიმართა. სანამ მენეჯერი მივდივს დეტალების არჩევაში ესმარებოდა, ჯეისონმა მოკლე შესვენება ითხოვა. მაგაზიიდან გამოსულ მივდივს მკერდში ორი ტყვია მოხვდა. ჯეისონი მსხვერპლის გვერდით ასვალტზე დაჯდა, პისტოლეტი გვერდით დაიდო, სივარეტს მშვიდად მოუყვარა და პოლიციას დაელოდა. დაკავებისას წინააღმდეგობა არ გაუწევია. როდესაც პოლიციელმა ჯეისონს პკითხა, ეს რატომ გააკეთა, მან თვალეტი დახარა და უემოციოდ უპასუხა: „ყელში ამოიყვანა“.

ეს ინდივიდები (თუ სიტყვა „ინდივიდები“ არ მოგწონთ, შემიძლია ზომბი ვუწოდო) სოციალურად საშიშნი არიან, როდესაც საჭესთან სხედან, რადგან შექნიშნის სამი ფერის გარდა არაფერი იციან. მათთვის უცნობია მარცხენი მუხვიანის ან მარჯვენა ხელის წესები. მათ შეუძლიათ გზაჯვარედინზე ოთხი სტოპ-ნიშნით 5-7 წუთი იდგნენ, რადგან არ იციან, როდის შეიძლება მოძრაობის დაწყება. მაგრამ უარსიცა, როდესაც იმავე გზაჯვარედინზე ისინი საერთოდ არ ჩერდებიან.

მათი ნახვა ყოველდღე შეიძლება. ჩვეულებრივ, ისინი დიდ მაღაზიებში მუშაობენ. რატომღაც ელექტროსაქონლის მაღაზიებში მუშაობა უყვართ, თუმცა ამაში არაფერი გაეგებათ.

დამახასიათებელი თვისება: ისინი არ ცხოვრობენ. ისინი არსებობენ, იმიტომ, რომ დროის უმეტეს ნაწილს ველფერის როგში ან 30-ე სამსახურისთვის ინტერვიუზე ატარებენ. წინა 29 ინტერვიუში მათ შუქუ უარი უთხრეს, რადგან ნარკოტიკებზე ტესტი ვერ გაიარეს. დროის ნაწილს ისინი სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამის უსარგებლო ლექციებზე ხარჯავენ, ანდა კურსებზე „როგორ აღარ ვიყო ნარკომანი და გახვდეთ ოჯახის პასუხისმგებელი უფროსი“, „როგორ მოვეშვათ საკუთარი ცოლის ცემას“, „როგორ დავიოკოთ ტემპერამენტი“ და ასე შემდეგ.

სამწუხაროდ, „homo sapiens“-ს ეს კატეგორია ამერიკაში ყოველწლიურად იზრდება, იმიტომ, რომ დღეს აშშ-ში თითქმის არ არსებობს ისეთი მოსწავლე, რომელსაც ნარკოტიკი არ გაუმზავდეს. სამშობლო მათ საზოგადოების ნაძირალებად არ მიიჩნევენ. ისინი, უბრალოდ, ბედისგან დაჩაგრული ადამიანები არიან, რომლებთანაც მუშაობაა საჭირო“. და სახელმწიფო მათთან მუშაობს, ერთი პროგრამიდან მეორეზე ავზავის. მთავრობას ეს ხელს აძლევს. ველფერის გადახდისთანავე ის უკან იბრუნებს მას იმით, რომ ამ ინდივიდებს იმას ასწავლიან, რასაც ნორმალური ადამიანი ბუნებრივი გზით შეიმეცნება.

მათ სიამოვნებით იღებენ არბიაში. ბევრი მათგანი კარგი ჯარისკაცი ხდება. თვით-გადარჩენის ინსტინქტს მოკლებულნი, ისინი

გაბედულად გადადიან შეტევაზე. ტკივილის გრძნობას მოკლებულნი, ისინი სხვებს აყენებენ ტკივილს. დღეს ისინი სინდისის ქენჯნის გარეშე ანადგურებენ ყრავის სამოქალაქო მოსახლეობას და მცირეწლოვან ბავშვებს აუპატიურებენ, შესაძლოა, იმიტომ, რომ მათ „ყველამ ყელში ამოუყვანა“.

ზემოთ აღწერილი კატეგორია – განათლების ამერიკული სისტემის ტიპური პროდუქტია. ეს, ფსიქოლოგების ტერმინით რომ ვთქვათ, ადამიანთა მოდგმის თვითშექმნილი და თვითაღზრდილი (კომპიუტერის ეკრანთან, მშობლების მიერ იგნორირებული, თავის დროზე საზოგადოებასთან ურთიერთობას მოკლებული, სატელევიზიო შოუებთან ცალმხრივ ურთიერთობაზე გაზრდილი) ინდივიდები არიან. ისინი ტრადიციული აღზრდის გარეშე იზრდებიან, იმიტომ, რომ კანონი მათ მასწავლებლებისა და აღმზრდელების იგნორირების უფლებას აძლევს. ისინი ბავშვობიდან თვითდინებაზე იყენებენ მიშველებს. ისინი უნიკალურები არიან იმით, რომ ზუსტად იციან, რა უნდათ, და, ამავე დროს, აბსოლუტურად არ იციან, რა უნდათ და რა სჭირდებათ.

ტრადიციით, ოჯახი არის უჯრედი, რომელიც პასუხს აგებს საკუთარ შვილებში ისეთი თვისებების აღზრდაზე, როგორცაა პატიოსნება, წესიერება, სიკეთე, გარშემო მოყვების სიყვარული და პატივისცემა და ასე შემდეგ. მშობლები ბავშვებს ტრადიციებს, ტრეკებს ასწავლიან, აცნობენ იმ საზოგადოების სულიერ ფასეულობებს, რომელშიც ცხოვრობენ.

ოჯახის მოდელი იდეალურ შაბლონს ყოველთვის არ შეესაბამება ისეთი ფაქტორების გამო, როგორცაა განქორწინება, ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, უმწუვრობა ანდა დროებითი სიძულვილი. მაგრამ ადამიანები, რომლებსაც ცნება „ოჯახური ფასეულობები“ ნაცნობია, როგორც წესი, მისწრაფიან ოჯახის თუ იდეალური არა, ყოველ შემთხვევაში, მყარი მოდელის ადგენისაკენ. თუმცა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ამერიკაში ცნებამ „ოჯახური ფასეულობები“ სადაც – ნაწილობრივ, სადაც კი მთლიანად შეიცვალა მნიშვნელობა. ბევრი ამერიკელი კრიტიკოსი ამაში საკანონმდებლო ხელისუფლებას, პოლიტიკოსებს, პოლიციუსს, ეკლესიას და საგადასახადო ინსპექციასაც კი ადანაშაულებს.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ მთავრობა ამერიკულ ოჯახს აკონტროლებს და ნებისმიერი საბაბით შეუძლია მის საქმეში ჩარევა. დავეთ, რომ მას, აგრეთვე, უფლება აქვს, ადმინისტრაციული ან სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა დააკისროს მშობლებს მათი შვილების მიერ ჩადენილი დარღვევების და დანაშაულებისთვის. მშობლები დაბნეულობისგან მხრებს იხიენ. აღზრდისთვის, რომელიც ხანდახან ბავშვის ფიზიკურ დასჯას მოითხოვს, მათ ხომ ასევე პასუხისგება მოელთ. და როგორ მითქვან, თუკი ბავშვისთვის სიტყვიერი აღზრდა საკმარისი არ არის?

ამიტომ, რაოდენ სამწუხაროდ უნდა იყოს, ამერიკაში ბევრია ისეთი მშობელი, რომლებიც მშობლის უფლებების ჩამორთმევის შემდეგ ხელეებს ჩამოუშვებენ და შვილებს სახელმწიფო მეურვეობის ქვეშ ტოვებენ. ბევრს, უბრალოდ, ბავშვის შინ დაბრუნების პროცედურის გაკლის საშუალება არ აქვს. მშობლის უფლებების ჩამორთმევის შემდეგ ბავშვის „მწყენინებელმა“ ნახევარი წელი უნდა იაროს ბავშვის აღზრდის კლასში (parenting class), რაც 1000 დოლარამდე ღირს. თავშესაფრიდან ბავშვის წამოყვანისას მშობლებმა მისი იქ შენახვის ხარჯებიც უნდა გადაიხადონ. და მოუნდებათ კი მშობლებს, საქმე იქონიონ უმართავ ნაშიერთან, რომელიც მათ შემდეგ ჯერზეც ზუსტად ასე მოექცევა?

მშობლებს უფლება აქვთ, გაბრაზდნენ იმაზე, რომ სისტემა მათ საკუთარი შვილის აღზრდისა და მასზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობას ართმევს. სახელმწიფო თავშესაფრებიდან ბავშვებიც გაბოროტებული ბუნებიდან, რადგან დროებით საკუთარ თავს ოჯახური მეურვეობა მოაკლეს. ურთიერთსიძულვილსა და გაუცხოებას ზოგჯერ ორივე მხარე უკიდურესობამდე მიჰყავს. შვილები მშობლებს კლავენ. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში კი მშობლების მიერ შვილების მკვლელობის შემთხვევები გახშირდა.

(გაგრძელება მე-9 გვერდზე)

აშშ – ღატაკებისა და მონების ქვეყანა. ამერიკა, როგორც ის არის

(გაგრძელება მე-8 გვერდიდან) ცეცხლზე ნაყის პოლიციური და მედი-აქსელიც ასხამს. სკანდალურ შოუებს „მსუყვე პოლიციური ინტრიგები“, „ყოველდღიური ათეული“, „ახალი ამბები E“, „სამოთხის ქალაქი“ მთელი ამერიკა სიამოვნებით უყურებს. სკანდალური განქორწინებები მრავალმილიონიანი ქონების გაყოფით, სასიყვარულო კავშირები, ინტრიგები, „ვარსკვლავების“ დაპატიმრება ნარკოტიკების მოხმარებისთვის, ჯექსონის სექსუალური ცხოვრების ქექვა, კლინტონისა და მონიკას კავშირით ტკბობა და ბევრი სხვა რამ – ეს ყველაფერი ამერიკელებისთვის მაგალითი და მიბაძვის საგანია. ბევრი იმთავითვე, ვინც არ იცის, როგორ ააწყოს თავისი ოჯახური ცხოვრება, პოლიციურის ვარსკვლავების ცხოვრებიდან მაგალითებს იყენებს და მათ საკუთარ ცხოვრებაში ახორციელებს, თითქოს ეს მორიგი საკვები პროდუქტის ან კიბლის პასტის რეკლამა იყოს.

საკმარისი იქნება მთელ ამერიკაში გახმაურებული ერთი მაგალითიც კი, როდესაც ორმა პოლიციუდელმა რეჟისორმა, მელისა ერტიუჯმა და მისმა თანამცხოვრებმა ჯუ-ლია კილმერმა ბავშვის ყოლა გადაწყვიტეს და ამაში დახმარება „როლინგ სტონზის“ მუსიკოს დავიდ კროსბის სთხოვეს. 2000 წელს ლესბოსელებმა თავიანთ საიდუმლოს საჯაროდ ახადეს ფარდა და კორესპონდენტებს განუცხადეს, რომ მათ შვილს მისი ბიოლოგიური მამის არც მორალური, არც მატერიალური მხარდაჭერა არ სჭირდება. თავის მხრივ, კროსბიმ განაცხადა, რომ ბავშვის მიმართ არანაირ მამობრივ გრძნობას არ განიცდის, რადგან ზემოსწავლულთა თხოვნით მხოლოდ სურმის მოწოდება გასწავლა. მომდევნო წელიწად-ნახევრის განმავლობაში უმაჟიმო დაბადებული ბავშვების რაოდენობა ქვეყანაში სამჯერ გაიზარდა.

მთავრობამ დრმა შემოფოტება გამოთქვა და ველფერის შედეგების შემცირებით და ჩამორთმევითაც კი დაემუქრა დედებს, რომლებიც შვილის ბიოლოგიური მამის დარეგისტრირებაზე უარს იტყვიან. ახალგაზრდა მარტოხელა დედების ახალი ტენდენციის შეჩერების მიზნით სატელევიზიო პროგრამების სერია გავიდა. ამ უკანასკნელთა რაც შეეხება, მათმა 80-მა პროცენტმა დაუფიქრებლად გაწირა საკუთარი თავი და შვილები, მინიმუმ, თუ შეეძლო, არაუხრუნველყოფილი არსებობისთვის სახელმწიფოს მიწვევას ხარჯზე.

აშშ-ის ფედერალური კანონი მშობლის უფლებების ჩამორთმევის და/ან პატიმრობის მუქარით უკრძალავს მშობლებს 12 წლამდე ბავშვების უმეტესად ყურადღებულ ან სახლში მარტო დატოვებას. სიამოვნება, რომლის შედეგად ბავშვები ჩნდებიან, ახალგაზრდა მარტოხელა დედების უმრავლესობას მორიგ ამერიკულ „ფანდ 22“-ად (გამოუყვალ მდგომარეობად) შემოუბრუნდა. საბავშვო ბაგებისა და ბავშვის სიძვირის გამო მათ სამუშაოზე მიწვეობა არ შეუძლიათ. ის ბავშვიანი მარტოხელები, რომლებიც მშობლებისგან მხარდაჭერას ვერ იღებენ, იძულებული არიან, დღე-ღამეში 24 საათი მხოლოდ შვილებით იყვნენ დაკავებული. მაგრამ ველფერის შემოსავლის მხოლოდ ოჯახის პრინციპულ საჭიროებებს ყოფნის. მარტოხელა დედა ამაზე მეტის უფლებას თავს ვერ მისცემს. ერთადერთი საშუალება, რომ უსიხარულო ცხოვრება დროებით გათიხრობისთვის და ხელაინდელ დღეზე არ იფიქროს – ახალი „დატაკების“ გაჩენა და მათზე დამატებითი დახმარების მიღებაა.

და კიდევ ერთხელ მინდა, ხაზი გავუსვა, რომ ღატაკობა არა ცალკეულ შემთხვევებზე, არამედ 30%-ზე მატერიალურად გაჭირვებული ამერიკული ოჯახებისა, რომლებიც იმ ოჯახების 51%-ს შეადგენენ, სადაც ბავშვები უმაჟიმო იზრდებიან. ცხოვრების ასეთ წესს ყველა ახალგაზრდა დედა როდი გაუძლებს.

ამიტომ დროთა განმავლობაში თითქმის ყველა მარტოხელა ფსიქოლოგიური პრობლემები და ფსიქიკური გადახრები უჩნდება. ღატაკობის, ნეკადა მხოლოდ ბოლო 7 წლის განმავლობაში ათამდე სისხლის სამართლის პრეცედენტს მოითვლის, როდესაც ზაფხულში, 45-50-გრადუსიან სიცხეში დედები ბავშვებს დახურულფანჯრებიან ავტომობილებში ტოვებდნენ და საათზე მეტი ხნით საიდუმლოდ მდებარეობდნენ. ერთის გარდა, ყველა შემთხვევაში ბავშვები სიცხისგან გაიფრთხილნენ. დაკითხვაზე და სასამართლოში ოთხმა დედამ აღიარა, რომ ეს განხრახ ჩაიდინეს.

როდესაც 16-დან 30 წლამდე ასაკობრივი

ჯგუფის ახალგაზრდა ამერიკელ მშობლებზე ვლადარაკობთ, აუცილებლად ხაზი უნდა გავუსვათ, რომ ამერიკელთა სოციალური, გონებრივი, ფსიქოლოგიური მომწიფება და ზრდა გაცილებით უფრო ნელა ხდება, ვიდრე მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. ეს, ისევე და ისევე, განათლების ჩამორჩენილ სისტემას, მშობლების გამოცდილებისა და ჩვევების (რომლებიც თავად მშობლებსაც არ აქვთ) არგადცემას, სამართალს ხელსაწყო/ვირტუალურ შეცდომებს, ამერიკელი ნაციის მთელი ახალგაზრდა თაობის სტანდარტულ აღზრდას უკავშირდება.

თუკი 2000-ისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში 20 წლის ასაკში ყმაწვილების უმრავლესობა მამაკაცი ხდება, ხოლო ქალი-მშვილები – დედები, რომლებმაც მშობიარობიდან ახალშობილის მოვლამდე ყველაფერი იციან, ამერიკელთა 99%-მა არაფერი იცის. მეტიც, ისინი ფსიქოლოგიურად არ არიან მზად ზრდასრულობისთვის არა მარტო 20, არამედ 30 წლის ასაკშიც.

ამიტომ აშშ-ში ახალგაზრდა ოჯახებისა და მარტოხელა დედების მხარდაჭერისა და დახმარების სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული უამრავი პროგრამა არსებობს. ეს პროგრამები შეიცავს სრულ კურსს და სტანდარტულ დედალურ სახელმძღვანელოს: ცოლქმრული სექსის წესებიდან და პიკეინიდან, მშობიარობისთვის მოსამზადებელი კლასებიდან, ახალშობილის მოვლის დეტალური კონსულტაციებიდან – სტრესში მყოფი მშობლებისთვის ფსიქოლოგიურ კონსულტაციებამდე.

სრულფასოვანი მომუშავე ოჯახებისთვის ეს სახელმწიფო კურსები უფასო არ არის. უფასო პროგრამებზე კვალიფიცირობისთვის მშობლების/მშობლის წლიური შემოსავალი 9 ათას დოლარს არ უნდა აღემატებოდეს. ჩემი წიგნის ვებგვერდზე გამომხმაურებებში მითხვებელი უკვე გამოთქვამენ აზრს, რომ ყოფილი სსრკ-ის ქვეყნებში ახალგაზრდობის მდგომარეობა უკვე არაფრით არის უკეთესი, ვიდრე ამერიკაში. ყველაფერი მართალია: ამერიკული ექსპორტის მორიგი პროდუქტი, ინტერნეტის და, ავრთვევ, ყოფილი საბჭოთა ხალხის მიერ უცხო კულტურის გადმოღობული აღქმის „წყალობით“, უკვე წარმატებით გავიდა აღმოსავლეთევროპულ ბაზარზე.

მაგალითად, ტანსაცმელისა და პირსინგის ამერიკული მოდა მთელ ევროპას გადაედო. თუმცა თავად ამერიკელებს წარმოდგენაც არ აქვთ, როგორია ტანსაცმელის წარმოშობის ისტორია. ევროპამ ბრმად მიიღო ადამიანის სხეულის დაზიანების ეს ამაზრზენი პროდუქტი. საექვო, რუსი ან უკრაინელი ახალგაზრდობა უფიქრდებოდეს ამერიკული მოდის ინფექციურ შედეგებს. აშშ-ისა და სხვა ქვეყნების მრავალი სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური კვლევების შედეგებით, იმ ადამიანთა 88%-ს, ვინც სვირინგს ან პირსინგს იკეთებს, A ჰეპატიტით დაავადების პირდაპირი საფრთხე ემუქრება. 26%-ს – ჰეპატიტით, 88%-ის 6%-ს – C ჰეპატიტით.

თავად ამერიკაში ჰეპატიტის მკურნალობის ღირებულება სამედიცინო დახვედვის ხარჯზე იფარება. ამასთან, ყველა სახელმწიფო დაწესებულება და მსხვილი კერძო კომპანიების უმრავლესობა ყოველწლიურად ყველა თანამშრომელს ჰეპატიტზე ამოწმებს და აცრებს უკეთესს. გარდა ამისა, ამერიკელებს დაავადება, მთელი მსოფლიოსთვის მოეყოლა, რომ თვითონ სვირინგიანებს ბევრ სამსახურში არ იღებენ და რომ მრავალი კომპანიისა და სახელმწიფო დაწესებულების ანკეტაში არის შეკითხვა: „აქვთ თუ არა სვირინგი და/ან პირსინგი?“

მოდი, ამერიკული ოჯახის სტრუქტურას დაუბრუნდეთ და ვისაუბროთ „მამების“ როლზე, რომლებმაც წვლილი შეიტანეს მარტოხელა დედების მრავალმილიონიანი რეზუბის ჩამოყალიბებაში. აქვე გიტყვი, რომ ღატაკობა პარტნიორებს, რომლებმაც ქორწინება არ გაუფორმებიათ. ამერიკელმა სახელმწიფომ უკვე დიდი ხანია, ეპიზოდური როლი გამოუყო მათ, ასე თქვამთ, მუხჯი როლი: „სისხლი ჩააბარე დნმ-ის ანალიზისათვის, აღიმენტი გადაიხადე და თავისუფალი ხარ“.

აშშ-ის ფედერალური კანონი მოითხოვს, ყველა ბიოლოგიური მამა ოფიციალურად იყოს მიწერილი თავის შთამომავალზე. ეს პროცედურა შემდგომად ხორციელდება: ორსულობისას ქალი (სახელმწიფო დახმარების დაკარგვის შიშით) ვალდებულია, შეავსოს ანკეტა პატენტური მამის მონაცე-

მებით. მამას ვეზავნება უწყება დნმ-ის ანალიზისათვის სისხლის ნაბარების და ამ პროცედურისათვის 850-1000 დოლარის გადახდის მოთხოვნით. ამერიკა თავისუფალი ქვეყანაა და მამას უფლება აქვს, უარი თქვას ამ უსარგებლო ხარჯზე. მაშინ სახელმწიფო სასამართლოში უჩივლებს მას. სასამართლო აღძრავს „კვაზი-სისხლის სამართლის“ საქმეს (ეს ოფიციალური ტერმინია) და იძულებით მიჰყავს ის დნმ-ის ტესტის გასაკეთებლად. თუ მამისა და ბავშვის დნმ ერთმანეთს ემთხვევა, მამა „დამნაშავედ მიიჩნევა მამობაში“ (ოფიციალური სასამართლო ტერმინი – **found guilty of paternity**). ამ განაჩენის საფუძველზე დნმ-ის ტესტის ღირებულების გარდა პატენტური მამას სასამართლოს ხარჯების ანაზღაურებაც ეკისრება.

გარდა ამისა, სასამართლო ბიოლოგიურ მამას შვილისათვის აღიმენტი – ხელფასის დაახლოებით 1/3-ის – გადახდას უსჯის. მკითხველს სასხვებით ლოკუკური შეკითხვა უნდადგება: „რატომ არ შეუძლია ბიოლოგიურ მამას, სიტყვიერად აღიაროს თავისი მამობა?“ სახელმწიფო სიტყვიერად ან წერილობით აღიარებას არ იღებს. იგი ფაქტობრივად აღიარებას მოითხოვს, რათა მომავალში მამამ სასამართლო დავის წამოწმება არ სცადოს.

თითქოს სამართლიანობამ გაიმარჯვა. „ხვადს ლაგამი ამოსდეს“ და ნახევრად ობობა ბავშვის მარტოხელა დედის ცხოვრება უკეთესი უნდა გახდეს. მაგრამ სინამდვილეში სახელმწიფო მათთვის კი არა, თავისთვის ცდილობდა. ველფერი რეზინისა ხომ არ არის. ამერიკაში ყოველწლიურად იზრდება არასრულწლოვანი ოჯახების რიცხვი, რომლებიც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობენ. შემწეობა ყველას არ ეყოფა.

და უკვე აღარ ეყოფოდა, ამერიკაში ახალი კანონი რომ არ მიეღოთ „მიგრანტების შემწეობის შესახებ“, რომლის თანახმად, ყველა მიგრანტი, პოლიტიკური დენილების გარდა, მატერიალური შემწეობის მისაღებად დაკვალიფიცირება მხოლოდ მას შემდეგ შეუძლიათ, რაც 10 წელს და ერთ დღეს იცხოვრებენ ამერიკაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, როცა მიგრანტებს ყველაზე მეტად სჭირდებათ დახმარება, მას ვერ მიიღებენ. ვერაინ ვერაფერს მიიღებენ! როგორც იმ ანკედოტშია, გინდ ერთად წერეთ, გინდ ცალ-ცალკე.

ბავშვიან მარტოხელებს კი განაგავადივლდათ ცხოვრება? ვაი, რომ არა. თუ აღიმენტი მიღებამდე მარტოხელა დედა 800 დოლარის ოდენობით სახელმწიფო შემწეობას იღებდა, ხოლო აღიმენტი 600 დოლარს შეადგინა, შემწეობა ავტომატურად 200 დოლარამდე შემცირდება. სამაგიეროდ, დარბების კლუბს ახლა ბიოლოგიური მამა მიემატება.

1700 დოლარი საშუალო თვიური ხელფასის პირობებში დაბევრის შემდეგ (ოპტიმალურ ვარიანტს განვიხილავ), მინუს აღიმენტი, სულ ცოტა, 700 დოლარი ბინის ქირა, რჩება 400 დოლარი ანგარიშების დასაფარავად, საკვების, საწვავის, დაზღვევისათვის. ამ ციფრებს რომ ნახავს, ამერიკაში მცხოვრები ნებისმიერი რუსი ემიგრანტი გატყვეობს, რომ ასეთი შემოსავლის მქონე ადამიანს ყოველთვიურად 400-500 დოლარი ვალი ედება. ერთი ან ორი წლის შემდეგ ის თავს ბანკოტად აცხადებს, სამუშაოს თავს ანებებს და ველფერი ხელგაშლილი ეგებება საზოგადოების კიდევ ერთ არაპროდუქტიულ წევრს.

მთელ ამ გაწამაწამაში განა მშობლებს რჩებათ დრო ბავშვების მიმართ ყურადღების და სიყვარულის გამოსახენად? ბავშვების აღზრდა მრავალრიცხოვან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს აქვთ მინდობილი. ბავშვები ჩართული არიან საერთო საგანმანათლებლო, აკადემიურ, სპორტულ და აღმზრდელობით პროგრამებში. ამ ორგანიზაციათა 95% ნებაყოფლობით საწვინებზეა დაფუძნებული და არსებობენ, როგორც კერძო ბიზნესი, რომელსაც სახელმწიფო და მსხვილი კორპორაციები უწყვეტ სპონსორობას. ამ უკანასკნელთა მიერ გამოყოფილი ფული გადასახადების ჩამოწმებაზე იხარჯება. პროგრამები უფრო ხშირად მიჰყავთ არა პროფესიონალებს, არამედ მოხალისე პენსიონერებს, რომლებიც ამისთვის პენსიაზე მცირე დანამატს იღებენ. პროგრამათა უმეტესობის პროფესიული დონე ძალზე დაბალია. მათ არ გააჩნიათ რაიმე მეთოდოლოგია.

მიუხედავად ამისა, მარტოხელა მშობლები სიამოვნებით აგზავნიან იქ

ბავშვებს, რომ ცოტა ხნით მაინც დაისვენონ მომბატონებული უწყვეტი ყოველდღიურობისაგან. მაგრამ ნებისმიერ ოჯახში ბავშვების ძირითადი აღმზრდელი ტელევიზორი და კომპიუტერია. ეს საოჯახო ხელსაწყოები მშობლებსა და ბავშვებს შორის შუამავლების როლში გამოდიან. თუ მშობლებს არ ძალუძთ საკუთარი ბავშვების აღზრდა და მათთვის როლ-მოდელებს არ წარმოადგენენ, ტელევიზორი, მულტიმედია, შოუებისა და კომპიუტერული თამაშების გმირები მშვენივრად უცვლიან მათ მშობლებს. სახელმწიფო, მხარდაჭერის ნაცვლად, სავალო ციხისაკენ უბიძგებს ოჯახს და ერთმანეთთან აპირისპირებს ყველა მხარეს, ისე, რომ მათ შორის სიძულვილს იწვევს. მედიამრეწველობა კი მას ამაში ეხმარება.

იმ სკანდალს, რომელიც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა მთელ ქვეყანას მოსდეს მას შემდეგ, რაც ლორენა ბობიტა თავის ბიოგრაფიულ მარტოხელა პენსიონ მოაჭრა და ფანჯარაში გადააგდო, განსხვავებულ სქესებს შორის სიძულვილის საშინელი ტალღის აგორება მოჰყვა. ამის შედეგად წარმოიშვა ახალი, სტანდარტული საერთო თეორიული ტერმინოლოგია, რომელიც თითოეულ მხარეს აცხადებდა.

მამაკაცები ზურგს უკან ყველა ქალს მოიხსენიებენ როგორც „სტრეტიფიცირებულ/ლიცენზირებულ მუკნებს“, ხოლო ქალები კაცებს „საფულთან ვიბრატორებს“ უწოდებენ. მოზრდილები ბავშვებს „გადავარებულებს“ და „ქაქის ნატრებს“ უძახიან. ბავშვები კი, თუ ჯერჯერობით ნაჯახის ან ცეცხლსასროლი იარაღის ხელში დაჭერა არ ძალუძთ, უბრალოდ, დედის სულს უტრიალებენ მშობლებს და ყველა მოზრდილს. ყველა მხარეს ერთადერთი ფაქტორი აკავებს – მკაცრი სახელმწიფო კანონი.

აშშ-ში არსებობს კიდევ ერთი ოჯახური ჯგუფი – ჰომოსექსუალისტები და ლესბოსელები. ისინი ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის 1/10-ს, ანუ 30 მილიონს შეადგენენ. სამუშაოდ, სხვადასხვა სტატისტიკური წყარო მეტად განსხვავებულ მონაცემებს იძლევა იმის თაობაზე, მათგან რამდენი პროცენტში იმყოფება ოფიციალურ ქორწინებაში. ციფრები 12-დან 20 მილიონამდე მერყეობს. ინფორმაციის სანდო წყაროებიდან ცნობილია, რომ მათგან მხოლოდ 56%-ს აქონდა საწყისი ბიოლოგიური მიდრეკილება ჰომოსექსუალიზმისა და ლესბოსელობისადმი. დანარჩენმა 44%-მა ცხოვრების ეს წესი შეგნებულად აირჩია, დათრგუნა რა თავისი ჭეშმარიტი ბიოლოგიური მოთხოვნილებები.

და, რა პარადოქსულადაც არ უნდა ედრდეს, დღეს ჰომოსექსუალისტები და ლესბოსელები ქვეყანაში ყველაზე უფრო სტაბილური და პასუხისმგებლობის მქონე ოჯახური ჯგუფია, სადაც კარგად ესმით ოჯახური ღირებულებები. ფილოსოფოსობას არ მოეყვები თმაზე, თუ რამ მიიყვანა ეს ადამიანები არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მიღებამდე და არატრადიციული ოჯახების შექმნამდე. მაგრამ დარწმუნებული ვარ, 60-იანი წლების ფემინისტურმა მოძრაობამ, განსხვავებული სქესის ადამიანებს შორის თავისუფალი ურთიერთობის საკანონმდებლო შეზღუდვებმა და მრავალმა სასამართლო პრეცედენტმა თანდათანობით უძლიერესი ფსიქოლოგიური ტრავმა მიიყენა მთელ ერს – ორივე საპირისპირო სქესის სრული კონფუზი გამოიწვია. ამერიკელმა ქალებმა უკვე დიდი ხანია, დაკარგეს ნამდვილი ქალურობა, მამაკაცებმა კი – თავდაჯერებულობა. იმიჯი – თუ როგორები უნდა იყვნენ ერთი ან მეორე, უკვე დიდი ხანია, დაკარგულია და, აღბოთ, მათთვის, არც არასოდეს მოიბეზრება.

საქონლო რიმი



# ჯეომატიკას ზურბუქცეული ნაპირალები!

წერილი, რომელიც მეგრულ-მოძულეობით ცნობილი ტარიელ ფუტკარაძემ მისწერა თავის ერთ-ერთ ინკოგნიტო მეგობარს:

“საქმე იმაშია, ჩემო... რომ ჩვენ არ უნდა შევცვალოთ პოზიცია. ყველა მშვენივრად იცის, რომ მეგრულიც და სვანურიც ენებია და ჩვენი თეორიის საპირისპიროდ იმის დამტკიცება თუ მოახერხეს, ნათვალდ, რომ ქვეყანა თავზე დაგვექცევა. არც ერთი ნაბიჯით უკან არ უნდა დავიხიოთ და ვეცადოთ, რომ მივაღწიოთ მეგრულის დი-ალექტად საერთაშორისო აღიარებას. სვანური არ არის იმდენად საშიში, როგორც მეგრულია. ამიტომ, მცდარია თუ არა ჩვენი პოზიცია, ახლა უკან დახევა ქვეყნის ღალატის ტოლფასი იქნება. საპატრიარქო სრულად იზიარებს ჩვენს აზრს და მხარდაჭერას გვაძრავს, რაც ჩვენი თეორიის აღიარებას გარანტირებს. საპატრიარქოსთან დაპირისპირებას ურთიერთობის ეს ახლადაღ-მოცნებული კუთხისტები, თორემ აქამდე გადაგვივლიდნენ.

აქ გამწვიდობები ჩემო მეგობარო. ღვთის მადლი გვარავდეს!

ტარიელი”.

წერილი, რომელიც ტარიელ ფუტკარაძის წერილის აღრესატმა-ინკოგნიტო მეგობარმა მისწერა თავის ასევე ინკოგნიტო მეგობარს:

“მოგესალმები! იძულებული ვარ ეს წერილი ინკოგნიტოდ მოგწერო, რადგან მასალა, რომელსაც ახლა გიგზავნი, იმდენად სკანდალურია, რომ არ მინდა შარში გავეხვე. შარში იმტომ, რომ ეს პირადად მე მომწერა ტარიელ ფუტკარაძემ, მე კი გადავწყვიტე ხალხს სიმართლე გაეგო ამ ადამიანის შესახებ, მართალია, მეგობარს მიწოდებს, მაგრამ უკვე შეძენილია მასთან მეგობრობა.

დიდი ბოდიშის მოხდით, ავთანდილ ნს...”

ღია წერილი მეგრული ენის მოძულე ტარიელ ფუტკარაძეს

მართლაც მოულოდნელი იყო ჩემთვის თქვენი აქ ხილვა, ბატონო ტარიელ!

მოგესალმებით – გომორბგევა, თქვან!

კარგია და საინტერესო, როცა ადამიანს პირადად უზიარებ საკუთარ აზრებს. ჩემი აზრები და შთაბეჭდილებები თქვენდამი კი, არც თუ ისე დადებითია, თქვენივე ნაშრომებიდან და მოსახრებებიდან გამომდინარე, თორემ პიროვნულად რომ არაფერს ვერნობ, კი იცით, ამიტომაც მაპატიეთ ჩემი არსებობა!

მაპატიეთ, თქვენს მიერ დასახელებული ავტორების შესახებაც რომ უკვე წაკითხული მაქვს და, ასე თუ ისე, გაანალიზებული. იმედია, იმასაც მაპატიებთ, რომ ვარ ქართველი, მაგრამ კუთხით მეგრული და მაქვს პრეტენზია – ჩემს ქართულთან ერთად მეგრულ ენაზეც ვსაუბრობდუ, მიყვარდეს და, თუ საჭირო გახდება, ვიცავდე ორივეს ერთნაირი ძალით, ამ შემთხვევაში კი ვიცავდე თქვენგან, სწორედ რომ თქვენგან!

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ თქვენ ჩემს ყველაზე წმიდათაწმიდა საგანძურს ეხებით გაპოლიტიზირებული და არაარ-გუმენტირებული ფაქტ-ხელებით და ამიტომაც, მე თქვენ გთვლით ჩემი (ჩვენი) ერის მტრად! თქვენ, რომელიც შეიძლება ახლა იცინით კიდევ ამ ყველაფერზე! და ამ ყველაფრის თქმა ტალახის სროლა კი არ არის თქვენზე, პირდაპირ თქმა იმისა, თუ რას ვფიქრობ თქვენზე. ტალახის სროლა კი თქვენ გეხერხებათ კარგად-თქო, რომ გითხრათ, იმედია ამას მაპატიებთ! ეს თქვენსგან იმედი იქნება თქვენი ე.წ. სამეცნიერო ნაშრომებით, არა მხოლოდ მეგრულ, ან სვან, ან ლაზ ხალხს, არამედ სრულიად საქართველოს! მის ისტორიას! თქვენი ზო-

გადი მსჯელობებით, სხვების მიერ აღ-მონიშნულ-ნათქვამის განმეორებით და მერე მათზე ჩამოყალიბებული საკუთარი არგუ-მენტებით თქვენ ავალბებთ საქართველოს ისტორიას. ღიახ, ასეთი შთაბეჭდილება დამიტოვა მე თქვენმა ნაშრომებმა. ღმერთმა ქნას, მარტო მე ვცდებოდე და მე ვიყო იმ-დენად უვიცი, ვერ ვიგებდე, რას ამბობთ და სად ურტყამთ? მაგრამ რატომ ვერ იგებენ სხვებიც? რატომ გეწინააღმდეგებიან საკუთარი კოლეგებიც? ნუ მეტყვით ახლა “კარგია მუდამ მტრიანი” და იმტომო. მე თქვენს ნაშრომებში და გამოსვლებში პოლიტიკური ხაზგასმები უფრო დავინახე, ვიდრე ენათმეცნიერული მსჯელობები. ქართველების ერთიანობის მისაღწევად ამ სიმდიდრის უარყოფა გადავიწყვეტიათ, რაც უფალს ჩვენთვის უბოძებია! უფალმა კი ღვთიურ ქართულ ენასთან ერთად ამ პატარა, მცირერიცხოვან ერს თვალმარ-გალიტი დიალექტები და უზარმაზარი სიბრძნის დამტკევი ენები მოგვცა სვანურ-მეგრულ-ლაზურის სახით! თქვენ კი ერთი ხელის მოხმით ცდილობთ მათ გაქრობას თუ არა, გაუბრალოებას და მათ უმნიშვნე-ლო ელემენტებად წარმოჩენას და რა არის ეს, თუ არა საკუთარი ერისა და ქვეყნის ღალატი? მისი მტრობა?

ასე ერთიანობას კი არა, მტრობას და შუღლს აგდებთ კუთხეებს შორის და აღ-ბათ ეს არის თქვენი მიზანიც, თორემ უფრო ფაქიხად მიუღებოდათ ამ საკითხს. ისევე ფაქიხად და ისევე სიუსტიო, რო-გორც ამას ჩვენი ქვეყნის ნამდვილი მა-მულიშვილები, ჭეშმარიტი ენათმეცნიერები და ისტორიკოსები აკეთებდნენ. ენა – რატომ გავიწყდებათ, რომ ყველაზე ფაქიხი ორგანიზშია ეროვნული სხეულის და თუკი არ გავიწყდებათ და გახსოვთ, მაშინ რატომ აკეთებთ შეგნებულად და რატომ ცდილობთ გვატკინოთ სხეულის ეს ნაწ-ილი? ნუთუ არ იცით, რომ თქვენს მიერ დიალექტებად მონათლულ ენებს ყოველთვის ერქვა ქართველური ენები, მე უწყლოდი, მოსაქვამომდე!

ერთადერთი, როცა მტერმა დაიწყო აქტიურობა და სურდა ქართული ქვეყნისა და ეკლესიის დაშლა-დაქუცმაცება, ჩვენმა დიდმა წინაპრებმა, ვისაც თქვენ ასახელებთ, ბატონო ტარიელ, მტრის წინააღმდეგ მშვი-დობიანი გზით პრობლემის მოსაგვარე-ბლად პოლიტიკურ თამაშში ჩართეს სრუ-ლიად უწყინარი ვერსია – ენების დიალექ-ტად გამოცხადება, რამაც მაშინ მართლაც დადებითი როლი შეასრულა ქვეყნის ერ-თიანობის იდეის შენარჩუნება-განმტკიცების საქმეში.

სამწუხაროდ, ამ უდიდესმა მოაზროვნეებ-მა ის ვერ გათვალეს, მათივე შთამომავალთ რომ შეიძლება მტრის თვალის ასახვე-ვად შექმნილი ეს ვერსია შემდგომში აე-ტაცებინათ და მიზეზი გაეხადათ საქართვე-ლოს ისტორიის და კულტურული ღირე-ბულებების, ფასეულობების დასაქინებლად. ის, რასაც ახლა თქვენ სწადიხართ, სწორედ ეს საქციელია, სხვა არაფერი!

კიდევ ვიმეორებ, თქვენს ნაშრომებში, რომ მე ლინგვისტურად მისხნიდნენ დე-ტალებში და წარმომიდგენდეთ მეგრულის დიალექტობის ნიმუშებს, ასე არ ვისაუბრებ-დი. მაგრამ თქვენი პოლიტიზირებული ზოგადი მსჯელობები ვერ მიკმაყოფილებს ცნობისმოყვარეობას და ვერ მხდის ინ-ფორმირებულს, ამ კუთხით!

თქვენ ბრძანებთ, თორემ: “ქართული ენა ყველა კულტურული კახელის, იმერელის, შავშეთელის, მეგრელის, სვანის თუ გუ-რულის ენა იყო თავიდანვე და უკლებლივ ყველა ღირებული თხზულება საქართვე-ლოს ყველა კუთხეში ამ ენაზე იქმნებოდა და არა ქართულ, ლაზურ თუ მეგრულ დიალექტზე”. მე მაინტერესებს, რა გაძლეოთ ამის თქმის საფუძველს? ამისთანა მარტივი მიდგომა როგორ შეიძლება ენათმეცნიერს ჰქონდეს ამ საკითხისადმი?

მეონი მაქვს უფლება ვიკითხო, თავი-დანვე ქართული იყო, რომ ბრძანებთ, ამ თავიდანვეში რომელ ეპოქას გულისხ-მობთ? დარწმუნებული ვარ – ფარნავაზის ეპოქას!

და მანამდე რომ უდიდესი კოლხური ცივილიზაცია არსებობდა და რა ფენომენიც იყო კოლხეთი, დარწმუნებული ვარ ჩემზე კარგად იცით და ამას რატომ არ მიიხნევთ უდიდეს მონაპოვრად, მაინ-ტერესებს! რატომ უფლით გვერდს ამ ფაქტს? და თუკი მიიხნევთ და თუ აღი-არებთ კოლხურ ცივილიზაციას, დარწ-მუნებული ვარ ისიც გეცოდინებათ, რომ უძველესი კოლხური ენა სულაც არ არის თანამედროვე ქართულის იდენტური და რომელი თანამედროვე ენები დგას კოლხ-ურთან ახლოს, ეს ჩემზე უკეთ უნდა უწყო-დეთ, წესით...

მადლობა ღმერთს, კოლხური კულტურ-ისა და ცივილიზაციის აღმატებულება, ეს აღიარებული ფაქტია და ამ ფაქტით წესით უნდა ვამაყობდეთ ქართველები, მარტო ეს ფაქტი კმარა იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად უძველესი ქვეყანა ვართ, მაგრამ ნაცვლად იმისა, თითქოს შეგნებულად ხდება დღესაც კი, რატომღაც ისევ ქართუ-ელ მეცნიერთა მიერ, უამრავი საინტერესო ფაქტების მიჩქმალვა და დღემდე მზად ხართ საქართველოს ისტორია ფარნავაზი-დან დაიწყოთ. ვითომ მეფე აიგეტი არც გეყოლია! რემდე მზად ხართ ლეონტი მროველი მიიხნით უტყუარ და ერთადერთ ჭეშმარიტ მემატთანედ და არ გაიზიაროთ უამრავ ქართველ, თუ იგივე უცხოელ სწავლულთა თუ მოგზაურთა მოსახრებები, რომლებიც კოლხური კულტურისა და ცივილიზაციის აღმატებულებას და უპი-რატესობას უსვამდნენ ყოველთვის ხაზს.

კოლხეთზე და ოქროს საწმისზე წერდ-ნენ ჰომეროსი, ჰეროდოტე, ვერგილიუსი, აპოლონიოს როდოსელი – რომელი ერთი ჩამოვთვალო... რატომ არაფერს ჰყვება ამის თაობაზე ლეონტი მროველი? ხომ ჩანს თუნდაც აქედან, რომ კოლხეთი რადაცნაირად აშინებდა მას. სამაგიეროდ სომხებს მისცა ხმის ამოდების უფლება. ასე მგონია, დღემდე “მროველის უხინარი კულტია” საქართველოში და თქვენც, შეგ-ნებით თუ შეუგნებლად, იმ კულტის მსახ-ური ბრძანდებით! სომხები კი დღემდე ხარობენ ამით...

მოკლედ, საქართველოს ისტორიაა გაყ-ალბებული და დღემდე ხდება მისი გაყ-ალბება და სწორედ ეს გახლავთ უბედურე-ბის თავი და თავი. ისტორია რომ არ იყოს გაყალბებული, ლინგვისტური საკ-ითხებიც გარკვეული იქნებოდა აუცილე-ბლად და არც მათი პოლიტიზირება მოხდებოდა...

კოლხეთის უპირატესობა ზოგად ქარ-თულ კულტურასა და ისტორიაში რომ არ იყოს დღემდე მიჩქმალული, ვერც იმას იტყოდა, რომ მეგრული ქართულის დი-ალექტიაო, რადგან მეგრული სწორედ რომ პირდაპირი მემკვიდრეა კოლხური ენის ლაზურთან ერთად და არც სვანური იქნე-ბოდა დიალექტად გამოცხადებული. კოლხ-ური კულტურასთან რომ მტრული დამოკიდებულება არ იყოს ზოგად ქართველურ სივრცეში და აზროვნებაში, არ იარსებებდა უამრავი დღეს არსებული პრობლემა. ერთიანი ქართველური სახ-ელმწიფოს შექმნა-ჩამოყალიბება სწორედ კოლხეთის უდიდესი სურვილი და მის-წარგება იყო, რაც განხორციელდა კიდევ მაშინ. მაშ, რა ხდება დღეს? საინტერესოა. რა უსაფუძვლო შიში და ამპარტავნებაა გამეფებული ქართულ ცნობიერებაში? რა მანკიერება გვჭირს? თუ ვხვდებით მაინც?... სამეგრელო და სვანეთი თავის თავს ყოველთვის მოიხრებდა და მოიხრებს ერთიან ქართულ სივრცეში. მაშ, რატომ ქმნით ხელოვნურ ბარიერებს, ბატონო ტარიელ, თქვენი პოლიტიზირებული ნაშ-რომებით და რატომ ქმნით დვინჯილიას ფენომენს, სწორედ თქვენ?

იცით, კიდევ, ჩვენ რატომ არ გვემის ერთმანეთის, ბატონო ტარიელ? იმტომ, რომ თქვენთვის საქართველოს ისტორია ფარნავაზით იწყება, ჩვენთვის კი, აიგეტი-დანაც არა – უფრო იქით, იმ ეპოქიდან, როცა დღემდე ასე გახაიდუმლოებული კოლხურის სიბრძნის წიგნი, ბიბლიად წოდებული “ეფუთი” იწერებოდა! და ეს

ინფორმაცია, სრულიად არა მგონია, არც ქართველთა ფანტაზიის ნაყოფი და არც ლეგენდა! ეს ინფორმაცია კოდირებულია და დალექილია ყოველი ჩვენგანის ცნო-ბიერებაში.

ამოუხსნელი ფენომენია! თქვენს ადგილას, ამ და მსგავსი საკ-ითხების გარკვევით, შევეცდებოდი დამეძველებინა საქართველოს ისტორია, მით უფრო, რომ არანაირი მასალა არ მოგვეპოვება დღეს დოკუმენტის სახით, მაგრამ ხომ არსებობს უამრავი წყარო, რომლებიც მოძიებულია და კიდევ უფრო მეტი მოძიება სჭირდება.

კოლხეთში დამწერლობა რომ უნდა არსებულიყო, ამაზე დღეს აღარ ეჭვობენ! მაშ რატომ არ მიჰყვებით, დღემდე, სხვა მეცნიერთა მსგავსად ამ ხაზს და სწორედ თქვენს მიერ დიალექტებად აღიარებულ ენებში რატომ ეძებთ გასაღებს, ამას ხომ ნამდვილად აკეთებდნენ თქვენი წინამორბე-დები?

ვაი, ჩვენს დღეს – იმდენი რამე მსურს გითხრათ და, საერთოდ, რამდენი რამე მქონია თქვენთან სასაუბრო და თქვენ გაიხარეთ, რომ მომეცით ამის საშუალება, თქვენი აქ შემოსვლით და გამომხაურებით. როგორი გაბრაზებულიც ვყოფილვარ თქვენზე, ახლა ვხვდები. ისეთი გაბრაზე-ბული, რომ ცივი წყალიც ვეღარ მშველის! მომიტყვევთ, ბატონო ტარიელ, ასეთი ტონით საუბარი! მამის ტოლი კაცი ბრძან-დებით და იმდენს ვხვდები, რომ ჩემი თანატოლივით არ უნდა გესაბუროთ, მაგრამ ყოველთვის ყველასთან პირდაპირი ვარ, მეგრული დიპლომატია არ მახასიათებს, მით უმეტეს, ამ საკითხში! ამიტომ, მიფრთხ-ილდითო, როგორ გითხრათ, მაგრამ მაინც მიფრთხილდით! ვიცავ მე მეგრულს თქვენ-გან!

ჰო, კიდევ, თქვენი ტიპოლოგიური ენების განხილვისას შევაშინე, რომ მეგრულთან მიმართებაში ცოტა მწყურალად უნდა იყოთ (ცოტა კი არა, ცოტაზე მეტად უნდა იყოთ მწყურალად, თორემ აიგეტის, ქუჯისა და ჩემს ენას დიალექტს არ დაუძახებდით). თუნდაც, “ქობიძის ძღაბი დო ქადუძახი” – ამ ფრაზაში არ არის ცემართული მეგრული და უნდა იყოს “ქადუძახი”. და საერთოდ, მე რამდენადაც ვიცი, თქვენ არ იცით მეგრული და სვანური ენები და თუ ეს სიმართლეა, კიდევ ერთი უტყუარი საბუთი იქნება, რომ თქვენ მცდარ გზაზე შემდგარი ენათმეცნიერი ხართ! ამიტომ, პირველწარო თქვენა ხართ და იქნებ თავადვე მიპასუხოთ: იცით თუ არა ეს ენები?

### მაპა ბუბუჩია

გაზეთ “ილორის” კომენტარი – არა გვეგონია, ახალგაზრდა, უდავოდ ნიჭიერი გოგონას ამ წერილმა მეთხველი მწარედ არ დააფიქროს. უბედურება ისაა, რომ ქართული ენის ფასდაუდებელი სიმდიდრის დაცვა ისეთი გულდრძო ქართველი “მეც-ნიერებისაგან” გვიწევს, როგორებიც არიან ფუტკარაძე, გვანცელაძე, სასულიერო მღე-ვაწე ანანიას ჯაფარიძე და სხვები, რომელთაც, მიუხედავად მეგრული ენის არცოდინისა, ჰყოფნით იმის თავხედობა, იმ-სჯელონ ამ ენის თაობაზე და უძველესი და უმდიდრესი მეგრული ენა (რომლის გამოყენებითაც შესძლო ცნობილია ქართველმა მეცნიერმა ბატონმა ვია კვაშილაძემ “ფესტოსის დისკოს” ტექსტის გაშიფვრა) ქართული ენის ერთ-ერთ დი-ალექტად გამოაცხადონ! რაც შეეხება მეფე ანანიას (ჯაფარიძე), იგი ისეთი მონღოლებით იღვწის ქართულ ენათმეც-ნიერებაში, რომ თითქოს საკვლეხით წიადში ყველაფერი ჰქონდეს მოწესრიგებული და მისივე მსგავს ხელისუფლების მოტრფიალე მღვდელმთავართა რიგში ყინდა ჩამდგარი არ უცქერდეს გულგრილად, თუ როგორ მიაქანებენ მის სამშობლოს უფსკრულისა-კ-ენ სააკაშვილი და ნაციონალები! მათ სინდისზე იყოს!

(გაგრძელება - 188 ნომრიდან) იოანეს სახარების XI თავიდან მოვიყვანო

რამდენიმე პუნქტს. „ესისომ მოისმინა და უთხრა: ეს ავადმყოფობა სასიკვდილო არაა, არამედ ღმერთის სადიდებლადაა, რათა მისით განდიდდეს ძე ღვთისა“ (11.4)

„როდესაც გაიგო, რომ ავად იყო, ორი დღე დაჰყო იმ ადგილზე, სადაც იმყოფებოდა“ (11.6)

„ღამით მოსიარულე კი წაიბორძიკებდა, რადგან სინათლე არ არის მასში“ (11.10)

„მაშინ იესომ პირდაპირ უთხრა: ღაზარე მოკვდა“ (11.14)

„ესო ეუბნება მას: აღსდგება შენი ძმა“ (11.23)

„მართამ უთხრა იესოს: აღსდგება ადგილისას, უკანასკნელ დღესა“ (11.24)

„ესომ უთხრა: მე ვარ ადგილი და სიცოცხლე, ჩემი მორწმუნე რომც მოკვდეს, გაცოცხლდება“ (11.25)

„ესო აცრემლდა“ (11.35)

„ესო კვლავ ადგა თავისთვის. მივიდა სამარესთან. ეს იყო გამოქვაბული, ზედ ლოდი დადებულნი“ (11.38)

„ესომ თქვა: ასწიეთ ლოდი. მიცვალებულის დამ მართამ უთხრა: უფალო, უკვე ყარს, რადგან მეოთხე დღეა“ (11.39)

„ესომ უთხრა: განა არ ვითხარი, რომ თუ ირწმუნებ, ღმერთის დიდებას იხილავ“ (11.40)

„ამრიგად ასწიეს ლოდი. იესომ თვალები აღაპყრო და თქვა: მამო, გამადლო შენ, რომ მისხინე“ (11.41)

„და ეს რომ თქვა, დიდი ხმით დაიძახა: ღაზარე, გამოდი“ (11.43)

„გამოვიდა მიცვალებული, ხელ-ფეხი სახვევებით ჰქონდა შეკრული და სახეც სუფთად ჰქონდა შეხვეული. იესო ეუბნება მათ: განსენით, გაუშეთ, იაროს“ (11.44)

ახლა კი მივევთ კვალდაკვალ ბიბლიის ამ თემებს.

11.4 ეუბნება, რომ ეს ყოველივე ღვთის მიერაა გაკეთებული, მისი ნებაა, თავისი და თავისი ძის განსაიდებლად. თურმე თვით ღმერთისგანაა ეს ამბავი ტაბუდადებული. იგი სასიკვდილოდ არ გაიმეტა უფალმა, გაა-საიდუმლოდა გარკვეული დროის განმავლობაში. სწორედ ამიტომ ამბობს იოანე-ზოსიმე მის მიერ „გადმოჩნობულში“:

„დამარხულ არს ენა ქართული დღემდე მორედ მოსვლისა მესისა საწამებლად.“

რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა. და ესე ენა მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამა ენასა ღაზარე პრქ ან“

მხელი გასაგებო ადარ უნდა იყოს, რომ მსოფლიო ენა დღევანდელი ქართული ენაა, რომელსაც სხვა მშობლიური ენებისგან განსხვავებით დღეა-ენა ეწოდება. რომელი ენების დღეა იგი? იგია ყველა არსებული თუ დაკარგული ენების დღეა. და აქ უცხო

არაფერია, ყველაფერს ხომ დედა ჰყავს. ასევე ენებსაც ჰყავთ (იგიც ცოცხალია) დედა და ეს ენა ქართულია. აქვე მინდა ვთქვა, რომ არაერთი წმინდანი მიუთითებს, ღაზარე - ქართული ენაა.

თუ არ ვცდები, ძველი წელთაღრიცხვის VI თუ IV საუკუნეში ებოფანე ბრძანებს: „უწინ კოლხებს დამწერლობა ჰქონდათ“. ჩვენ ვიცით, წინა დღეს - გუშინ, იმის წინას - გუშინწინ ჰქვია. თუ ამდენი იცოდა ებოფანე, იგი იტყოდა კოლხების დამწერლობის ასაკს, მაგრამ იმდენად დიდი ხნის წინ იყო, ასე მოიხსენებს: „დიდი ხნის წინ“.

11.6 გვეუბნება, როდის დაადო ტაბუ ღმერთმა ქართულ ენას. იესომ კარგად იცოდა, მაგრამ როგორც ადამიანი, ორი დღის შემდეგ მოკვდინა ქვეყანას და მაშინ ხდება საცნაური, რომ ღაზარე კიდევ ორი დღე უნდა იყოს მკვდარი და როცა ღაზარე მკვდარია, ამ დროს ბნელი დამეა. დამით მოსიარულე კი წაიბორძიკებს (11.10).

11.23-ში იესო ამბობს, ღაზარე აღდგებო, რაზეც მართა დაეთანხმა - როცა აღდგომა

ვთქვით, „ლო“ სულია, რომელიც მღუმარეა, „დი“ ქართულში მოიაზრება როგორც დიდი (მაგ.: დიდება) მათი შეერთებით კი ვიდებთ - „ლოდი“. ეს ის მღუმარების ლოდა, რომელიც დაფარებულია, სადაც ღაზარე იმყოფება. აქვე მინდა მივუთითო, რომ 4000 წლის განმავლობაში გამოქვაბულზე დაფარებული ლოდის ასაკი ქართულში გამოითქმის როგორც „ლოდინი“. სწორედ ამიტომ ამბობს იესო ხმამაღლა - ლოდი მოაშორეთ გამოქვაბულსო, რაც ნიშნავს, - კმარა ლოდინი, დრო გავიდა მღუმარებისა. მეტი ცდა აღარაა საჭირო. ღაზარე უნდა გაცივდებოდა, ამე-ტყველდეს, ამცნოს ყველას საიდუმლოების ამბავი.

აქვე მინდა ვთქვა, რომ ზარი ოდითგანვე ამბების მცნეა. ადამიანები ზარით ატყობინებდნენ ერთმანეთს, კარგსა თუ ცუდ ამბებს - მოკლედ, ზარის საშუალებით „ელა-პარაკებოდნენ“ ერთმანეთს.

გე კი არა და, სვანეთში კარგი და ცუდი ამბების შესახებ სიმღერაც არსებობს, რომელ-

# ღა-ზარე

მოაღწევს უკანასკნელ დღესო. იქვე, 11.24 და 11.25 მიუთითებს, რომ იესო ქრისტეს ძალიან უყვარს ღაზარე და ამიტომ ატირდა კიდევ. იქვე ამისთვის გვაქვს ქართულებს სიმღერა „მრავალჟამიერი“, რომელიც, მე მგონია, გულისხმობს: ბევრი ჟამიანობა გადაგხდებო-თო.

დავით წინასწარმეტყველი გვიმძღვრავს, რომ ბიბლიური დღე ამჟვენიურ 1000 წელს შეესაბამება. ქრისტეს ადამიანად მოსვლის დღე, ეს ის პერიოდია, როცა ძველი და ახალი წელთაღრიცხვანი ერთმანეთს ემი-ჯნებიან. იმდენად, რამდენადც ღაზარეს გარდაცვალებიდან 2 დღე - 2000 წელია გასული, ხოლო ქრისტეს ადამიანად მოსვლის შემდეგ კიდევ გასულია 2 დღე - 2000 წელი. ეს გასრულებულია 4000 წელი. ეს სასწაული იოანე-ზოსიმეს ასე აქვს „გადმოჩნობულში“:

„და სახარებასა შინა ქართულსა, ხოლო თავსა მათისსა წილი ზის, რომელ ასო არს. და იტყ ის ყოველად ოთხ ათასსა მარაგსა, - და ესე ოთხი დღე, და ოთხი დღისა მკუდარი, ამისთვის მისთანვე დაფლული სიკუდილითა ნათლისღებისა მისისათა.“

ყველას მინდა შევახსენო, აქ ნახსენები „წილი“ - იგი ქართული ანბანის 31 ასო-ნიშნისა და იწერება „წ“, ხოლო მისი რიცხვითი მნიშვნელობა 4000(!). ხომ არაფერი გვეკვებათ? დიდება შენდა ღმერთო!

სწორედ აქ მინდა თქვენი ყურადღების გამახვილება და დასტური იმისა, რაც ქართულ ენაზე მოგახსენეთ, ქართულ ენაშია ჭეშმარიტება.

საც „ზარი“ ეწოდება. ეი შევთანხმდეთ, ზარი ამბის ცნობას, მოტანას, ან გადაცემას ნიშნავს.

იესო ხმამაღლა ბრძანებს: „ღა-ზარე, გამოდი!“ (11.43)

ეს კი ნიშნავს: სული რომელიც მოდისარ, ზარო, ამცენ, ამბავი მოიტანეო.

დღეს არაერთი მკვლევარი (პროფესიონალი თუ მოყვარული) ლაპარაკობს ღაზარეს (ქართული ენის) აღდგინებაზე. ვისი ან რისი დაძინება შეიძლება? ვისი ან რისი დაფლა შეიძლება? იმისა, რაც დაძინებამდე მღვიძარე იყო; იმის, რაც დაფლამდე დაუფლელი იყო. ლაპარაკია ღაზარეს 4000 წლის წინანდელ სიცოცხლეზე. არსად არ არის მინიშნებაც კი, ღაზარეს დაბადების შესახებ. იგი ღმერთმა კაცთან ერთად, მასთან სასაუბროდ შექმნა!!!

ღმერთმა ყველა დაგვიფაროს ბიბლიის კონტროლისა და „რევიზიისგან“, მაგრამ თუ არითმეტიკის კანონები ისევე ძალაშია, ქართული ენა წლისა ყოფილა (მხედველობაში მაქვს ქართული, კოლხური, სვანური, აიასი და ) (4000+ სხვა წინარე ენები).

„და ესე ენა, შემკული და კურთხეული სახელთა უფლისა თა, მდაბალი და დაწუნებული, - მოელის დღესა მეორედ მოსვლასა უფლისასა...“

და მართლაც, საუკუნეების განმავლობაში იკრძალებოდა ქართული ენა. ვე კი არა და, მე პირადად სხვა თვალდადებულ ქართველებთან ერთად სიკვდილზე წავედი 1978 წლის 14 აპრილს, როცა ქართულ ენას სიცოცხლეს

უკრძალავდნენ. არა ნაკლები საშინელებაა დღესაც. თუ ინგლისური არ იცი, ქართველი საქართველოში ვერ იმუშაავს. თავის დროზე კი ვგვირდობდნენ, კომპიუტერებში ქართულ ენასაც შევიტანოთ, თუმცა მომავლეს წელი და დღეს დანაპირები არავის ახსოვს.

„მართამ უთხრა იესოს: აღსდგება ადგილისას, უკანასკნელ დღესა“ (11.24) - ამით იმის თქმა მინდა, თუ ღაზარე (ქართული ენა) აღდგომას აპირებს - მეორედ მოსვლა კარს მოგვდამოა. ყველამ, მტკრემს თუ მოყვარემ, მოვინაოთ, პატივის უნარი ავღვიღინოთ, რამეთუ ყველანი წარვდგებით საშინელი სამსჯავროს წინაშე!

როცა ადამიანებმა ბაბილონის გოლოლი ააშენეს, ერთპირი იყო ქვეყანა, ღმერთმა ენა აურიათ. დღეს კი ადამიანები გაერთიანდნენ და მსოფლიო ერთ ენაზე ალაპარაკა - ღმერთს ეწინააღმდეგებია. ამიტომ, გადახედეთ მსოფლიოს - მისი დასჯა დაწვეულია.

„ვინაიდან მოვა ძე კაცისა თავისი მამის დიდებით თავის ანგელოზებთან ერთად, და მაშინ მიუზღავს თითოეულ კაცს მათი ნამოქმდარის მიხედვით“ (მათე 12.27)

დიდება შენდა, ღმერთო! გილოცავ საქართველო, ქართული ენა დღესაც! მოელ მსოფლიოს ვულოცავ მათი ენების დედის გაცოცხლებას, რამეთუ:

„ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“ - გესმით?! თურმე ამით ენითა განიკითხებით.

ღაზარეს ხელ-ფეხი ჰქონდა შეხვეული. ნახეთ რა დღეშია საქართველო, როგორაა შეზოგადი, ხელფეხბორილი. სულად ჰქონდა ღაზარეს სახეზეო. ნახეთ რა აქვს საქართველოს სახეზე გადაფარებული. მისი პირით უცხო ლაპარაკობს, მის სახეს სხვაა გადაფარებული და თავს ისე აჩვენებს, თითქოსდა ქართველია, ქართულის დიდი თავგანსმცემელია. ამ დროს პირიქით, - მთელი მსოფლიოს ბნელი ძალები მის სახეზეა გადაფარებული, ართმევენ ენას, მამულს, სარწმუნოებას, კვლამოსილებას, სინდისს, ნამუსს, მამის სახელს, ეროვნებას და ყოველივე იმას, რაც ღვთისნიერია - ღვთით ბოძებულია და ეშმაკის - სატანას, გამადიოხიანებელი და მომაკვდინებელია. მაგრამ ცოტაც, ჩემო ბებერო სამშობლო, ახლად დასაბადებლად გამზადებული ბავშვო, ჩემო ღაზარეს ბავშვო, მდა-ღადებულო, ეშმაკი ჩამუხლულა. შენი დრო მოდის, უფლის საათი შენს აღდგენას უწევნებს, აღდგომა კარზეა!

დიდება შენდა, ღმერთო! შენ დაიფარე შემი საყვარელი ღაზარე! რამდენიმე დღეც და ვიმღერებო:

გილოცავო, ქართველნო, გილოცავო მოყვარენო, გილოცავო მტკრნო, მოყვარენო ჩემნო!

„ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამორგუნებულ“. გასრულებულა დრო.

ჯამალ ჯიქია

## “უკვე გვყავს ჩინელი ღურმიშხან ბელაშვილი და ბიორბი ბელაშვილი, რომორც ამბობენ, რამდენიმე წერეთლის ბზარიც მიიღო!”



როცა საარჩევნო პროცესი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა, როგორც ჩანს, “ნაციონალურ მოძრაობას” იმედი ჰქონდა, რომ საარჩევნო ურნებში 5-ნომრიან ბიულეტენებს უცხოელებიც ჩაყრიდნენ, ის უცხოელები, რომელთათვისაც უცხოა საქართველოს ეროვნული ინტერესები და მათი ერთადერთი მიზანი კომფორტული გარემოს შექმნა და მატერიალური სიკეთის მიღებაა.

კომფორტული გარემოც შეიქმნეს და მაღალანაზღაურებადი სამსახურებიც იშოვეს ჩინელებმა იმ ქვეყანაში, საიდანაც მიდიონზე მეტი ადამიანი უცხოეთში მხოლოდ იმიტომ გადახვეწილი, რომ სამშობლოში მამუშაო ვერ იშოვა. ხარა-გაულში, მოღიბო-მარეღისის გზის მო-

ნაკვეთის მშენებლობაზე, ჩინური წარმოშობის საქართველოს არაერთი მოქალაქე დასაქმებული, რომლებიც “მე მიყვარს საქართველოს” 5-იანი გაფორმებულ წითელ და თეთრ მაისურებში იყვნენ გამოწყობილი. პარტია “თავისუფალი საქართველოს” ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ გია ყრუაშვილის განცხადებით, საპარლამენტო არჩევნების წინ ასეულობით ჩინელს საქართველოს მოქალაქეობას იმ პირობით აძლევდნენ, თუ მხარს “ნაციონალურ მოძრაობას” დაუჭერდნენ:

- მოგესხენებათ, იმერეთი ყოველთვის იყო გამორჩეული იმით, რომ აქ ძირძველი ქართველები, მართლმადიდებლები ცხოვრობდნენ, ახლა კი აქაურთა სავსეა ათასი ჯურის სექტანტებით. თანაც, საგრძნობლად მომრავლდნენ ჩინელები - როგორც ვიცი, მარტო ხარაგაულში 110 ჩინელია ჩაწერილი და კიდევ აპირებენ მათ ჩამოსახლებას. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, სამი ათასი ბავშვის ჩამოყვანაა დაგეგმილი. თუ ასე გავრძელდა, რამდენიმე წელიწადში იმერეთში ისინი უფრო მეტნი იქნებიან, ვიდრე ჩვენ.

ჩინელების შემოსვლა და მათთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება საარჩევნო წელს გააქტიურდა. მათ მასობრივად აძლევდნენ ქართულ გვარებს, ასაქმებენ სხვადასხვა ობიექტზე და ა. შ. სანაცვლოდ, ხელისუფლება მათ ჩართავს “ნაციონალური მოძრაობის” საარჩევნო აგენტურაში. საქართველოს მალე ეყოლება ჩინელი გამგებლები, პოლიციელები და შეიძლება ქვეყნის მართვის ამბიციაც კი

გაუჩნდეთ. გაქართველებული ჩინელები ხელისუფლების მხრიდან დარიგებლნი არიან: იციან, ვის უნდა გამოლაპარაკონ და ვის - არა. აქვთ ინფორმაცია, ვინ რომელ პოლიტიკურ პარტიას უჭერს მხარს და ა.შ. სხვათა შორის, თავდაპირველად თავმდაბლად იქცოდნენ, ახლა კი ისე დაქრიან “კამაზებთან” და ჯიპებთან, გვერნება, თავიანთი სახელობის ქუჩაზე დადიან. შეიძლება ვინმე არ დამეთანხმოს, მაგრამ - მე ვხედავ და ვგრძნობ რეალურ საშიშროებას, რომ შეიძლება ქართველები საკუთარ მიწა-წყალზე უმცირესობაში აღმოჩნდეთ.

- ამბობთ, რომ მათ ქართული პირადობის მოწმობები აქვთ და ზოგიერთი უკვე ქართულ გვარსაც ატარებს...

- ასეა! უკვე გვყავს ჩინელი ღურმიშხან გელაშვილი და გიორგი გელაშვილი, როგორც ამბობენ, რამდენიმე წერეთლის გვარიც მიიღო. ძველ ქართულ გვარებს ეტანებიან და მალე, ალბათ, ჩინელი იღია ჭაჭაყაძე და დავით აღმაშენებელიც გვეყოლება!

საკითხავია, ეს ხალხი ვის მისცემს არჩევნებში ხმას? - რა თქმა უნდა, სააკაშვილს და ნაციონალებს. რატომ აზურბაიჯანში ან სომხეთში ვერ შედიან? აქ კი, ვითომდა გვირბის აშენებენო, სპეციალურად შემოიყვანეს, თითქოს ქართველები ვერ ააშენებდნენ ამ გვირბს. მაშ, ვინ ააშენა წიფის გვირბი, რომელიც უკვე ასე წლისაა? ეს არის ძალიან საშიში თემაში, რომელსაც საერთო არაფერი აქვს სამშობლოს სიყვარულთან და პატრიოტიზმთან. ადამიანი, რომელიც 1-ელ ოქტომბერს ხუთიანს შემოხაზავს, არც

ქართველია და არც მართლმადიდებელი, ის გაყიდულია ოცდაათ ვერცხლად, მას გათხოვილი კაცებისა და გეიადლებების ბედი უფრო აინტერესებს, ვიდრე თავისი ქვეყნისა.

ხარაგაულში მცხოვრებთა განცხადებით ჩინელები იქ რამდენიმე თვეა, მუშაობენ, თუმცა ადგილობრივებთან ურთიერთობას თავს არიდებენ.

“ხარაგაულში მოსახლეობის უმეტესობა უმუშევარია, მაგრამ ჩვენი ხელისუფლება მაინც ჩინელებს ასაქმებს. უცხო ადამიანს ვგონება, საქართველოში დასაქმების პრობლემა გადაჭრილია და მუშახელს საზღვარგარეთ ეძებენ”, - ამბობს ხარაგაულის მკვიდრი დრო გავუა.

“მაშინ, როცა ყოველწლიურად ემიგრანტი ქართველების რიცხვი კატასტროფულად იზრდება, საქართველოში ჩინეთის ათეულ ათასობით მოქალაქე ჩამოსახლდა. თუ ჩვენს ქვეყანაში “ნაციონალურ მოძრაობაზე” არ აბოღებ, ვერც სამსახურს ეღირსები და ვერც ნორმალურ მომავალს, რისი ნათელი მაგალითიც ჩინელებია: მხარს უჭერენ “ნაციონალებს”, მათი მისურებიც აცვიოთ და სამსახურიც აქვთ და ხელფასიც”, - განგვიცხადა ხარაგაულის მკვიდრმა ჯემალ მაისურაძემ.

P.S. ხარაგაულში დასაქმებული ჩინელების სამუშაო ადგილზე ჩინური დროშა ფრიალებს.

როგორც უკვე მოგახსენეთ, “მალე საქართველოს ეყოლება ჩინელი გამგებლები, პოლიციელები და შესაძლოა, მათ ქვეყნის მართვის ამბიციაც კი გაუჩნდეთ”

ი. ვაჩიბერაძე, ხ. ჩიბობიძე

სკორტული კუთხე მიჰყავს შურნალის ბიორბი ჯალალანიას

FIFA.COM: თემურ ქეცბაია, კაცი რომელმაც ყოველთვის იცის, რას ლაპარაკობს



ქართველი გულშემატკივრისათვის საკმაოდ საინტერესო სიახლე დაგეგმვა...

„საქართველოში გვეყავს ახალგაზრდა ტალანტები, რომელთაც კარიერის აწყობა და წამყვან ვეროპულ კლუბებში მოხვედრა სურთ...“

გუნდს აქვს მომენტების რესურსი და რაც მთავარია საკმაოდ ახალგაზრდა, პრინციპული და მიზანდასახული მწვრთნელის ხელში უწევს ვარჯიში...

„საქართველოში გვეყავს ახალგაზრდა ტალანტები, რომელთაც კარიერის აწყობა და წამყვან ვეროპულ კლუბებში მოხვედრა სურთ...“

ჩვენი მხრივ კი დავამატებთ, რომ ამ მიზნების მიღწევის ერთერთი საუკეთესო მაგალითი სწორედ თვითონ გახლავთ...

ქეცბაიას კვიპროსულ „ანორთოსისში“, ბერძნულ აკა-ში, ინგლისურ „ნიუკასლსა“ და „ვულვერჰემპტონში“...

ამის შემდეგ მან სამწვრთნელო საქმეს მოკიდა ხელი და „ანორთოსისი“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გაიყვანა...

„საქართველოში ხალხი ფეხბურთზე უზომოდ არის შეყვარებული. ქართველები ოცნებობენ რომ მათი ეროვნული გუნდი მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე იხილონ...“

გუნდად ჩამოყალიბება და შეკვრა შეუძლებელია. ბიჭებმა ზედმიწევნით კარგად იციან რა მიზნებისთვის იბრძვიან და ყველაფერს აკეთებენ ქართველი ხალხის გასახარებლად...

ბოლოს კი ვიტყვით იმას, რომ თემურს და მის გუნდს სჯერათ, რომ მათ აქვთ გარკვეული შანსი ევროპის 2016 წლის ჩემპიონატზე მოსახვედრად...

რედაქციის კომენტარი: მას შედეგად, რაც საქართველოში ევროპიდან შემოაბიჯა ფეხბურთმა, არ ყოფილა სეზონი, რომ ჩვენში სპორტის ამ სახეობის ვირტუოზი არ გამოვლენილიყო...

ნამდვილად გასახარია, რომ ამ მწვრთნელს შორის იკავებს ღირსეულ ადგილს თემურ ქეცბაია...

ჩვენ ვართ, ჩვენ მოვლივართ...

გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის მიმდინარე სამხარეო მოქმედებებში მონაწილე ოქროსი გენი...

„ერთობა“ დიდ ყურადღებას უთმობს მთელ რიგ პატრიოტულ წამოწყებებს. ასე მაგალითად, ორგანიზაციის საოფისე ფართში ღირსეული ადგილი პპოვა ქალაქ ოქროსი...

იუმორი

ბაზარში გამყიდველი ყვირის: - აბ, ნასკები, კარგი ნასკები! - კარგი კი არა, ჩემი ფეხები! - ბუზღუნებს გურული, - გუშინ დიდას ჩვეიცვი და საღამოთი ფეხზე აუტანელი სუნი მქონდა...

შუალამისას პოლიციელი აჩერებს კაცს ჩემოდნით ხელში. - რა გაქვს ჩემოდანში? - ჯერ არ ვიცი. - მამი, ამდენს მუშაობ და სიმდიდრე მაინც ვერ დააგროვე! - საყვედურობს კახელი შვილი. - კვ, შვილო, მუშაობით რომ სიმდიდრე გროვდებოდეს, ჩვენი ვირი მილიონერი იქნებოდა!

ხუთწლიანი პატიმრობის შემდეგ ქმარს სახლში ცოლი ეგებება ჩვილი ბავშვით ხელში. - ეს შენი შვილია? - რა თქმა უნდა, ჩემია, - პასუხობს ცოლი, - წესიერად რომ მოქცეულიყავი, შენიც იქნებოდა!

ბიძინა ივანიშვილი: „კალაღობისკენ არასოდეს მოვუწოდებ!“

ოპოზიციური კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ ის ძალადობისკენ არასოდეს მოუწოდებს...

„რაც შეეხება ასეთ მიტინგებს და რაც შეეხება იმას, რომ თურაღაც მოხდება არჩევნებში, ჩვენ გამოვიყვანთ და პირდაპირ დავათვლეინებთ ხალხს ქუჩაში, რამდენმა კაცმა მოგვცა ხმა...“

„ეს ქუჩა საიდან აიღო „NDI“-მ მე არ ვიცი, არასდროს გამოიკეთებია მე და არასდროს ძალადობისკენ არ მივუთითებ და არც მოუწოდებ არასდროს...“

„ხალხის ქუჩაში გამოვიყვანა, თუ არ განიმარტა - რა აქვს მხედველობაში, იგულისხმება, რომ დაპირისპირებისკენ მიჰყავს ხალხი და მოუწოდებს. არა, ჩვენ ასეთ რამეს არ ვაპირებთ!“



საზოგადოება „ერთობის“ გასაჭირი და პრობლემები გულთან მიიტანეს მოსკოვში მცხოვრებმა ოქროსი გენის მკვიდრებმა და გამოგვიგზავნეს წარმომადგენელი ბატონი ვოვა უბირია...

Publication information including ISSN 1987-8966, website WWW.saqinform.ge, and contact details for the publisher.